

# საქართველოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა აღწერის მონაცემები

## დაწყებით განათლებასა და ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებით

unite for children

unicef

# საქართველოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა აღწერის მონაცემები

## დაწყებით განათლებასა და ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებით

თბილისი
2013

unicef
unite for children

© გაეროს ბავშვთა ფონდი 2014

გაეროს ბავშვთა ფონდი
ერისთავის ქ. 9, გაეროს სახლი
0179, თბილისი, საქართველო
ტელ: 995 32 2 23 23 88, 2 25 11 30
ელ-ფოსტა: tbilisi@unicef.org
www.unicef.ge

დეკემბერი, 2014

# შინაარსი


შესავალი . . . . . . . . . . 5

1. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან დაკავშირებული საერთო ინფორმაცია . . . . . . . . . . 6

2. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პერსონალი და ბავშვთა ჯგუფები . . . . . . . . . . 14

3. სასწავლო პროცესის ხელშეწყობა/ორგანიზება . . . . . . . . . . 42

4. სასწავლო ინვენტარი და ფიზიკური გარემო . . . . . . . . . . 46

5. ბავშვთა კვება და შუადღის ძილი . . . . . . . . . . 55

6. საბავშვო ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურა . . . . . . . . . . 64

7. სანიტარია და ჰიგიენა . . . . . . . . . . 73

8. საგანგებო სიტუაციების მართვა . . . . . . . . . . 79

9. დაფინანსების სქემები . . . . . . . . . . 83

დანართი . . . . . . . . . . 95

10. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსების წყაროები და ხარჯები . . . . . . . . . . 107

# შესავალი

2012 წლის 4 დეკემბერს გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) დადებული ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა განახორციელა პროექტი სახელწოდებით – „მონაცემთა შეგროვება ადრეული სწავლებისა და ბავშვებზე ზრუნვისათვის საქართველოში", რომელიც 2012 წლის 4 დეკემბრიდან 2013 წლის 7 ივლისამდე პერიოდს მოიცავს.

ხსენებული პროექტის ფარგლებში საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- განსაზღვრა სკოლამდელი აღზრდის ინდიკატორები და შეადგინა საპილოტო კითხვარები.
- ჩაატარა საცდელი გამოკითხვა.
- შეადგინა საბოლოო კითხვარები და შესაბამისი ინსტრუქციები.
- განაახლა საჯარო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ნუსხა.
- გამოკითხვის საველე სამუშაოებს თან სდევდა მონაცემთა შემდგომი შეყვანა და დამუშავება, აგრეთვე, მონაცემთა ბაზის გაწმენდა და ანალიზი.
- მომზადდა საბოლოო ანალიტიკური ანგარიში.

საველე სამუშაოებმა საქართველოს 1,259 საჯარო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (საბავშვო ბაგა-ბაღი) მოიცვა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია რეგიონებში არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების რაოდენობა.

| რეგიონი | საბავშვო ბაგა-ბაღების რაოდენობა |
|---|---|
| თბილისი | 157 |
| აჭარა | 57 |
| გურია | 70 |
| იმერეთი | 239 |
| კახეთი | 205 |
| მცხეთა-მთიანეთი | 55 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 36 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 226 |
| სამცხე-ჯავახეთი | 34 |
| ქვემო ქართლი | 84 |
| შიდა ქართლი | 96 |
| **სულ** | **1,259** |

შენიშვნა: 2012 წლის ივლისში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში
ერთი საბავშვო ბაგა-ბაღი დაიხურა სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად.

2011-2012 წლებში არ იმუშავა 15-მა საბავშვო ბაგა-ბაღმა: აჭარაში, მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში თითო-თითომ; იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში ორ-ორმა; სამმა გურიაში; და ხუთმა კახეთში. ამგვარად, 2011/2012 სასწავლო წელს ჩვენ 1,244 საბავშვო ბაგა-ბაღის მონაცემები მოვიპოვეთ.

# 1. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან დაკავშირებული საერთო ინფორმაცია

საქართველოში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა[1] უმეტესობა 1970 წლიდან მუშაობს. ამ დაწესებულებებს „არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის“ ორგანიზაციული სტატუსი აქვს. ქვეყნის რეგიონებში საბავშვო ბაგა-ბაღები, ძირითადად, ანგარიშვალდებულნი არიან შესაბამის მუნიციპალიტეტებში მოქმედი *სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ორგანოების* წინაშე. *სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ორგანო* უშუალოდაა პასუხისმგებელი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მენეჯმენტზე. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, როცა საბავშვო ბაგა-ბაღები უშუალოდ მუნიციპალური ხელისუფლების მიერ იმართება.

საბავშვო ბაღების უმეტესობა მიუთითებს, რომ *სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ორგანო* პასუხს აგებს დაწესებულების დაფინანსებასა და სასწავლო პროგრამების/გეგმების შედგენაზე. თავად დაწესებულებები კი ბავშვების რეგისტრაციის პროცესს წარმართავენ.

*სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ორგანო* საბავშვო ბაღის საქმიანობის ყველა ასპექტში მონაწილეობს. მისი მთავარი ფუნქცია სასწავლო პროცესის შეფასება, მონიტორინგი და ანალიზი და ბაგა-ბაღების მეთოდოლოგიური მხარდაჭერაა. გარდა ამისა, ორგანო პასუხისმგებელია ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა – ბაგა-ბაღების პერსონალის ცოდნის ამაღლება, სტანდარტების დადგენა და მონაცემების დამუშავება-ანალიზი.

2011-2012 წლებში საბავშვო ბაგა-ბაღებში დასწრების საფასური 3 ლარიდან 80 ლარამდე მერყეობდა. 24 ბაგა-ბაღში დასწრება უფასო იყო. ყველაზე მაღალი გადასახადი თბილისში დაფიქსირდა.

2012-2013 წლებში საქართველოში მომუშავე ბაგა-ბაღების 36,6%-მა საქმიანობა 1970 წლამდე დაიწყო. აჭარის რეგიონის ბაგა-ბაღების დაახლოებით 35% და გურიის რეგიონის ბაგა-ბაღების დაახლოებით 23% 2005-2009 წლებში გაიხსნა.

**დიაგრამა 1.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები მუშაობის დაწყების წლების მიხედვით (%)**




1 ტერმინები „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“ და „საბავშვო ბაგა-ბაღი“ სინონიმებია და ურთიერთჩანაცვლებით გამოიყენება.

ყველაზე მოკლე სამუშაო დღე (4 საათი) სამეგრელოში, ყველაზე გრძელი კი (11 საათი) – თბილისში, აჭარასა და იმერეთში დაფიქსირდა.

აღსანიშნავია, რომ თბილისის ბაგა-ბაღების 61.2% დღეში 9 საათს მუშაობს, ქვემო ქართლის ბაგა-ბაღების 89.3% კი – 8 საათს. საშუალოდ, ყველაზე ცოტა ხანს (დღეში 7.8 საათი) რაჭა-ლეჩხუმის ბაგა-ბაღები არის ღია, ყველაზე დიდხანს კი (დღეში 9.5 საათი) აჭარის ბაგა-ბაღები.

**ცხრილი 1.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მუშაობის საშუალო ხანგრძლივობა**

| რეგიონი | ქალაქებში | სოფლებში | სულ |
|---|---|---|---|
| თბილისი | 9.2 | - | 9.2 |
| აჭარა | 9.8 | 9.2 | 9.5 |
| გურია | 8.5 | 8.6 | 8.6 |
| იმერეთი | 8.6 | 8.3 | 8.4 |
| კახეთი | 8.2 | 7.9 | 7.9 |
| მცხეთა-მთიანეთი | 8.6 | 8.4 | 8.5 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 8.8 | 7.7 | 7.8 |
| სამეგრელო | 8.5 | 7.9 | 8.0 |
| სამცხე-ჯავახეთი | 9.2 | 8.3 | 8.9 |
| ქვემო ქართლი | 8.2 | 8.1 | 8.1 |
| შიდა ქართლი | 8.7 | 8.5 | 8.6 |
| **სულ** | **8.8** | **8.2** | **8.4** |

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების 50%-მა გვაცნობა, რომ მათი დღის წესრიგის მიხედვით, მშობელს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში აქვს უფლება, თავისთვის მოსახერხებელ დროს მიიყვანოს ბავშვი ჯგუფში ან წაიყვანოს სახლში. ასეთი მოქნილი გრაფიკი სტანდარტის სახით მხოლოდ საბავშვო ბაგა-ბაღების 6.8%-შია დანერგილი. დანარჩენ ბაგა-ბაღებში კი მშობელი ვალდებულია, ადმინისტრაციის მიერ დადგენილი დღის წესრიგი დაიცვას. აღსანიშნავია, რომ აჭარის რეგიონის არც ერთი ბაგა-ბაღი არ იძლევა ბავშვების მიყვანისა და წამოყვანის უფლებას მშობლებისთვის სასურველ დროს.

**ცხრილი 1.2 ბავშვის/ბავშვების ბაღში/ბაღიდან წაყვანის/წამოყვანის დრო (%)**

| რეგიონი | მშობელს უფლება აქვს, თავისთვის მოსახერხებელ დროს მიიყვანოს/ წამოიყვანოს ბავშვი/ ბავშვები ბაღში/ ბაღიდან | მშობელს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში აქვს უფლება, თავისთვის მოსახერხებელ დროს მიიყვანოს/ წამოიყვანოს ბავშვი/ბავშვები ბაღში/ ბაღიდან | მშობელს ბავშვის/ ბავშვების ბაღში/ ბაღიდან მიყვანა/ წამოყვანა მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ დადგენილი გრაფიკის მიხედვით შეუძლია |
|---|---|---|---|
| თბილისი | 12.7 | 74.5 | 12.7 |
| აჭარა | - | 64.9 | 35.1 |
| გურია | 1.4 | 57.1 | 41.4 |
| იმერეთი | 2.5 | 54.4 | 43.1 |
| კახეთი | 5.9 | 38.5 | 55.6 |
| მცხეთა-მთიანეთი | 1.8 | 43.6 | 54.5 |

| | | | |
|---|---|---|---|
| რაჭა-ლეჩხუმი | 5.6 | 83.3 | 11.1 |
| სამეგრელო | 11.1 | 41.6 | 47.3 |
| სამცხე-ჯავახეთი | 17.6 | 26.5 | 55.9 |
| ქვემო ქართლი | 2.4 | 27.4 | 70.2 |
| შიდა ქართლი | 10.4 | 53.1 | 36.5 |
| **სულ** | **6.8** | **50.4** | **42.9** |

*სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ორგანოები* საქართველოს ბაგა-ბაღების 94.5%-ს მართავს. სკოლამდელი აღზრდის დანარჩენი დაწესებულებები (5.5%), რომლებიც ფუნქციონირებენ დმანისში, ხაშურსა და გორში – აგრეთვე, თითო ბაგა-ბაღი ბორჯომის, ახალგორის, წალკისა და ონის მუნიციპალიტეტებში – უშუალოდ მუნიციპალური ხელისუფლების მიერ იმართება.

**ცხრილი 1.3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობების განაწილება მათზე პასუხისმგებელი ორგანოების მიხედვით (%)**

| | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ორგანო | ადგილობრივი ხელისუფლება (გამგეობა საკრებულო, მერია) | სხვა უწყება |
|---|---|---|---|---|
| სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ბიუჯეტის შედგენა | 18.1 | 60.8 | 35.8 | 0.1 |
| ბავშვთა რეგისტრირება ჩარიცხვისას | 73.5 | 32.2 | 1.2 | 0.0 |
| სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურების საფასურის (მშობლის გადასახადის) განსაზღვრა | 18.3 | 51.2 | 41.0 | 0.1 |
| სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურების საფასურზე შეღავათების დადგენა | 8.3 | 46.5 | 51.4 | 0.1 |
| სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის/გეგმის შემუშავება/მიღება | 44.3 | 61.5 | 3.4 | 1.6 |

საქართველოს საბავშვო ბაგა-ბაღების 60.8%-ის ბიუჯეტს მართვის ორგანოები ადგენენ. თუმცა თბილისის ბაგა-ბაღების უმეტესობა (76.4%) თავადაა პასუხისმგებელი საკუთარი ბიუჯეტის შედგენაზე. აღსანიშნავია, რომ კახეთის რეგიონის საბავშვო ბაღების 53.7%-ს ბიუჯეტს ადგილობრივი ხელისუფლება უდგენს; შიდა ქართლში კი ბიუჯეტის მომზადებაზე პასუხისმგებლობა თითქმის თანაბრადაა გადანაწილებული საბავშვო ბაგა-ბაღებს (37.5%), მართვის ორგანოსა (36.7%) და ადგილობრივ ხელისუფლებას (35.4%) შორის.

შემთხვევათა 73.5%-ში ბავშვთა ჯგუფებში ჩასარიცხად რეგისტრირებაზე თავად ბაგა-ბაღები არიან პასუხისმგებელნი. თუმცა აჭარის ბაგა-ბაღების 89.5%-სა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ბაგა-ბაღების 54.4%-ში ბავშვთა რეგისტრირება მართვის ორგანოებს ევალებათ.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა 51.2%-ში მშობლების მიერ გადასახდელი საფასურის ოდენობას მართვის ორგანო განსაზღვრავს. თუმცა სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული მდგომარეობაა. თბილისსა (67.5%) და შიდა ქართლის (53.1%) ბაგა-ბაღების უმრავლესობაში საფასურის დადგენაზე პასუხისმგებლობა უშუალოდ ბაგა-ბაღებს ეკისრებათ; აჭარაში, იმერეთში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში კი – ადგილობრივ ხელისუფლებას. მსგავსი მდგომარეობაა გადასახადის დადგენასთან/გაუქმებასთან მიმართებაში. შიდა ქართლში ბაგა-ბაღების 44.8% გადასახადის ოდენობას თავად განსაზღვრავს; შემთხვევათა 28.1%-ში ამ გადაწყვეტილებას მართვის ორგანო იღებს, 29.2%-ში კი, ადგილობრივი ხელისუფლება.

სასწავლო პროგრამის/გეგმის შემუშავება/მიღება ბაგა-ბაღების 61.5%-ში მართვის ორგანოს ევალება. კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და შიდა ქართლის საბავშვო ბაგა-ბაღების ნახევარზე მეტმა უჩვენა, რომ ზემოთ ხსენებული ფუნქცია მათ უფლებამოსილებაში შედის. თბილისში სასწავლო პროგრამის შემუშავება ბაღების 17%-ში ადგილობრივ ხელისუფლებას (17.2%) ევალება, ბაღების 10.8%-ში კი ამაზე პასუხისმგებელი სხვა დაწესებულებებია.

**ცხრილი 1.4 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განაწილება მართვის ორგანოების ფუნქციების მიხედვით (%)**

| რეგიონი | ბაგა-ბაღების მეთოდოლოგიური მხარდაჭერა | ადამიანური რესურსების/ პერსონალის ცოდნის გაღრმავება | განსხვავებული სტანდარტების დანერგვა | ტექნიკური მხარდაჭერა/ მონაცემთა დამუშავება | სასწავლო პროცესის შეფასება, მონიტორინგი და ანალიზი |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 89.8 | 74.5 | 75.8 | 73.9 | 98.1 |
| აჭარა | 87.7 | 78.9 | 68.4 | 45.6 | 86.0 |
| გურია | 84.3 | 67.1 | 64.3 | 51.4 | 91.4 |
| იმერეთი | 96.2 | 78.7 | 79.1 | 69.9 | 91.6 |
| კახეთი | 85.9 | 59.0 | 49.3 | 42.0 | 82.9 |
| მცხეთა-მთიანეთი | 89.1 | 70.9 | 65.5 | 70.9 | 92.7 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 97.2 | 86.1 | 72.2 | 86.1 | 88.9 |
| სამეგრელო | 88.1 | 63.3 | 57.1 | 40.7 | 89.4 |
| სამცხე-ჯავახეთი | 85.3 | 67.6 | 55.9 | 50.0 | 85.3 |
| ქვემო ქართლი | 81.0 | 73.8 | 67.9 | 47.6 | 84.5 |
| შიდა ქართლი | 81.3 | 67.7 | 46.9 | 43.8 | 80.2 |
| **სულ** | **88.5** | **70.0** | **63.9** | **55.0** | **88.8** |

ბაგა-ბაღების 88.8%-ში სასწავლო პროცესის შეფასებას, მონიტორინგსა და ანალიზს მართვის ორგანო ახორციელებს. ეს ეხება როგორც ქალაქების, ასევე სოფლების საბავშვო ბაღებს.

ბაგა-ბაღების 88.5%-მა განაცხადა, რომ მართვის ორგანოსგან იღებს მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას. ასევე, მართვის ორგანო უზრუნველყოფს ბაგა-ბაღების 70%-ში პერსონალის ცოდნის ამაღლებას. რაც შეეხება ტექნიკურ დახმარებას/მონაცემთა დამუშავებასა და ანალიზს, ასეთი პრაქტიკის არსებობის შესახებ ბაგა-ბაღების უფრო მცირე რაოდენობამ (55%) გვაცნობა.

უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბაგა-ბაღების 42.5%-მა (სოფლად არსებული ბაგა-ბაღების 50.5% და ქალაქების ბაგა-ბაღების 37.1%-მა) უჩვენა, რომ მათ შემთხვევაში მართვის ორგანო ითავსებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფუნქციას. კერძოდ კი – მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას, პერსონალის ტრენინგს, სტანდარტების დადგენას, ტექნიკურ დახმარებას/მონაცემთა დამუშავებას თუ ანალიზს და სასწავლო პროცესის შეფასებას, მონიტორინგსა და ანალიზს.

რაჭა-ლეჩხუმში ქალაქების ხუთივე ბაგა-ბაღმა განაცხადა, რომ ყველა ზემოთ ხსენებულ ფუნქციას მართვის ორგანო ასრულებს.

ბაგა-ბაღების 78.2%-მა უჩვენა, რომ მათი მართვის ორგანოებს შემუშავებული ჰქონდათ განვითარების სტრატეგია. მცხეთა-მთიანეთისა (34.5%) და შიდა ქართლის (34.4%) ბაგა-ბაღების დაახლოებით მესამედმა არ იცოდა, ჰქონდა თუ არა მართვის ორგანოს განვითარების რაიმე გეგმა.

**ცხრილი1.5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გათვითცნობიერებულობა – ჰქონდა თუ არა მართვის ორგანოს განვითარების გეგმა (%)**

| რეგიონი | კი | არა | არ ვიცი |
|---|---|---|---|
| თბილისი | 96.2 | 0.6 | 3.2 |
| აჭარა | 77.2 | 10.5 | 12.3 |
| გურია | 95.7 | - | 4.3 |
| იმერეთი | 80.3 | 10.0 | 9.6 |
| კახეთი | 77.1 | 2.0 | 21.0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 61.8 | 3.6 | 34.5 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 83.3 | 2.8 | 13.9 |
| სამეგრელო | 77.9 | 2.7 | 19.5 |
| სამცხე-ჯავახეთი | 67.6 | 2.9 | 29.4 |
| ქვემო ქართლი | 65.5 | 10.7 | 23.8 |
| შიდა ქართლი | 56.3 | 9.4 | 34.4 |
| **სულ** | **78.2** | **5.0** | **16.8** |

ბაგა-ბაღების 99.7% ყოველწლიურად, ან უფრო ხშირად აწვდიდა მართვის ორგანოსა თუ სხვა უწყებებს მონაცემებს. მხოლოდ ოთხმა ბაგა-ბაღმა განაცხადა, რომ არც ერთ ორგანოს არ აწვდიდა ინფორმაციას.

**ცხრილი 1.6 ბაღების განაწილება იმის მიხედვით, თუ რა სახის მონაცემებს აწვდის ბაღის ადმინისტრაცია დასახელებულ სტრუქტურებს (%)**

| | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ორგანო | ადგილობრივი ხელისუფლება (გამგეობა საკრებულო, მერია) | სხვა სახელმწიფო სტრუქტურა |
|---|---|---|---|
| ფინანსური მონაცემები | 74.7 | 22.1 | 0.2 |
| ინფორმაცია ბავშვთა საერთო რაოდენობის შესახებ | 92.2 | 10.0 | 0.1 |
| ბავშვების შესახებ სხვადასხვა ინფორმცია (სქესი, ასაკი, ეთნიკური კუთვნილება, განსაკუთრებული საჭიროებები) | 90.6 | 8.3 | - |
| ინფორმაცია ბაგა-ბაღში არსებული ადგილების რაოდენობის შესახებ | 91.5 | 9.6 | - |
| ინფორმაცია ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესახებ | 85.6 | 18.8 | - |
| ინფორმაცია სასწავლო მასალისა და ინვენტარის შესახებ | 90.1 | 11.0 | - |
| ინფორმაცია სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის შესახებ | 90.2 | 8.0 | 0.1 |

*სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ორგანოს* მიერ მართული ბაგა-ბაღები, უმეტეს შემთხვევაში (საერთო რაოდენობის 94.5%), სწორედ მართვის ორგანოს აწვდიან ინფორმაციას.

ბაგა-ბაღების 6.1%-მა არავის მიაწოდა ფინანსური ინფორმაცია. ამ ბაგა-ბაღების უმეტესობა იმერეთსა (13.8%) და სამეგრელოში (11.5%) ფუნქციონირებს.

ბავშვების საერთო რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ბაგა-ბაღების 92.2%-მა მართვის ორგანოს მიაწოდა. ექვსმა ბაგა-ბაღმა უარი განაცხადა აღნიშნული ინფორმაციის გამხელაზე.

## 2011/2012 სასწავლო წელს მშობლების მიერ გადახდილი ყოველთვიური გადასახადი

2011/2012 სასწავლო წელს დასწრება მხოლოდ 24 ბაგა-ბაღში იყო უფასო. კერძოდ, მაღალმთიანი მდებარეობის გამო, გადასახადი გაუქმდა მესტიის ყველა ბაგა-ბაღში; ახალგორის მუნიციპალიტეტის ერთ ბაგა-ბაღში (წეროვანის იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში) იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ) გათავისუფლებულები იყვნენ გადასახადისგან, რადგან დასწრების საფასური სრულად დაფარა მუნიციპალიტეტმა. უფასო იყო დასწრება ლენტეხის სამ ბაგა-ბაღშიც, რადგან აღსაზრდელთა მშობლები თავად ამარაგებდნენ ბაღებს საკვებით. ასევე გაუქმებული იყო გადასახადი შიდა ქართლის ერთ ბაგა-ბაღში.

2011/2012 სასწავლო წელს ყველაზე მაღალი გადასახადი თბილისის ბაგა-ბაღებში (80 ლარი), ყველაზე დაბალი კი – რაჭა-ლეჩხუმის ბაგა-ბაღებში (3 ლარი ცაგერის მუნიციპალიტეტში) დაფიქსირდა.

**ცხრილი 1.7 2011/2012 სასწავლო წელს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასწრების საშუალო საფასური (ლარებში)**

| რეგიონი | ქალაქებში | სოფლებში | სულ |
|---|---|---|---|
| თბილისი | 50.8 | - | 50.8 |
| აჭარა | 30.3 | 14.1 | 23.7 |
| გურია | 12.6 | 10.0 | 10.7 |
| იმერეთი | 13.4 | 12.6 | 12.9 |
| კახეთი | 9.3 | 9.0 | 9.1 |
| მცხეთა-მთიანეთი | 16.3 | 13.3 | 14.1 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 9.6 | 8.0 | 8.3 |
| სამეგრელო | 20.9 | 13.1 | 15.1 |
| სამცხე-ჯავახეთი | 23.3 | 21.0 | 22.6 |
| ქვემო ქართლი | 28.0 | 25.0 | 26.5 |
| შიდა ქართლი | 18.3 | 12.6 | 14.5 |

თბილისში გადასახადის ოდენობა 30 ლარიდან 80 ლარამდე მერყეობდა.

**ცხრილი 1.8 2011/2012 აკადემიურ წელს თბილისის რაიონების ბაგა-ბაღებში დაწესებული გადასახადები (ლარებში)**

| რაიონი | მინიმალური ოდენობა | მაქსიმალური ოდენობა | საშუალო ოდენობა |
|---|---|---|---|
| გლდანი-ნაძალადევი | 30 | 55 | 43 |
| დიდგორი | 30 | 55 | 34 |
| დიდუბე-ჩუღურეთი | 40 | 75 | 54 |
| ვაკე-საბურთალო | 30 | 80 | 62 |
| ისანი-სამგორი | 30 | 80 | 45 |
| ძველი თბილისი | 45 | 80 | 64 |

აჭარაში დასწრების საფასური 5 ლარიდან 35 ლარამდე მერყეობდა.

**ცხრილი 1.9 2011/2012 სასწავლო წელს აჭარის მუნიციპალიტეტების ბაგა-ბაღებში დაწესებული გადასახადები (ლარებში)**

| მუნიციპალიტეტი/თვითმმართველობის ერთეული | გადასახადის ოდენობა |
|---|---|
| ბათუმი | 35 |
| ქედის მუნიციპალიტეტი | 10 |
| ქობულეთის მუნიციპალიტეტი | 25 |
| შუახევის მუნიციპალიტეტი | 5 |
| ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი | 25 |
| ხულოს მუნიციპალიტეტი | 5 |

ყველაზე დაბალი საშუალო გადასახადი რაჭა-ლეჩხუმში დაფიქსირდა (8.3 ლარი).

რაჭა-ლეჩხუმში მშობელთა ყოველთვიური გადასახადი 3 ლარიდან 8 ლარამდე მერყეობდა. ცაგერის მუნიციპალიტეტში გადასახადის ოდენობა სხვადასხვაგვარი იყო: სოფლის ბაგა-ბაღების 75%-ში 4 ლარს, 16.7%-ში 5 ლარს და 8.3%-ში 3 ლარს შეადგენდა.

კახეთის რეგიონის გურჯაანის მუნიციპალიტეტში გადასახადის განსხვავებული სქემა მოქმედებდა – მშობლები ერთ ბავშვში დღეში 0.5 ლარს იხდიდნენ და საფასურის საერთო ოდენობა თვეში 10 ლარს შეადგენდა.

# 2. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პერსონალი და ბავშვთა ჯგუფები

საქართველოში საბავშვო ბაგა-ბაღების უმეტესობას დირექტორები მართავენ. აღმზრდელთა საშუალო ასაკი 44 წელია და უმეტესობას უმაღლესი განათლება აქვს. 2011/2012 სასწავლო წლის ბოლოსთვის საქართველოს ბაგა-ბაღებში ასაკობრივი ჯგუფები მეტწილად 4-6 წლის ბავშვებით იყო დაკომპლექტებული. ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფები თბილისში დაფიქსირდა, ყველაზე მცირერიცხოვანი კი – რაჭა-ლეჩხუმში.

### პერსონალი

ბაგა-ბაღებს, რომლებშიც ბავშვთა რაოდენობა მცირეა, დირექტორები არ ჰყავთ და, შესაბამისად, დირექტორის მოვალეობას მასწავლებლები ასრულებენ. 2011/2012 სასწავლო წელს გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და სამეგრელოში 29 ასეთი ბაგა-ბაღი ფუნქციონირებდა (ლანჩხუთის, ლენტეხისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებში). მათგან ერთის გარდა (გურიის რეგიონში) ყველა სოფლად მდებარეობს. ამ პარაგრაფში მოყვანილი ციფრები 2011/2012 სასწავლო წლის ბოლოს არსებულ სურათს ასახავს, თუ მითითებული არაა საწინააღმდეგო.

**ცხრილი 2.1 ბაგა-ბაღები, რომლებსაც დირექტორები ჰყავდათ 2011/2012 სასწავლო წლის ბოლოსთვის**

| რეგიონი | ქალაქებში | სოფლებში | სულ |
|---|---|---|---|
| თბილისი | 100.0 | | 100.0 |
| აჭარის ა. რ. | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| გურია | 94.7 | 79.2 | 83.6 |
| იმერეთი | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| კახეთი | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი[2] | 100.0 | 64.5 | 69.4 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი[3] | 100.0 | 95.8 | 96.9 |
| სამცხე-ჯავახეთი | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| ქვემო ქართლი | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| შიდა ქართლი | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| **სულ** | **99.8** | **96.2** | **97.7** |

ბაგა-ბაღების 23%-ს სასწავლო პროგრამის კოორდინატორი ჰყავდა. ასეთი საბავშვო ბაღების ყველაზე მეტი რაოდენობა თბილისში (92.4%) დაფიქსირდა. შემდეგ მოდის აჭარა (75%), იმერეთი (21.9%) და კახეთი (10%). დანარჩენ რეგიონებში 10%-ზე ნაკლებს შეადგენდა იმ ბაღების რაოდენობა, სადაც კოორდინატორი მუშაობდა. კოორდინატორები ძირითადად ქალაქებში არსებულ ბაგა-ბაღებს ჰყავდათ (50.2%). სოფლად კი, ისინი ბაგა-ბაღების მხოლოდ 4.2%-ში საქმიანობდნენ. თუმცა, აჭარის სოფლებში ეს მაჩვენებელი 47.8%-ს შეადგენდა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ რაჭა-ლეჩხუმისა და სამეგრელოს სოფლებში სასწავლო პროცესის კოორდინატორი არც ერთ ბაგა-ბაღს არ ჰყოლია.

2 ქვემოთ – რაჭა-ლეჩხუმი
3 ქვემოთ – სამეგრელო

**ცხრილი 2.2 ბაგა-ბაღები, რომლებსაც კოორდინატორები/მეთოდისტები ჰყავდა 2011/2012 სასწავლო წლის ბოლოსთვის (%)**

| რეგიონი | ქალაქებში | სოფლებში | სულ |
|---|---|---|---|
| თბილისი | 92.4 | | 92.4 |
| აჭარის ა. რ. | 93.9 | 47.8 | 75.0 |
| გურია | 10.5 | 0.0 | 3.0 |
| იმერეთი | 53.3 | 2.7 | 21.9 |
| კახეთი | 28.1 | 6.5 | 10.0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 0.0 | 5.1 | 3.7 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 40.0 | 0.0 | 5.6 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 13.8 | 0.0 | 3.6 |
| სამცხე-ჯავახეთი | 0.0 | 10.0 | 2.9 |
| ქვემო ქართლი | 9.3 | 2.4 | 6.0 |
| შიდა ქართლი | 18.8 | 1.6 | 7.4 |
| **სულ** | **50.2** | **4.2** | **23.0** |

ექიმის მომსახურება 1,244 ბაგა-ბაღიდან მხოლოდ 27-ში იყო ხელმისაწვდომი და ამ 27 დაწესებულებიდან სოფლად მხოლოდ ორი მდებარეობდა (აჭარასა და მცხეთა-მთიანეთში).

მიუხედავად იმისა, რომ ექიმი ძალიან ცოტა ბაგა-ბაღში მუშაობდა, სამედიცინო პერსონალი (ექიმი და/ან ექთანი) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების 49.3%-ს ჰყავდა. აჭარაში ექიმი და/ან ექთანი ყველა ბაგა-ბაღს ემსახურებოდა. თბილისში ეს მაჩვენებელი 95.5%-ს შეადგენდა, ქვემო ქართლში კი – 69%-ს. სამეგრელოს რეგიონში სამედიცინო პერსონალის მომსახურება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მხოლოდ 13.8%-ში იყო ხელმისაწვდომი. სამეგრელოს სოფლებში სამედიცინო პერსონალი ბაგა-ბაღების მხოლოდ 3%-ს ჰყავდა, რაც რეგიონების ყველაზე დაბალ მაჩვენებელს შეადგენს.

**ცხრილი 2.3 ბაგა-ბაღები, რომლებსაც ექიმი და/ან ექთანი ჰყავდათ 2011/2012 სასწავლო წლის ბოლოსთვის (%)**

| რეგიონი | ქალაქებში | სოფლებში | სულ |
|---|---|---|---|
| თბილისი | 95.5 | - | 95.5 |
| აჭარა | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| გურია | 73.7 | 22.9 | 37.3 |
| იმერეთი | 90.0 | 19.7 | 46.4 |
| კახეთი | 78.1 | 42.9 | 48.5 |
| მცხეთა-მთიანეთი | 66.7 | 25.6 | 37.0 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 60.0 | 41.9 | 44.4 |
| სამეგრელო | 44.8 | 3.0 | 13.8 |
| სამცხე-ჯავახეთი | 50.0 | 50.0 | 50.0 |
| ქვემო ქართლი | 81.4 | 56.1 | 69.0 |
| შიდა ქართლი | 56.3 | 23.8 | 34.7 |
| **სულ** | **80.1** | **28.0** | **49.3** |

ფსიქოლოგი საქართველოს ბაგა-ბაღების 20%-ში მუშაობდა. ამ დაწესებულებების 86% ქალაქებში მდებარეობს. ამ მხრივ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისსა და აჭარაში დაფიქსირდა (56.1% და 50%), ყველაზე დაბალი კი – სამეგრელოსა (0.4%) და გურიაში (6%).

რეგიონებში ფსიქოლოგის მომსახურებით ბაგა-ბაღების მხოლოდ 17% სარგებლობდა. გურიის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის სოფლის ბაგა-ბაღებიდან კი არც ერთს არ ჰყოლია ფსიქოლოგი.

**ცხრილი 2.4 ბაგა-ბაღები, რომლებსაც ფსიქოლოგი ჰყავდათ 2011/2012 სასწავლო წლის ბოლოსთვის (%)**

| რეგიონი | ქალაქებში | სოფლებში | სულ |
|---|---|---|---|
| თბილისი | 56.1 | - | 56.1 |
| აჭარა | 72.7 | 17.4 | 50.0 |
| გურია | 21.1 | 0.0 | 6.0 |
| იმერეთი | 61.1 | 4.1 | 25.7 |
| კახეთი | 28.1 | 7.7 | 11.0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 33.3 | 7.7 | 14.8 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 60.0 | 9.7 | 16.7 |
| სამეგრელო | 1.7 | 0.0 | 0.4 |
| სამცხე-ჯავახეთი | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ქვემო ქართლი | 53.5 | 0.0 | 27.4 |
| შიდა ქართლი | 28.1 | 11.1 | 16.8 |
| **სულ** | **43.5** | **4.9** | **20.7** |

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვები ქვეყნის ბაგა-ბაღების 15%-ში (187 ბაგა-ბაღი) ირიცხებოდნენ. სპეციალური პედაგოგების მომსახურება ამ ბაგა-ბაღებიდან მხოლოდ 23-ში იყო ხელმისაწვდომი და ყველა ეს დაწესებულება ქალაქებში – თბილისში (21), იმერეთსა (1) და აჭარაში (1) მდებარეობდა. თბილისის ერთმა ბაგა-ბაღმა ერთწლიანი (10 თვით) კონტრაქტი გააფორმა სპეციალურ პედაგოგთან, მაგრამ მუდმივი პერსონალის ნუსხაში არ შეუყვანია. რაჭა-ლეჩხუმის 36 ბაგა-ბაღიდან არც ერთში არ ირიცხებიან არც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები და არც სპეციალური პედაგოგები.

ბათუმში სპეციალური პედაგოგები ოთხი ბაგა-ბაღის მუდმივ შტატში ირიცხებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი მომსახურების საჭიროება არ არსებობდა (რადგან მოცემულ პერიოდში ამ დაწესებულებებს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვები არ ჰყოლიათ). ამ ბაგა-ბაღებში სპეციალური პედაგოგები სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე ბავშვებთან მუშაობდნენ. რამდენიმე რესპოდენტმა კი განაცხადა, რომ მათ ბაგა-ბაღებში სპეციალური პედაგოგების ფუნქციებს ფსიქოლოგები ითავსებდნენ.

გამოკითხვამ ცხადყო, რომ იმ ბაგა-ბაღებიდან, სადაც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვები ირიცხებოდნენ, მხოლოდ 42%-ს ჰყავდა სპეციალური პედაგოგი ან ფსიქოლოგი. ამ ბაგა-ბაღების 70% თბილისსა და აჭარაში დაფიქსირდა. გურიაში, კახეთსა და სამეგრელოში ეს მაჩვენებელი 8%-ზე დაბალია.

**დიაგრამა 2.1 ბაგა-ბაღები, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და სპეციალური პედაგოგი ან ფსიქოლოგი ჰყავდათ 2011/2012 სასწავლო წლის ბოლოსთვის (%)**




ლოგოპედის მომსახურება ბაგა-ბაღების 20%-ში იყო ხელმისაწვდომი. ყველაზე მეტი ლოგოპედი აჭარისა (69.6%) და თბილისის (47.1%) საბავშვო ბაღების შტატში ირიცხებოდა. გურიაში, იმერეთში, კახეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო ქართლში ეს მაჩვენებელი 10%-სა და 30%-ს შორის მერყეობდა. დანარჩენ რეგიონებში კი 10%-ზე დაბალი იყო.

ამავე პერიოდში ბაგა-ბაღების 80.7%-ს ჰყავდა ცეკვის და/ან მუსიკის მასწავლებელი. ასეთი პედაგოგები გურიის რეგიონულ ბაღებშიც იყვნენ. თბილისის, აჭარისა და შიდა ქართლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ეს მაჩვენებელი 90%-ს შეადგენდა. სხვა რეგიონებში კი 60%-იდან 90%-მდე მერყეობდა.

## აღმზრდელები/მასწავლებლები

ბაგა-ბაღებში სასწავლო პროცესს ძირითადად აღმზრდელები წარმართავენ. ხშირად აღმზრდელს ჰყავს თანაშემწე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, დამლაგებლისა თუ მრეცხავის მოვალეობებსაც ასრულებს. 2011/2012 აკადემიური წლის ბოლოსთვის 1,244 ბაგა-ბაღში 5,424 აღმზრდელი მუშაობდა.

დიაგრამა 2.2 უჩვენებს, რომ აღმზრდელების 38.2% კვირაში 40 საათზე მეტს მუშაობს. ასეთი გახანგრძლივებული სამუშაო გრაფიკის არსებობის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ აღმზრდელებს სამუშაო საათების დაწყებამდე და მათი დასრულების შემდეგაც უწევთ სამსახურში ყოფნა.

**დიაგრამა 2.2 მასწავლებლების განაწილება სამუშაო საათების რაოდენობის მიხედვით (%)**




საქართველოს ბაგა-ბაღებში აღმზრდელების საშუალო ასაკი 44 წელს შეადგენს და სხვადასხვა რეგიონში 40-დან 47 წლამდე მერყეობს. ყველაზე დიდი საშუალო მაჩვენებელი (47 წელი) კახეთის რეგიონში დაფიქსირდა; შემდეგ მოდის რაჭა და შიდა ქართლი (46 წელი); და თბილისი (45 წელი).

**დიაგრამა 2.3 მასწავლებლების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)**




იმერეთის გარდა, ყველა რეგიონში აღმზრდელთა საშუალო ასაკი ქალაქებში უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად. სოფლებსა და ქალაქებში აღმზრდელთა საშუალო ასაკებს შორის ყველაზე დიდი განსხვავება აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში დაფიქსირდა. ამ რეგიონებში საშუალო ასაკი სოფლად 34-35 წელია, ქალაქებში კი – 42 წელი. იმერეთში მასწავლებლების საშუალო ასაკი სოფლად 43 წელს შეადგენს, ქალაქებში კი – 42 წელს.

ცხრილი 2.5 მასწავლებლების განაწილება ასაკობრივი ჯგუფებისა და რეგიონების მიხედვით (%)

| რეგიონი | 25 წელზე ნაკლები | 25 - 29 | 30 - 34 | 35 - 39 | 40 - 44 | 45 - 49 | 50 - 54 | 55 - 59 | 60 - 64 | 65 - 69 | 70 და უფრო მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 0.8 | 6.7 | 11.4 | 18.3 | 13.1 | 13.2 | 13.8 | 8.7 | 9.2 | 3.1 | 1.7 | 100.0 |
| აჭარა | 2.0 | 13.1 | 18.1 | 18.3 | 19.9 | 10.0 | 7.9 | 2.7 | 5.7 | 1.1 | 1.1 | 100.0 |
| გურია | 0.5 | 12.3 | 15.1 | 21.2 | 17.5 | 10.8 | 10.8 | 6.1 | 3.8 | 1.4 | 0.5 | 100.0 |
| იმერეთი | 1.4 | 10.9 | 15.0 | 18.6 | 14.4 | 14.2 | 10.5 | 7.4 | 5.4 | 1.6 | 0.6 | 100.0 |
| კახეთი | 1.5 | 5.6 | 9.4 | 12.1 | 11.7 | 11.3 | 16.9 | 15.0 | 12.1 | 3.3 | 1.2 | 100.0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 2.6 | 12.4 | 13.5 | 16.1 | 10.4 | 11.9 | 11.9 | 7.3 | 8.3 | 3.1 | 2.6 | 100.0 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 1.3 | 5.1 | 9.0 | 15.4 | 17.9 | 14.1 | 10.3 | 10.3 | 12.8 | 3.8 | - | 100.0 |
| სამეგრელო | 1.9 | 9.7 | 16.3 | 20.7 | 14.2 | 7.0 | 12.5 | 10.1 | 4.6 | 2.1 | 0.9 | 100.0 |
| სამცხე-ჯავახეთი | 4.3 | 15.3 | 14.7 | 17.8 | 8.0 | 14.1 | 9.2 | 11.0 | 2.5 | 1.2 | 1.8 | 100.0 |
| ქვემო ქართლი | 0.6 | 6.3 | 14.4 | 14.7 | 16.3 | 15.9 | 13.8 | 11.6 | 4.7 | 1.9 | - | 100.0 |
| შიდა ქართლი | 1.5 | 3.8 | 14.2 | 16.6 | 12.7 | 13.3 | 11.2 | 11.8 | 8.9 | 3.0 | 3.0 | 100.0 |
| სულ | 1.4 | 8.5 | 13.4 | 17.6 | 14.0 | 12.4 | 12.5 | 9.1 | 7.5 | 2.4 | 1.3 | 100.0 |

მასწავლებლების სამსახურის საშუალო ხანგრძლივობა 16 წელი იყო და ქალაქებში 17 წელს, სოფლად კი 14 წელს აღწევდა (სამსახურის ხანგრძლივობაში მხოლოდ აღმზრდელად, ან თანაშემწედ მუშაობის ხანგრძლივობა იგულისხმება). ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აჭარასა და გურიაში (12 წელი), ყველაზე მაღალი კი კახეთში გამოვლინდა (20 წელი).

ქალაქებში ყველაზე დიდი სამუშაო გამოცდილების (21 წელი) მქონე აღმზრდელები კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში მუშაობენ. ყველაზე მცირე სამუშაო გამოცდილება (14 წელი) კი – აჭარაში, გურიასა და იმერეთში დაფიქსირდა.

საერთოდ, სამსახურის საშუალო ხანგრძლივობა სოფლად უფრო მცირეა, ვიდრე ქალაქებში. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აჭარაში გამოვლინდა (4 წელი), შემდეგ მოდის გურია და სამცხე-ჯავახეთი, სადაც მუშაობის საშუალო სტაჟი 9 წელს არ აღემატება. დანარჩენ რეგიონებში ეს მაჩვენებელი 12-დან 19 წლამდე მერყეობს.

რეგიონთა უმეტესობაში აღმზრდელთა უდიდეს ნაწილს (17-37%) 5 წელზე ნაკლები სამუშაო გამოცდილება აქვს. საქართველოს მასშტაბით ამ ჯგუფში შემავალ აღმზრდელთა პროცენტული მაჩვენებელი 22.1%-ს შეადგენს.

ცხრილი 2.6 აღმზრდელთა განაწილება აღმზრდელად და/ან აღმზრდელის თანაშემწედ მუშაობის სტაჟის მიხედვით (%)

| რეგიონი | ალმზრდელად და/ან აღმზრდელის თანაშემწედ/ძიძად მუშაობის ხანგრძლივობა (წლებში) | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 0-4 | 5-9 | 10-14 | 15-19 | 20-24 | 25-29 | 30-34 | 35-39 | 40 და მეტი | სულ |
| თბილისი | 16.9 | 17.9 | 15.3 | 9.3 | 11.1 | 11.1 | 8.9 | 4.6 | 4.8 | 100.0 |
| აჭარა | 36.7 | 17.0 | 11.3 | 6.8 | 11.5 | 9.0 | 2.9 | 2.0 | 2.7 | 100.0 |
| გურია | 30.2 | 28.3 | 9.0 | 6.1 | 7.1 | 5.7 | 9.0 | 4.2 | 0.5 | 100.0 |
| იმერეთი | 24.7 | 26.0 | 9.6 | 6.6 | 9.3 | 8.9 | 6.6 | 3.9 | 4.4 | 100.0 |
| კახეთი | 20.9 | 14.2 | 7.1 | 6.7 | 7.9 | 9.6 | 14.4 | 10.7 | 8.4 | 100.0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 27.5 | 13.0 | 16.6 | 8.8 | 7.3 | 8.8 | 9.3 | 4.1 | 4.7 | 100.0 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 19.2 | 20.5 | 3.8 | 2.6 | 17.9 | 19.2 | 2.6 | 6.4 | 7.7 | 100.0 |
| სამეგრელო | 24.7 | 22.6 | 13.3 | 9.1 | 8.9 | 8.7 | 6.3 | 3.8 | 2.7 | 100.0 |
| სამცხე-ჯავახეთი | 28.8 | 16.0 | 12.9 | 7.4 | 4.9 | 14.7 | 4.9 | 6.7 | 3.7 | 100.0 |
| ქვემო ქართლი | 16.3 | 21.6 | 12.8 | 9.1 | 12.5 | 11.3 | 8.4 | 4.4 | 3.8 | 100.0 |
| შიდა ქართლი | 17.8 | 13.6 | 9.8 | 9.8 | 11.5 | 14.2 | 10.9 | 7.1 | 5.3 | 100.0 |
| **სულ** | **22.1** | **19.2** | **12.3** | **8.1** | **10.1** | **10.4** | **8.3** | **5.0** | **4.5** | **100.0** |

აღმზრდელთა შორის განათლების ყველაზე დაბალი საფეხური სრული საშუალო განათლებაა; მხოლოდ ერთ აღმზრდელს ჰქონდა პროფესიულ-ტექნიკური განათლება. აღმზრდელთა შორის არც ერთს არ ჰქონია დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

აღმზრდელთა მესამედზე მეტს (35.4%) მიღებული აქვს საშუალო პროფესიული განათლება სკოლამდელი აღზრდის, ან სწავლების სფეროში; 24.1% მაგისტრის ხარისხს ფლობს ამ სფეროში, 8.1% კი – ბაკალავრისას.

საერთო ჯამში, აღმზრდელთა 67.6%-ს აქვს ხარისხი სკოლამდელი აღზრდის ან სწავლების სფეროში. რეგიონთა უმრავლესობაში (თუ არ ჩავთვლით იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთს) აღმზრდელთა უმეტესობას საშუალო-სპეციალური განათლება აქვს სკოლამდელი აღზრდისა და სწავლების სფეროში. რეგიონების მიხედვით თუ დავყოფთ, მივიღებთ შემდეგ სურათს: კახეთი (49.2%); თბილისი (45.2%); აჭარა, გურია, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი (29%-35%); დანარჩენ რეგონებში კი ეს მაჩვენებელი 21%-დან 24%-მდე მერყეობს. სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, იმერეთსა და სამცხე ჯავახეთში ბაგა-ბაღების აღმზრდელთა უმეტესობას მაგისტრის ხარისხი აქვს სკოლამდელი აღზრდისა და სწავლების სფეროში.

**ცხრილი 2.7 აღმზრდელთა განაწილება განათლების დონისა და რეგიონების მიხედვით (%)**

| რეგიონი | საშუალო განათლების სრული და საბაზო საფეხური | სახელობო განათლების სერტიფიკატი | საშუალო-პროფესიული განათლება | | ბაკალავრის ხარისხი | | მაგისტრის ხარისხი | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სკოლამდელი აღზრდისა და სწავლების სფერო | სხვა | სკოლამდელი აღზრდისა და სწავლების სფერო | სხვა | სკოლამდელი აღზრდისა და სწავლების სფერო | სხვა | |
| თბილისი | 0.8 | 1.6 | 45.2 | 5.7 | 4.6 | 2.4 | 23.4 | 16.4 | 100.0 |
| აჭარა | 0.9 | 3.2 | 29.0 | 2.9 | 14.9 | 6.8 | 22.2 | 20.1 | 100.0 |
| გურია | 4.7 | 1.4 | 30.7 | 13.7 | 6.1 | 7.1 | 22.2 | 14.2 | 100.0 |
| იმერეთი | 2.2 | 3.1 | 22.1 | 4.4 | 13.3 | 3.2 | 39.8 | 11.8 | 100.0 |
| კახეთი | 4.2 | 1.5 | 49.7 | 7.9 | 2.5 | 1.7 | 16.5 | 15.9 | 100.0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 5.7 | 2.1 | 25.9 | 20.7 | 12.4 | 10.9 | 11.4 | 10.9 | 100.0 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 9.0 | - | 39.7 | 7.7 | 7.7 | 1.3 | 20.5 | 14.1 | 100.0 |
| სამეგრელო | 8.7 | 2.7 | 21.6 | 13.7 | 12.7 | 7.6 | 19.4 | 13.7 | 100.0 |
| სამცხე-ჯავახეთი | 6.1 | 0.6 | 23.9 | 8.0 | 16.0 | 14.1 | 25.8 | 5.5 | 100.0 |
| ქვემო ქართლი | 7.2 | 2.5 | 33.8 | 12.8 | 0.9 | 2.5 | 22.8 | 17.5 | 100.0 |
| შიდა ქართლი | 0.6 | 0.6 | 34.3 | 6.5 | 9.5 | 1.5 | 23.4 | 23.7 | 100.0 |
| **სულ** | **3.1** | **2.0** | **35.4** | **7.7** | **8.1** | **4.1** | **24.1** | **15.6** | **100.0** |

ქალაქებში აღმზრდელთა 37.1%-ს აქვს საშუალო-სპეციალური განათლება სკოლამდელი აღზრდისა და სწავლების სფეროში. 25.7%-ს აქვს მაგისტრის ან ეკვივალენტური სამეცნიერო ხარისხი სკოლამდელი აღზრდისა და სწავლების სფეროში; 16.3%-ს კი აქვს მაგისტრის ხარისხი სხვა სფეროებში. ვითარება თითქმის მსგავსია სოფლადაც.

**დიაგრამა 2.4 რეგიონების მიხედვით იმ აღმზრდელთა წილი, რომლებსაც მიღებული აქვთ განათლება სკოლამდელი აღზრდის ან პედაგოგიკის სფეროში (%)**




აღმზრდელთა 60%-ს გავლილი აქვს სკოლამდელი სწავლების და/ან ადრეული განვითარების საკითხებთან დაკავშირებული სულ მცირე, ერთდღიანი ტრენინგი მაინც. რეგიონებს შორის ტრენინგის დღეების ყველაზე დიდი საშუალო რაოდენობა (4.7 ქალაქებში და 3.9 სოფლად) იმერეთის რეგიონში დაფიქსირდა. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს კახეთის რეგიონს (0.6 ქალაქებში და 1.4 სოფლად).

**ცხრილი 2.8 სკოლამდელ სწავლებასთან და/ან ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდასთან დაკავშირებული ტრენინგების/კურსების საშუალო ხანგრძლივობა 2011/2012 სასწავლო წლის განმავლობაში (დღე)**

| რეგიონი | ქალაქებში | სოფლებში | სულ |
|---|---|---|---|
| თბილისი | 2.5 | - | 2.5 |
| აჭარა | 2.6 | 3.8 | 2.8 |
| გურია | 2.3 | 1.6 | 2.0 |
| იმერეთი | 4.7 | 3.9 | 4.5 |
| კახეთი | 0.6 | 1.4 | 1.2 |
| მცხეთა-მთიანეთი | 2.6 | 3.3 | 3.0 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 3.8 | 2.5 | 3.2 |
| სამეგრელო | 1.8 | 2.5 | 2.1 |
| სამცხე-ჯავახეთი | 1.7 | 1.6 | 1.7 |
| ქვემო ქართლი | 2.6 | 3.1 | 2.8 |
| შიდა ქართლი | 2.5 | 2.2 | 2.4 |
| **სულ** | **2.7** | **2.5** | **2.7** |

### აღმზრდელის თანაშემწეები

2011/2012 სასწავლო წელს საქართველოს 1,244 საბავშვო ბაგა-ბაღში 3,639 აღმზრდელის თანაშემწე მუშაობდა. გამოკითხვამ უჩვენა, რომ აღმზრდელის თანაშემწეები კვირაში უფრო მეტ საათს მუშაობენ, ვიდრე აღმზრდელები. მათი უმრავლესობა (78.8%) კვირაში 40 საათს მუშაობდა მაშინ, როცა ამდენივე საათს სამსახურში აღმზრდელთა მხოლოდ 38.2% ატარებდა.

**დიაგრამა 2.5 აღმზრდელის თანაშემწეების/ძიძების განაწილება სამუშაო საათების მიხედვით (%)**




აღმზრდელის თანაშემწეების საშუალო ასაკი 42 წელს შეადგენს, ანუ 2 წლით მცირეა აღმზრდელთა საშუალო ასაკზე. ეს მაჩვენებელი ყველა რეგიონში – როგორც ქალაქებში, ასევე სოფლად – თითქმის ერთნაირია.

აღმზრდელთა თანაშემწეების უმეტესობა (32,9%) 30-39 წლის ასაკობრივ ჯგუფს განეკუთნებოდა, მაგრამ აჭარასა და ქვემო ქართლში უფრო გავრცელებული ასაკი 40-49 წელი იყო.

**ცხრილი 2.9 აღმზრდელის თანაშემწეების განაწილება ასაკობრივი ჯგუფებისა და რეგიონების მიხედვით (%)**

| რეგიონი | 30 წელზე ნაკლები | 30-39 | 40-49 | 50-59 | 60-69 | 70 და ზემოთ | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 11.6 | 33.9 | 27.3 | 20.8 | 5.9 | 0.5 | 100.0 |
| აჭარა | 17.8 | 28.7 | 30.4 | 18.3 | 4.8 | 0.0 | 100.0 |
| გურია | 7.0 | 32.6 | 31.4 | 22.1 | 7.0 | 0.0 | 100.0 |
| იმერეთი | 13.2 | 33.7 | 24.9 | 24.3 | 3.7 | 0.3 | 100.0 |
| კახეთი | 12.4 | 35.1 | 25.0 | 24.7 | 2.8 | 0.0 | 100.0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 13.2 | 33.9 | 24.0 | 23.1 | 5.0 | 0.8 | 100.0 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 5.9 | 32.4 | 20.6 | 32.4 | 5.9 | 2.9 | 100.0 |
| სამეგრელო | 10.8 | 31.8 | 28.8 | 22.5 | 5.7 | 0.3 | 100.0 |
| სამცხე-ჯავახეთი | 13.2 | 32.4 | 26.5 | 25.0 | 2.9 | 0.0 | 100.0 |
| ქვემო ქართლი | 12.3 | 30.1 | 30.6 | 22.8 | 4.1 | 0.0 | 100.0 |
| შიდა ქართლი | 13.9 | 29.4 | 29.4 | 22.4 | 4.5 | 0.5 | 100.0 |
| **სულ** | **12.4** | **32.9** | **27.2** | **22.3** | **4.9** | **0.4** | **100.0** |

აღმზრდელის თანაშემწეების მუშაობის საშუალო სტაჟი 10 წელია. რეგიონების უმეტესობაში აღმზრდელის თანაშემწეებს 0-4 წელი ჰქონდათ ნამუშევარი. გამონაკლისს წარმოადგენს რაჭა-ლეჩხუმი, სადაც გამოკითხულთა 23.5%-ს 20-24-წლიანი სამუშაო გამოცდილება ჰქონდა.

**ცხრილი 2.10 აღმზრდელის თანაშემწეების განაწილება მუშაობის სტაჟის მიხედვით (%)**

| რეგიონი | აღმზრდელად და/ან აღმზრდელის თანაშემწედ მუშაობის გამოცდილება (წლები) | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 0-4 | 5-9 | 10-14 | 15-19 | 20-24 | 25-29 | 30-34 | 35-39 | 40 და ზემოთ | სულ |
| თბილისი | 43.9 | 24.8 | 11.8 | 6.3 | 5.1 | 3.5 | 2.4 | 0.9 | 1.2 | 100.0 |
| აჭარა | 46.1 | 18.7 | 7.8 | 8.7 | 7.8 | 3.9 | 5.2 | 1.3 | 0.4 | 100.0 |
| გურია | 38.4 | 23.3 | 11.6 | 7.0 | 7.0 | 5.8 | 4.7 | 2.3 | - | 100.0 |
| იმერეთი | 32.7 | 28.1 | 12.1 | 8.3 | 7.3 | 7.0 | 3.0 | 1.0 | 0.6 | 100.0 |
| კახეთი | 41.9 | 22.5 | 9.6 | 7.6 | 7.9 | 5.9 | 3.9 | 0.8 | - | 100.0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 42.1 | 20.7 | 14.9 | 9.1 | 4.1 | 4.1 | 4.1 | 0.8 | - | 100.0 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 20.6 | 11.8 | 17.6 | 8.8 | 23.5 | 8.8 | 8.8 | - | - | 100.0 |
| სამეგრელო | 35.4 | 28.8 | 9.0 | 9.3 | 7.8 | 4.8 | 4.2 | 0.3 | 0.3 | 100.0 |
| სამცხე-ჯავახეთი | 35.3 | 32.4 | 5.9 | 7.4 | 4.4 | 5.9 | 7.4 | 1.5 | - | 100.0 |
| ქვემო ქართლი | 29.2 | 30.6 | 15.1 | 7.8 | 6.8 | 6.4 | 3.7 | 0.5 | - | 100.0 |
| შიდა ქართლი | 32.8 | 25.9 | 13.9 | 10.0 | 9.5 | 4.5 | 2.0 | 1.0 | 0.5 | 100.0 |
| **სულ** | **39.1** | **25.4** | **11.5** | **7.6** | **6.7** | **4.9** | **3.3** | **0.9** | **0.6** | **100.0** |

აღმზრდელის თანაშემწეების უმრავლესობას (35.4%) სკოლამდელი აღზრდის ან სწავლების სფეროში საშუალო სპეციალური განათლება ჰქონდა მიღებული, თუმცა გამოკითხულთა აგრეთვე დიდი ნაწილი (35.2%) სრული საშუალო განათლების მქონე იყო.

თბილისის გარდა ყველა რეგიონში აღმზრდელის თანაშემწეებს შორის სრული საშუალო განათლების მქონენი სჭარბობენ. იმერეთში ისინი 39.7%-ს შეადგენენ. აჭარის რეგიონში სრულ ზოგად განათლებასა და სხვა სფეროებში მიღებულ საშუალო პროფესიულ განათლებაზე თანაშემწეების თანაბარი წილი (34.8%) მოდის. სხვა რეგიონებში აღმზრდელის თანაშემწეების უდიდესი ნაწილი (45-60%) სრული საშუალო განათლების მქონეა. შემდეგ მოდიან ისინი, ვისაც სხვა სფეროებში აქვთ მიღებული საშუალო სპეციალური განათლება.

თბილისში პირიქით, აღმზრდელის თანაშემწეების უდიდეს ნაწილს (30%) საშუალო პროფესიული განათლება აქვს სხვა დარგებში. ყველა რეგიონში გამოკითხულთა 10%-ზე ნაკლებს აღმოაჩნდა სრულ საშუალოსა და საშუალო სპეციალურისგან განსხვავებული განათლება.

გამონაკლისის სახით, გამოკითხულთა მხოლოდ უმცირეს ნაწილს ჰქონდა მაგისტრის (ან მისი ეკვივალენტური) ხარისხი – თბილისში (22.8), იმერეთში (13.2%), კახეთსა (10.4%) და ქვემო ქართლში (13.2%).

საერთო ჯამში, აღმზრდელის თანაშემწეების 20%-ს ჰქონდა უმაღლესი განათლება. დანარჩენ 20%-ს კი – საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება სკოლამდელი აღზრდისა და სწავლების სფეროში.

**ცხრილი 2.11 აღმზრდელის თანაშემწეების განაწილება განათლების დონისა და რეგიონების მიხედვით (%)**

| რეგიონი | არასრული საშუალო განათლება | სრული საშუალო განათლება (საშუალო სკოლა) | პროფტექნიკური განათლების სერტიფიკატი | საშუალო (საშუალო-სპეციალური) განათლების ატესტატი | | ბაკალავრის ხარისხი | | მაგისტრის ხარიხი | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სკოლამდელი აღზრდის ან პედაგოგობის სფერო | სხვა | სკოლამდელი აღზრდის ან პედაგოგობის სფერო | სხვა | სკოლამდელი აღზრდის ან პედაგოგობის სფერო | სხვა | |
| თბილისი | 0.7 | 18.1 | 4.7 | 17.0 | 30.0 | 3.5 | 3.2 | 9.5 | 13.3 | 100.0 |
| აჭარა | 0.4 | 34.8 | 3.5 | 13.5 | 34.8 | 5.2 | 2.6 | 2.6 | 2.6 | 100.0 |
| გურია | - | 46.5 | 3.5 | 18.6 | 20.9 | - | 1.2 | 7.0 | 2.3 | 100.0 |
| იმერეთი | 0.5 | 39.7 | 4.0 | 3.8 | 31.6 | 5.1 | 2.2 | 7.0 | 6.2 | 100.0 |
| კახეთი | 2.5 | 48.0 | 3.9 | 14.9 | 17.7 | 1.1 | 1.4 | 3.9 | 6.5 | 100.0 |
| მცხეთა-მთიანეთი | - | 49.6 | 7.4 | 13.2 | 24.0 | 1.7 | 2.5 | - | 1.7 | 100.0 |
| რაჭა-ლეჩხუმი | - | 50.0 | 5.9 | 5.9 | 32.4 | - | - | - | 5.9 | 100.0 |
| სამეგრელო | 0.3 | 46.5 | 5.4 | 6.0 | 27.6 | 3.6 | 3.3 | 3.0 | 4.2 | 100.0 |
| სამცხე-ჯავახეთი | - | 45.6 | 2.9 | 10.3 | 27.9 | 2.9 | 5.9 | - | 4.4 | 100.0 |
| ქვემო ქართლი | 0.5 | 50.7 | 0.5 | 10.5 | 23.3 | 0.9 | 0.5 | 2.7 | 10.5 | 100.0 |
| შიდა ქართლი | 1.0 | 59.2 | 4.5 | 4.5 | 19.4 | 1.5 | 1.5 | 3.0 | 5.5 | 100.0 |
| **სულ** | **0.7** | **35.2** | **4.3** | **11.9** | **27.7** | **3.2** | **2.5** | **6.1** | **8.4** | **100.0** |

აღმზრდელის თანაშემწეების მხოლოდ 27.7%-ს ჰქონდა გავლილი ტრენინგი (იგულისხმება ერთდღიანი ტრენინგიც კი) სკოლამდელი და/ან ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდის სფეროში. უნდა აღინიშნოს, რომ აღმზრდელთა შორის ეს მაჩვენებელი 56.8%-ს შეადგენდა. ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა თბილისში, სადაც ტრენინგი თანაშემწეთა 64.1%-ს ჰქონდა გავლილი. გურიისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში 2011/2012 სასწავლო წელს ტრენინგი არც ერთ თანაშემწეს არ გაუვლია.

**დიაგრამა 2.6 მასწავლებელთა თანაშემწეების იმ ნაწილის პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც 2011/2012 სასწავლო წელს ტრენინგი გაიარეს სკოლამდელი სწავლებისა და/ან ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდის სფეროში (%)**




აღმზრდელის თანაშემწეების ტრენინგების საშუალო ხანგრძლივობა 1.1 დღე იყო, აღმზრდელთა ტრენინგებისა – 2.7. თანაშემწეთა ყველაზე ხანგრძლივი ტრენინგები თბილისსა (2.4 დღე) და აჭარის სოფლებში (2.5 დღე) დაფიქსირდა.

**ცხრილი 2.11 2011/012 სასწავლო წელს აღმზრდელთა თანაშემწეების მიერ გავლილი სკოლამდელ სწავლებასთან და/ან ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდასთან დაკავშირებული ტრენინგების/კურსების საშუალო ხანგრძლივობა (დღეების რაოდენობა)**

| რეგიონი | ქალაქებში | სოფლებში | სულ |
|---|---|---|---|
| თბილისი | 2.4 | - | 2.4 |
| აჭარა | 0.3 | 2.5 | 0.8 |
| გურია | - | - | - |
| იმერეთი | 0.1 | 0.9 | 0.3 |
| კახეთი | 0.0 | 0.2 | 0.1 |
| მცხეთა-მთიანეთი | 0.8 | 0.3 | 0.5 |
| რაჭა-ლეჩხუმი | - | - | - |
| სამეგრელო | 0.2 | 0.3 | 0.3 |
| სამცხე-ჯავახეთი | 0.3 | 1.2 | 0.4 |
| ქვემო ქართლი | 0.0 | 0.2 | 0.1 |
| შიდა ქართლი | 0.1 | - | 0.1 |
| **სულ** | **1.3** | **0.5** | **1.1** |

## ადგილებისა და რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობა

2011/2012 სასწავლო წელს საქართველოში 1,244 ბაგა-ბაღი ფუნქციონირებდა, რომლებშიც 105,303 ბავშვი (54,138 ბიჭი და 51,165 გოგონა) იყო დარეგისტრირებული. უნდა აღინიშნოს, რომ „თავისუფალი ადგილების" რაოდენობა ყველგან მკაფიოდ განსაზღვრული არ ყოფილა და ზოგიერთ ბაგა-ბაღში ეს ციფრი უბრალოდ რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობით განისაზღვრებოდა. ზოგიერთი ბაგა-ბაღის დირექტორმა გვაცნობა, რომ თავისუფალი ადგილების რაოდენობის მიუხედავად, ვალდებული იყო, ყველა მსურველი დაერეგისტრირებინა. უკანასკნელ წლებში კი ბავშვების რიცხვმა საგრძნობლად იმატა, რამაც თავისუფალი ადგილების რაოდენობის ხელოვნურად გაზრდა გამოიწვია.

**ცხრილი 2.13 ადგილებისა და რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობა 2011/2012 სასწავლო წლის ბოლოსთვის**

| | თბილისი | აჭარა | გურია | იმერეთი | კახეთი | მცხეთა-მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი | სამეგრელო | სამცხე-ჯავახეთი | ქვემო ქართლი | შიდა ქართლი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადგილების რაოდენობა | 43,300 | 6,760 | 3,233 | 18,162 | 12,106 | 2,838 | 1,001 | 9,706 | 2,880 | 9,937 | 6,652 | 11,6575 |
| ბავშვების რაოდენობა | 41,420 | 6,742 | 2,875 | 15,671 | 9,420 | 2,462 | 689 | 8,571 | 2,755 | 8,527 | 6,171 | 105,303 |
| *მათ შორის:* | | | | | | | | | | | | |
| სამ წლამდე გოგონები | 3,263 | 250 | 325 | 1,943 | 1,309 | 342 | 101 | 860 | 323 | 823 | 784 | 10,323 |
| სამ წლამდე ბიჭები | 3,307 | 288 | 339 | 1,956 | 1,390 | 458 | 86 | 884 | 310 | 900 | 865 | 10,783 |
| სამ წელს ზემოთ გოგონები | 16,893 | 3,005 | 1,097 | 5,650 | 3,232 | 787 | 255 | 3,355 | 1,088 | 3,244 | 2,236 | 40,842 |
| სამ წელს ზემოთ ბიჭები | 17,957 | 3,199 | 1,114 | 6,122 | 3,489 | 875 | 247 | 3,472 | 1,034 | 3,560 | 2,286 | 43,355 |

ცხრილი 2.13 ცხადყოფს, რომ წინა წლების მსგავსად, 2011/2012 სასწავლო წელსაც, ადგილების რაოდენობა ყველა რეგიონში აღემატებოდა ბავშვების რაოდენობას.

## ბავშვების რაოდენობა

გამოკითხვამ უჩვენა, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისთვის ბავშვთა რაოდენობა იზრდება. 2011/2012 სასწავლო წელს ყველაზე დიდი ზრდა რაჭა-ლეჩხუმის (15.3%), შიდა ქართლისა (12%) და აჭარის (10.6%) რეგიონებში დაფიქსირდა. 2012/2013 სასწავლო წელს ყველაზე დიდი ზრდა აჭარაში იყო (29.8%). დანარჩენ რეგიონებში ეს მაჩვენებელი, არც 2011/2012 და არც 2012/2013 სასწავლო წლებში 9%-ს არ აღემატებოდა.

**დიაგრამა 2.7 ბავშვების რაოდენობა 2011/2012 სასწავლო წლის დასაწყისისთვის**[4]




დიაგრამა ცხადყოფს, რომ 2010-2013 წლებში ბაგა-ბაღებში ბავშვთა რაოდენობა განუხრელად იზრდებოდა. ბოლო 2 წლის განმავლობაში, სასწავლო წლის დასაწყისისთვის ბაღებში აღსაზრდელთა საშუალო რიცხოვნობამ წინა წლებთან შედარებით 4-6%-ით იმატა.

4 მხოლოდ იმ ბაგა-ბაღების ბავშვთა რაოდენობაა დათვლილი, რომელთაც დაამუშავეს/მოგვაწოდეს სამივე წლის მონაცემები.

## ბავშვთა ჯგუფები

კვლევამ უჩვენა, რომ 2011/2012 სასწავლო წლის ბოლოსთვის ჯგუფებში ბავშვთა საშუალო რაოდენობა 13.5-დან (რაჭა-ლეჩხუმი) 33-მდე (თბილისი) მერყეობდა. აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში ჯგუფებში საშუალოდ 30-32 ბავშვი ირიცხებოდა. სხვა რაიონებში ეს მაჩვენებელი 22-დან 29-მდე მერყეობდა. უმეტეს შემთხვევაში, ჯგუფებში ბავშვთა საშუალო რიცხოვნობა სოფლად უფრო დაბალი იყო. ერთადერთ გამონაკლისს მცხეთა-მთიანეთი წარმოადგენს, სადაც ეს მაჩვენებელი ქალაქებში 21.2-ს, სოფლად კი 22.7-ს შეადგენდა.

**ცხრილი 2.14 ჯგუფებში ბავშვთა საშუალო რაოდენობა რეგიონების მიხედვით**

| რეგიონი | ქალაქებში | სოფლებში | სულ |
|---|---|---|---|
| თბილისი | 33.1 | - | 33.1 |
| აჭარის ა. რ. | 32.9 | 21.0 | 30.4 |
| გურია | 28.1 | 23.1 | 25.4 |
| იმერეთი | 26.7 | 20.5 | 25.0 |
| კახეთი | 26.3 | 20.5 | 22.1 |
| მცხეთა-მთიანეთი | 21.2 | 22.7 | 22.2 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 17.4 | 11.0 | 13.5 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 24.5 | 20.6 | 22.6 |
| სამცხე-ჯავახეთი | 32.5 | 28.1 | 31.7 |
| ქვემო ქართლი | 30.9 | 23.3 | 28.7 |
| შიდა ქართლი | 28.9 | 22.1 | 25.8 |
| **სულ** | **30.4** | **21.0** | **27.7** |

2011/2012 სასწავლო წლის ბოლოსთვის, ჯგუფები, რომლებშიც 40-ზე მეტი ბავშვი ირიცხებოდა, საერთო რაოდენობის 6.1%-ს შეადგენდა. ეს მაჩვენებელი ქალაქებში 8%-ს, სოფლებში კი 1.4%-ს უტოლდება. 40-ბავშვიანი (და უფრო მრავალრიცხოვანი) ჯგუფების ყველაზე დიდი წილი სამცხე-ჯავახეთზე მოდის (16.1%). ეს მაჩვენებელი ასევე მაღალია აჭარასა (13.5%) და თბილისში (9%). თბილისში ასეთი ჯგუფების 41.6% გლდანი-ნაძალადევის რაიონში ფიქსირდება.

**ცხრილი 2.15 ორმოც ბავშვიან ჯგუფებზე უფრო დიდი ჯგუფების პროცენტული თანაფარდობა რეგიონებში (%)**

| რეგიონი | ქალაქებში | სოფლებში | სულ |
|---|---|---|---|
| თბილისი | 9.0 | - | 9.0 |
| აჭარის ა. რ. | 15.4 | 6.4 | 13.5 |
| გურია | 0.0 | 1.7 | 0.9 |
| იმერეთი | 5.1 | 0.6 | 3.8 |
| კახეთი | 4.3 | 0.6 | 1.6 |
| მცხეთა-მთიანეთი | - | 2.8 | 1.8 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | - | - | - |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 2.7 | 2.1 | 2.4 |
| სამცხე-ჯავახეთი | 19.7 | - | 16.1 |
| ქვემო ქართლი | 7.6 | - | 5.4 |
| შიდა ქართლი | 10.7 | 1.9 | 6.7 |
| **სულ** | **8.0** | **1.4** | **6.1** |

2011/2012 სასწავლო წლის ბოლოსთვის, ბაგა-ბაღებში ჯგუფების საშუალო რაოდენობა 3.1-ს შეადგენდა – აქედან 5.3 ქალაქებში და 1.5 სოფლებში. რეგიონებს შორის ჯგუფების ყველაზე დიდი საშუალო რაოდენობა თბილისში (8), ყველაზე მცირე კი, რაჭა-ლეჩხუმში (1.4) დაფიქსირდა.

ბაგა-ბაღები, რომლებშიც მხოლოდ ერთი ჯგუფია, თბილისის საბავშვო ბაღების 1%-ს შეადგენენ. 11 და უფრო მეტი ჯგუფის მქონე ბაგა-ბაღები კი – 26.8%-ს. ერთჯგუფიანი საბავშვო ბაღების ყველაზე დიდი წილი რაჭა-ლეჩხუმის რეგიონზე მოდიოდა (86.1%). ეს მაჩვენებელი ასევე მაღალი იყო გურიისა (61.2%) და იმერეთის (54%) რეგიონებშიც. მთელ საქართველოში ერთჯგუფიანი ბაგა-ბაღების პროცენტული მაჩვენებელი 41.7%-ს შეადგენდა.

ასევე საინტერესოა რეგიონების მასშტაბით ბაგა-ბაღებში ბავშვთა ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფაც. უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფების 23.9% სხვადასხვა ასაკის ბავშვებით იყო დაკომპლექტებული, 17.6% კი – 2-3 წლის ბავშვებით. რეგიონების უმრავლესობაში ყველაზე უფრო გავრცელებული იყო შერეული ასაკობრივი ჯგუფები. ასეთი ჯგუფები დომინირებდა რაჭა-ლეჩხუმში (66.7%). ზოგ ბაგა-ბაღში შერეულ ასაკობრივ ჯგუფებში 1-2 წლის ბავშვებიც კი შედიოდნენ.

**ცხრილი 2.16 ჯგუფების განაწილება ასაკისა და რეგიონების მიხედვით (%)**

| რეგიონი | 2-3 წლის | 3-4 წლის | 4-5 წლის | 5-6 წლის | შერეული ჯგუფები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 19.4 | 22.6 | 24.7 | 25.4 | 7.9 | 100.0 |
| აჭარის ა. რ. | 4.1 | 27.0 | 22.5 | 23.9 | 22.5 | 100.0 |
| გურია | 13.3 | 15.9 | 15.9 | 8.8 | 46.0 | 100.0 |
| იმერეთი | 21.7 | 17.7 | 16.6 | 18.2 | 26.0 | 100.0 |
| კახეთი | 22.7 | 14.3 | 13.8 | 15.7 | 33.5 | 100.0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 19.8 | 13.5 | 11.7 | 10.8 | 44.1 | 100.0 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 9.8 | 7.8 | 7.8 | 7.8 | 66.7 | 100.0 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 8.7 | 17.4 | 14.2 | 15.3 | 44.5 | 100.0 |
| სამცხე-ჯავახეთი | 11.5 | 17.2 | 14.9 | 19.5 | 36.8 | 100.0 |
| ქვემო ქართლი | 19.5 | 19.5 | 19.2 | 20.9 | 20.9 | 100.0 |
| შიდა ქართლი | 17.2 | 22.6 | 19.2 | 17.6 | 23.4 | 100.0 |
| **სულ** | **17.6** | **19.6** | **19.1** | **19.9** | **23.9** | **100.0** |

რაც შეეხება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ბავშვთა საშუალო რაოდენობას, ყველაზე დიდი მაჩვენებელი უფროსი ასაკის აღსაზრდელებში (31.8 ბავშვი) დაფიქსირდა. ყველაზე დიდი განსხვავება ქალაქებსა (33.3 ბავშვი) და სოფლებს (23.2 ბავშვი) შორის 5-6 წლის ასაკობრივ ჯგუფებში შეინიშნებოდა. ყველა ასაკობრივ კატეგორიაში ბავშვთა ყველაზე მცირე რაოდენობა რაჭა-ლეჩხუმში დაფიქსირდა.

**ცხრილი 2.17 ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვთა საშუალო რაოდენობა რეგიონებში**

| რეგიონი | 2-3-წლიანთა ჯგუფები | 3-4-წლიანთა ჯგუფები | 4-5-წლიანთა ჯგუფები | 5-6-წლიანთა ჯგუფები | შერეული ჯგუფები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 26.1 | 34.1 | 35.4 | 35.5 | 33.1 | 33.1 |
| აჭარის ა. რ. | 26.0 | 32.6 | 32.9 | 33.0 | 23.1 | 30.4 |
| გურია | 23.2 | 28.4 | 27.5 | 29.8 | 23.5 | 25.4 |
| იმერეთი | 22.2 | 27.2 | 27.0 | 30.5 | 20.5 | 25.0 |
| კახეთი | 19.2 | 22.2 | 23.6 | 24.9 | 22.0 | 22.1 |
| მცხეთა-მთიანეთი | 19.8 | 27.1 | 27.9 | 25.3 | 19.5 | 22.2 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 15.8 | 16.0 | 19.3 | 21.5 | 11.3 | 13.5 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 19.5 | 23.0 | 25.6 | 25.8 | 20.9 | 22.6 |
| სამცხე-ჯავახეთი | 30.8 | 31.2 | 36.2 | 30.8 | 30.8 | 31.7 |
| ქვემო ქართლი | 25.2 | 28.2 | 31.0 | 32.8 | 26.2 | 28.7 |
| შიდა ქართლი | 24.7 | 25.3 | 27.8 | 28.7 | 23.4 | 25.8 |
| **სულ** | **23.5** | **29.5** | **31.1** | **31.8** | **23.0** | **27.7** |

ძირითადი სასწავლო ენა საქართველოს თითქმის ყველა საბავშვო ბაღში ქართული იყო. თუმცა 29 ბაგა-ბაღში ფუნქციონირებდა ცალკეული ჯგუფები, სადაც ძირითადი სასწავლო ენა ქართული არ ყოფილა. მეტიც, კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში არსებულ ცხრა საბავშვო ბაღში არც ერთ ჯგუფში არ ასწავლიდნენ ქართულად. ზემოთ ხსენებულ ბაგა-ბაღებში, საერთო ჯამში, 53 ჯგუფი იყო გახსნილი (საქართველოს ბაგა-ბაღებში არსებული ჯგუფების 1.4%) და მათგან 52-ში ქართული დამატებით ენად ისწავლებოდა.

**ცხრილი 2.18 იმ ჯგუფების რაოდენობა, სადაც ქართული ძირითადი ენა არ ყოფილა 2011/2012 სასწავლო წლის ბოლოსათვის**

| სასწავლო ენა | თბილისი | აჭარა | კახეთი | სამცხე-ჯავახეთი | ქვემო ქართლი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსული | 15 | 1 | 1 | 3 | 2 | 22 |
| სომხური | 0 | 0 | 0 | 20 | 2 | 22 |
| აზერბაიჯანული | 0 | 0 | 2 | 0 | 7 | 9 |
| **სულ** | **15** | **1** | **3** | **23** | **11** | **53** |

ბაგა-ბაღებში დასწრების საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მერყეობს სეზონის მიხედვით და სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულია. კვლევამ უჩვენა, რომ ზამთარში დასწრება ყველაზე უფრო დაბალ (68.6%), გაზაფხულზე კი ყველაზე მაღალ (88.8%) ნიშნულს აღწევდა. რეგიონების მიხედვით, დასწრების ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი (60.2%) აჭარაში, ყველაზე მაღალი კი სამეგრელოში (77%) დაფიქსირდა.

**ცხრილი 2.19 ბავშვთა საშუალო დასწრება სეზონის მიხედვით საქართველოს რეგიონებში (%)**

| რეგიონი | შემოდგომა | ზამთარი | გაზაფხული |
|---|---|---|---|
| თბილისი | 81.2 | 64.3 | 81.4 |
| აჭარის ა. რ. | 87.8 | 60.2 | 84.5 |
| გურია | 85.0 | 63.3 | 87.1 |
| იმერეთი | 90.6 | 73.0 | 90.1 |
| კახეთი | 88.8 | 62.9 | 89.5 |
| მცხეთა-მთიანეთი | 86.1 | 69.0 | 90.1 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 88.5 | 71.1 | 88.2 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 92.1 | 77.0 | 92.4 |
| სამცხე-ჯავახეთი | 86.8 | 68.2 | 90.0 |
| ქვემო ქართლი | 92.1 | 72.0 | 92.7 |
| შიდა ქართლი | 87.5 | 60.7 | 87.2 |
| **სულ** | **88.5** | **68.6** | **88.8** |

### ხელფასები[5]

საქართველოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ხელფასების მხრივ განსხვავებები გამოვლინდა როგორც ვერტიკალურად (სხვადასხვა თანამდებობაზე), ასევე ჰორიზონტალურად (ერთსა და იმავე თანამდებობაზე). სამუშაო საათების გარდა, ხელფასის ოდენობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა აღსაზრდელი ბავშვების რაოდენობა და სამუშაო პირობები (მაგალითად, მაღალმთიან რეგიონებში მუშაობა). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კვალიფიკაციისა და სამუშაო სტაჟის მიხედვით ხელფასებს შორის რაიმე მნიშვნელოვანი სხვაობა არ არსებობს.

2011/2012 სასწავლო წელს მუდმივი შტატის ხელფასებთან დაკავშირებული მონაცემები 1,244 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ მოგვაწოდა.

5 იგულისხმება ყოველთვიური ხელფასი. სხვა შემთხვევაში გვაქვს მინიშნება.

**ცხრილი 2.20 მუდმივი შტატის თანამშრომელთა საშუალო ხელფასები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში**

| თანამდებობა | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რაოდენობა | მინიმალური ხელფასი ლარებში | მაქსიმალური ხელფასი ლარებში | საშუალო ხელფასი ლარებში |
|---|---|---|---|---|
| დირექტორის მოადგილე | 169 | 100 | 600 | 490.4 |
| სასწავლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი | 286 | 65 | 650 | 335.5 |
| მომარაგების კოორდინატორი | 510 | 70 | 550 | 250.2 |
| ადმინისტრატორი | 156 | 100 | 600 | 357.0 |
| ექიმი | 27 | 167 | 370 | 257.3 |
| მედდა | 598 | 60 | 420 | 188.1 |
| ფსიქოლოგი | 257 | 80 | 350 | 225.3 |
| სპეციალური პედაგოგი (სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან სამუშაოდ) | 27 | 250 | 400 | 277.0 |
| ლოგოპედი | 251 | 80 | 350 | 218.3 |
| მუსიკის მასწავლებელი | 1,004 | 60 | 375 | 177.7 |
| ცეკვის მასწავლებელი | 125 | 75 | 450 | 253.4 |
| ძიძა | 269 | 60 | 500 | 150.3 |
| მზარეული/მზარეულის თანაშემწე | 1,210 | 60 | 450 | 188.1 |
| დარაჯი/დაცვა | 865 | 30 | 400 | 142.4 |
| დამლაგებელი | 391 | 70 | 400 | 174.7 |
| მრეცხავი | 264 | 40 | 300 | 168.8 |
| სხვა | 549 | 50 | 350 | 172.4 |

* დირექტორების, აღმზრდელებისა და აღმზრდელის თანაშემწეების ხელფასები ცალკეა მითითებული

ყველაზე დაბალი მინიმალური ხელფასი (30 ლარი) ბაგა-ბაღის დარაჯებს ჰქონდათ, ყველაზე მაღალი მინიმალური ხელფასი (250 ლარი) კი – სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან მომუშავე პედაგოგებს.

მაქსიმალური ხელფასი 300 ლარიდან 650 ლარამდე მერყეობდა. სასწავლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი 650 ლარს, დირექტორის მოადგილე კი 600 ლარს იღებდა. ყველაზე დაბალი მაქსიმალური ხელფასი (300 ლარი) მრეცხავს ჰქონდა. ერთმა ბაგა-ბაღმა კი გვაცნობა, რომ ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორს 2,500 ლარს უხდიდა.

სხვადასხვა თანამდებობაზე მომუშავე თანამშრომლების საშუალო ხელფასები 142.4 ლარიდან (დარაჯების) 450 ლარამდე (დირექტორის მოადგილეების) მერყეობდა. საქმის მწარმოებლების საშუალო ხელფასი 357 ლარს შეადგენდა.

## დირექტორთა ხელფასები

2011/2012 სასწავლო წელს დირექტორთა ხელფასების შესახებ 1,215-მა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ გვაცნობა.

**ცხრილი 2.21 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორთა ხელფასები 2011/2012 სასწავლო წლის ბოლოსათვის (ლარებში)**

| | მინიმალური | მაქსიმალური | საშუალო |
|---|---|---|---|
| მთელი საქართველო | 130 | 1,000 | 342 |
| თბილისი | 550 | 1,000 | 941 |
| აჭარის ა. რ. | 315 | 500 | 417 |
| გურია | 220 | 370 | 274 |
| იმერეთი | 170 | 450 | 265 |
| კახეთი | 165 | 272 | 197 |
| მცხეთა-მთიანეთი | 165 | 700 | 232 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 150 | 500 | 222 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 140 | 360 | 212 |
| სამცხე-ჯავახეთი | 210 | 420 | 287 |
| ქვემო ქართლი | 130 | 500 | 291 |
| შიდა ქართლი | 180 | 440 | 294 |

დირექტორთა ყველაზე დაბალი ხელფასების შესახებ (130 ლარი) ქვემო ქართლის ორმა სოფლის ბაგა-ბაღმა გვაცნობა. სამეგრელო-ზემო სვანეთის 215 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებიდან 42-მა (რომელთაგან მხოლოდ ერთი მდებარეობდა ქალაქში) მიუთითა, რომ მათი დირექტორების ხელფასები 140 ლარს შეადგენდა. დირექტორთა ყველაზე მაღალი ხელფასი 1,000 ლარი იყო და ეს მაჩვენებელი თბილისის ბაგა-ბაღების 84.1%-ში დაფიქსირდა. სოფლის ბაგა-ბაღებს შორის ყველაზე მაღალი ხელფასის შესახებ (700 ლარი) მცხეთა-მთიანეთის სკოლამდელი აღზრდის ერთმა დაწესებულებამ გვაცნობა.

**დიაგრამა 2.8 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განაწილება დირექტორთა ხელფასების მიხედვით (%)**



ცხრილი 2.22 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განაწილება დირექტორთა ხელფასების ოდენობის მიხედვით ქალაქებსა და სოფლებში (%)

| ლარი | სულ | ქალაქებში | სოფლებში |
|---|---|---|---|
| 130 - 200 ლარი | 32.4 | 11.4 | 47.5 |
| 201- 350 ლარი | 43.2 | 34.7 | 49.3 |
| 351- 500 ლარი | 11.4 | 22.9 | 3.1 |
| 501- 800 ლარი | 2.1 | 4.9 | 0.1 |
| 800 ლარზე მეტი | 10.9 | 26.0 | - |

ცხრილი 2.23 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაყოფა დირექტორთა ხელფასების ოდენობის მიხედვით 2011/2012 სასწავლო წლის ბოლოსათვის (%)

| რეგიონი | 130-200 ლარი | 201-350 ლარი | 351-500 ლარი | 501-800 ლარი | 800 ლარზე მეტი |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | - | - | - | 15.9 | 84.1 |
| აჭარის ა. რ. | - | 12.5 | 87.5 | - | - |
| გურია | - | 98.2 | 1.8 | - | - |
| იმერეთი | 23.6 | 61.2 | 15.2 | - | - |
| კახეთი | 63.5 | 36.5 | - | - | - |
| მცხეთა-მთიანეთი | 24.1 | 74.1 | - | 1.9 | - |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 68.0 | 20.0 | 12.0 | - | - |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 70.5 | 28.6 | 0.9 | - | - |
| სამცხე-ჯავახეთი | - | 82.4 | 17.6 | - | - |
| ქვემო ქართლი | 29.8 | 42.9 | 27.4 | - | - |
| შიდა ქართლი | 3.2 | 77.9 | 18.9 | - | - |

### აღმზრდელები

2011/2012 სასწავლო წლის ბოლოსთვის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მომუშავე 5424 აღმზრდელი საშუალოდ 235 ლარს იღებდა ხელფასის სახით. ყველაზე დაბალი ხელფასების შესახებ (50 ლარი) რვა, უმეტესწილად იმერეთის რეგიონში მომუშავე ბაგა-ბაღმა გვაცნობა; ყველაზე მაღალი ხელფასები კი (600 ლარი) თბილისის ცხრა საბავშვო ბაღში დაფიქსირდა.

**ცხრილი 2.24 აღმზრდელთა განაწილება ხელფასების ოდენობის მიხედვით რეგიონების მასშტაბით (კაცი)**

| რეგიონი | აღმზრდელთა რაოდენობა | 50-100 ლარი | 101-200 ლარი | 201-300 ლარი | 301-400 ლარი | 401-500 ლარი | 501-600 ლარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 5,424 | 476 | 2,245 | 1,735 | 328 | 575 | 65 |
| თბილისი | 1,857 | - | 575 | 519 | 123 | 575 | 65 |
| აჭარის ა. რ. | 442 | - | 68 | 169 | 205 | - | - |
| გურია | 212 | - | 74 | 138 | - | - | - |
| იმერეთი | 773 | 77 | 267 | 429 | - | - | - |
| კახეთი | 521 | 70 | 431 | 20 | - | - | - |
| მცხეთა-მთიანეთი | 193 | 79 | 111 | 3 | - | - | - |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 78 | 15 | 55 | 8 | - | - | - |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 527 | 64 | 342 | 121 | - | - | - |
| სამცხე-ჯავახეთი | 163 | 42 | 94 | 27 | - | - | - |
| ქვემო ქართლი | 320 | 30 | 117 | 173 | - | - | - |
| შიდა ქართლი | 338 | 99 | 111 | 128 | - | - | - |

ქალაქების ბაგა-ბაღებში მომუშავე აღმზრდელთა 36%-ის ხელფასი 201-300 ლარს შეადგენდა, სოფლის საბავშვო ბაღებში მომუშავე აღმზრდელთა 62%-ის ხელფასი კი – 101-200 ლარს. მეორე მხრივ, ქალაქებში მომუშავე აღმზრდელთა 5.9% და სოფლებში მომუშავე აღმზრდელთა 16.6% მხოლოდ 50-100 ლარს იღებდა ხელფასის სახით.

**ცხრილი 2.25 აღმზრდელთა განაწილება ხელფასების ოდენობის მიხედვით ქალაქებსა და სოფლებში (%)**

| ლარი | ქალაქებში | სოფლებში |
|---|---|---|
| 50-100 ლარი | 5.9 | 16.6 |
| 101-200 ლარი | 33.7 | 62.5 |
| 201-300 ლარი | 36.0 | 20.9 |
| 301-400 ლარი | 8.3 | - |
| 401-500 ლარი | 14.5 | - |
| 501-600 ლაი | 1.6 | - |

იმ აღმზრდელთა 64%, რომლებიც კვირაში 21 საათზე ნაკლებს მუშაობდნენ, 101-200 ლარს იღებდა ხელფასის სახით და მხოლოდ 1.6%-ის ხელფასი შეადგენდა 201-300 ლარს. კვირაში 21-დან 35 საათამდე მომუშავე აღმზრდელთა უდიდესი ნაწილის (44.7%) ანაზღაურება 201-დან 300 ლარამდე იყო; 11 აღმზრდელი (საერთო რაოდენობის 0.6%) 50-100 ლარს იღებდა, 8 აღმზრდელი კი (საერთო რაოდენობის 0.4%) 401-500 ლარს. მასწავლებელთა მომდევნო უდიდესი ჯგუფიც (39.8%), რომელიც კვირაში 35 საათზე მეტს მუშაობდა, ასევე 201-300 ლარს იღებდა ყოველთვიურად და მხოლოდ ერთი ასეთი აღმზრდელის ხელფასი იყო 100 ლარი.

**ცხრილი 2.26 აღმზრდელთა განაწილება ხელფასების ოდენობისა და კვირის სამუშაო საათების მიხედვით (%)**

| საშუალო ხელფასი | 10-20 საათი | 21-35 საათი | 35 საათზე მეტი |
|---|---|---|---|
| 50-100 ლარი | 34.5 | 0.6 | 0.0 |
| 101-200 ლარი | 64.0 | 38.8 | 29.8 |
| 201-300 ლარი | 1.6 | 44.7 | 39.8 |
| 301-400 ლარი | - | 15.5 | 1.7 |
| 401-500 ლარი | - | 0.4 | 25.7 |
| 501-600 ლარი | - | - | 2.9 |

21-დან 35 საათამდე მომუშავე აღმზრდელთა საშუალო ხელფასი 242 ლარს შეადგენდა – 100 ლარით (ქვემო ქართლი) დაწყებული და 303 ლარით (თბილისი) დამთავრებული. 35 საათზე მეტ ხანს მომუშავე აღმზრდელები კი საშუალოდ 293 ლარს იღებდნენ – აქედან ყველაზე დაბალი ხელფასი რაჭა-ლეჩხუმში (161 ლარი), ყველაზე მაღალი (455 ლარი) კი თბილისში დაფიქსირდა.

**ცხრილი 2.27 აღმზრდელთა საშუალო ხელფასების დაყოფა კვირაში სამუშაო საათების მიხედვით რეგიონების მასშტაბით (ლარი)**

| რეგიონი | საშუალო ხელფასი, სულ | მათ შორის: | | |
|---|---|---|---|---|
| | | 10-20 საათი | 21-35 საათი | 35 საათზე მეტი |
| სულ | 235 | 130 | 242 | 293 |
| თბილისი | 314 | 158 | 303 | 455 |
| აჭარის ა. რ. | 279 | 158 | 300 | 304 |
| გურია | 212 | 159 | 236 | 227 |
| იმერეთი | 200 | 92 | 183 | 237 |
| კახეთი | 162 | 71 | 179 | 175 |
| მცხეთა-მთიანეთი | 149 | 95 | 189 | - |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 149 | 100 | 178 | 161 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 171 | 123 | 180 | 199 |
| სამცხე-ჯავახეთი | 163 | 117 | 193 | 220 |
| ქვემო ქართლი | 219 | 98 | 100 | 232 |
| შიდა ქართლი | 172 | 86 | 165 | 240 |

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს აღმზრდელთა ხელფასების ოდენობას განათლებასთან მიმართებაში. განათლების დონიდან გამომდინარე, ხელფასებს შორის რაიმე მნიშვნელოვანი სხვაობა არ არსებობს.

**ცხრილი 2.28 აღმზრდელთა განაწილება განათლების დონისა და ხელფასების მიხედვით (კაცი)**

| განათლების დონე | 50-100 ლარი | 101-200 ლარი | 201-300 ლარი | 301-400 ლარი | 401-500 ლარი | 501-600 ლარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 476 | 2,245 | 1,735 | 328 | 575 | 65 |
| სრული ზოგადი განათლება | - | 1 | - | - | - | - |
| სრული საშუალო განათლება (საშუალო სკოლა) | 30 | 106 | 24 | 2 | 3 | - |
| პროფესიულ-ტექნიკური განათლების სერტიფიკატი (დაწყებითი განათლების დიპლომი) | 11 | 47 | 35 | 7 | 6 | 1 |
| საშუალო (საშუალო-სპეციალური) განათლების დიპლომი | 171 | 927 | 745 | 144 | 315 | 34 |
| ბაკალავრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სასწავლო პროგრამის დიპლომი | 75 | 301 | 223 | 40 | 18 | 3 |
| მაგისტრის/რეზიდენტურის კურსდამთავრებულის ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი | 189 | 863 | 708 | 135 | 233 | 27 |

## აღმზრდელის თანაშემწეები

საქართველოს ბაგა-ბაღებში მომუშავე 3,639 თანაშემწის საშუალო ხელფასი 233 ლარს შეადგენდა. ყველაზე ცოტას (40 ლარი) 10 თანაშემწეს უხდიდნენ კახეთის რეგიონში, ყველაზე მაღალი ანაზღაურება კი (550 ლარი) თბილისში მომუშავე ორ თანაშემწეს ჰქონდა.

აღმზრდელის თანაშემწეების 41.4% 101-200 ლარს იღებდა; 26.6% – 301-400 ლარს; 7.3% – 40-100 ლარს; ხოლო 3.2%-ს 400 ლარზე მეტს უხდიდნენ.

თბილისში აღმზრდელის თანაშემწეების 71.1%-ის ხელფასი 301 ლარიდან 400 ლარამდე მერყეობდა, 15%-ისა კი – 101 ლარიდან 200 ლარამდე. აჭარაში თანაშემწეთა 93% 201-300 ლარს იღებდა, ხოლო დანარჩენი 7% 101-200 ლარს. იმერეთში 630 თანაშემწის 52.9%-ის ხელფასი 101-200 ლარს შეადგენდა, 43.2%-ისა კი – 201-300 ლარს.

ცხრილი 2.29 აღმზრდელის თანაშემწეების განაწილება ხელფასების მიხედვით რეგიონების მასშტაბით (კაცი)

| რეგიონი | აღმზრდელის თანაშემწეების რაოდენობა (კაცი) | 40-100 ლარი | 101-200 ლარი | 201-300 ლარი | 301-400 ლარი | 401-500 ლარი | 501-600 ლარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 3,639 | 264 | 1,506 | 783 | 968 | 116 | 2 |
| თბილისი | 1,361 | 2 | 217 | 56 | 968 | 116 | 2 |
| აჭარის ა. რ. | 230 | - | 16 | 214 | - | - | - |
| გურია | 86 | - | 26 | 60 | - | - | - |
| იმერეთი | 630 | 25 | 333 | 272 | - | - | - |
| კახეთი | 356 | 135 | 217 | 4 | - | - | - |
| მცხეთა-მთიანეთი | 121 | 26 | 95 | - | - | - | - |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 34 | 2 | 32 | - | - | - | - |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 333 | 48 | 246 | 39 | - | - | - |
| სამცხე-ჯავახეთი | 68 | - | 68 | - | - | - | - |
| ქვემო ქართლი | 219 | - | 81 | 138 | - | - | - |
| შიდა ქართლი | 201 | 26 | 175 | - | - | - | - |

ქალაქების ბაგა-ბაღებში მომუშავე აღმზრდელის თანაშემწეების 39.6% 300 ლარზე მეტს იღებდა. ამ თანაშემწეთაგან ყველა თბილისში მუშაობდა. ქალაქებში მომუშავე თანაშემწეთა მხოლოდ 2.9%-ის ანაზღაურება იყო 40-100 ლარი. სოფლების ბაგა-ბაღებში აღმზრდელის თანაშემწეთა 70.3% 101-200 იღებდა. მათი 9%-ის ხელფასი კი 201-300 ლარს შეადგენდა.

დიაგრამა 2.9 აღმზრდელთა თანაშემწეების განაწილება ხელფასების მიხედვით ქალაქებსა და სოფლებში (%)



რაც შეეხება აღმზრდელის იმ თანაშემწეებს, რომლებიც კვირაში 21 საათზე ნაკლებს მუშაობდნენ, მათი 53.5%-ის ხელფასი 101-200 ლარს შეადგენდა, 12.2%-ისა კი – 201-300 ლარს. კვირაში 21-35 საათს მომუშავე თანაშემწეთა 69.6% ხელფასის სახით ყოველთვიურად 101-200 ლარს იღებდა და მხოლოდ ხუთი თანაშემწის ხელფასი შეადგენდა 301-400 ლარს.

კვირაში 35 საათზე მეტ ხანს მომუშავე თანაშემწეთა 92.4%-ის ხელფასი 101 ლარიდან 400 ლარამდე მერყეობდა; 3.6% 40-100 ლარს იღებდა, 3.9% – 401-500 ლარს, და მხოლოდ ორი თანაშემწის ხელფასი შეადგენდა 501-600 ლარს.

**ცხრლი 2.30 აღმზრდელის თანაშემწეთა განაწილება ხელფასების ოდენობისა და კვირაში სამუშაო საათების მიხედვით (%)**

| | 21 საათზე ნაკლები | 21-35 საათი | 35 საათზე მეტი |
|---|---|---|---|
| 40-100 ლარი | 34.3 | 17.2 | 3.6 |
| 101-200 ლარი | 53.5 | 69.6 | 36.2 |
| 201-300 ლარი | 12.2 | 12.1 | 23.7 |
| 301-400 ლარი | - | 1.1 | 32.5 |
| 401-500 ლარი | - | - | 3.9 |
| 501-600 ლარი | - | - | 0.1 |

რეგიონების მასშტაბით, აღმზრდელის თანაშემწეთა საშუალო ხელფასი 119 ლარიდან (კახეთში) 332 ლარამდე (თბილისში) მერყეობდა. კვირაში 21 საათზე ნაკლებ დროს მომუშავეთა საშუალო ხელფასი 140 ლარს, 35 საათზე მეტ ხანს მომუშავეთა საშუალო ხელფასი კი – 253 ლარს შეადგენდა. შედარებით მაღალი ანაზღაურება ჰქონდათ თბილისსა და აჭარაში. ყველაზე დაბალი ხელფასები კი კახეთის რეგიონში დაფიქსირდა.

**ცხრილი 2.31 აღმზრდელის თანაშემწეთა ხელფასების დაყოფა კვირაში სამუშაო საათებისა და რეგიონების მიხედვით (ლარი)**

| რეგიონი | საშუალო ხელფასი სულ | მათ შორის: | | |
|---|---|---|---|---|
| | | 21 საათზე ნაკლები | 21-35 საათი | 35 საათზე მეტი |
| სულ | 233 | 140 | 153.9 | 253 |
| თბილისი | 332 | 177 | 203 | 361 |
| აჭარის ა. რ. | 254 | 136 | 251 | 265 |
| გურია | 197 | 170 | 193 | 199 |
| იმერეთი | 186 | 80 | 125 | 190 |
| კახეთი | 119 | 49 | 104 | 132 |
| მცხეთა-მთიანეთი | 148 | 93 | 121 | 161 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 139 | 70 | 131 | 147 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 162 | 103 | 145 | 180 |
| სამცხე-ჯავახეთი | 174 | - | 189 | 174 |
| ქვემო ქართლი | 208 | - | - | 208 |
| შიდა ქართლი | 143 | 92 | 120 | 152 |

ისევე, როგორც აღმზრდელთა შემთხვევაში, არც აღმზრდელის თანაშემწეთა ხელფასებს შორის დაფიქსირებულა რაიმე მნიშვნელოვანი სხვაობა, განათლების დონიდან გამომდინარე.

**ცხრილი 2.32 აღმზრდელის თანაშემწეთა განაწილება ხელფასებისა და განათლების დონის მიხედვით (კაცი)**

| განათლების დონე | 40-100 ლარი | 101-200 ლარი | 201-300 ლარი | 301-400 ლარი | 401-500 ლარი | 501-600 ლარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 264 | 1,506 | 783 | 968 | 116 | 2 |
| არასრული ზოგადი განათლება | 1 | 17 | 3 | 5 | - | - |
| სრული ზოგადი განათლება (საშუალო სკოლა) | 126 | 657 | 284 | 200 | 13 | 1 |
| სახელობო განათლების სერტიფიკატი (დაწყებითი პროფესიული განათლების დიპლომი) | 10 | 72 | 30 | 41 | 2 | - |
| საშუალო-პროფესიული (საშუალო-სპეციალური) განათლების დიპლომი | 93 | 531 | 311 | 435 | 71 | - |
| ბაკალავრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი | 15 | 71 | 49 | 56 | 18 | - |
| მაგისტრატურის/რეზიდენტურის კურსდამთავრებულის ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი | 19 | 158 | 106 | 231 | 12 | 1 |

# 3. სასწავლო პროცესის ხელშეწყობა/ორგანიზება

საქართველოს ყველა ბაგა-ბაღში სასწავლო პროცესი საგანგებოდ შემუშავებული პროგრამის ან გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა. საბავშვო ბაღების 53.1%-ში ეს პროგრამა შესაბამისი მართვის ორგანოს მიერ იყო შედგენილი. შემთხვევათა 40%-ში სასწავლო პროგრამა თავად ბაგა-ბაღებს ჰქონდათ შემუშავებული, 6.9%-ში კი – სხვა უწყებებს.

**ცხრილი 3.1 ბაგა-ბაღების დაყოფა სასწავლო პროგრამის/გეგმის შემადგენელი დაწესებულებების მიხედვით (%)**

| რეგიონი | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ორგანო | სხვა |
|---|---|---|---|
| თბილისი | 13.4 | 68.2 | 18.5 |
| აჭარა | 15.8 | 73.7 | 10.5 |
| გურია | 47.1 | 50.0 | 2.9 |
| იმერეთი | 30.5 | 66.1 | 3.3 |
| კახეთი | 40.5 | 51.7 | 7.8 |
| მცხეთა-მთიანეთი | 50.9 | 40.0 | 9.1 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 55.6 | 44.4 | - |
| სამეგრელო | 54.0 | 45.1 | 0.9 |
| სამცხე-ჯავახეთი | 44.1 | 47.1 | 8.8 |
| ქვემო ქართლი | 36.9 | 52.4 | 10.7 |
| შიდა ქართლი | 70.8 | 21.9 | 7.3 |

იმ ბაგა-ბაღების 91.3%, რომლებსაც უშუალოდ მართვის ორგანო არ განაგებს, თავად ადგენს და წარმართავს სასწავლო პროცესს. ეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, ძირითადად, ახალგორის, ონის, ბორჯომის, დმანისის, წალკის, გორისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებშია.

ბაგა-ბაღების 5.3%-ში სასწავლო პროგრამის/გეგმის შესრულების არანაირი მონიტორინგი არ განხორციელებულა. საბავშვო ბაღების უმეტესობაში ამგვარი შემოწმება წელიწადში დაახლოებით ხუთჯერ ტარდებოდა, თუმცა ეს რიცხვი მნიშვნელოვნად მერყეობს ქალაქებსა და სოფლებს შორის. სასწავლო გეგმის ინსპექტირება ყველაზე მეტჯერ (წელიწადში 40-ჯერ) თბილისის ექვს (3.8%), სამეგრელოს ერთსა და ქვემო ქართლის ერთ ბაგა-ბაღში ჩატარდა.

მეთოდოლოგიურ მასალას რაც შეეხება, როგორც ცხრილი 3.2 გვიჩვენებს, საქართველოში ყველაზე ხშირად (ბაგა-ბაღების 95.3%-ში) *„საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო“* გამოიყენება.

ცხრილი 3.2 ბაგა-ბაღების განაწილება კონკრეტული მეთოდოლოგიური მასალის გამოყენების მიხედვით (%)

| მეთოდოლოგიური მასალა | იცნობენ და იყენებენ | | იცნობენ, მაგრამ არ იყენებენ | | არ იცნობენ | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ქალაქებში | სოფლებში | ქალაქებში | სოფლებში | ქალაქებში | სოფლებში |
| „ადრეული ასაკის სწავლისა და განვითარების სტანდარტები“ | 89.0 | 86.4 | 7.1 | 6.1 | 3.9 | 7.5 |
| „საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო“ | 94.9 | 95.7 | 3.7 | 1.5 | 1.4 | 2.8 |
| „სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა“ | 77.2 | 74.9 | 14.1 | 12.0 | 8.6 | 13.1 |
| „სკოლამდელი განათლების პროგრამა“ | 89.0 | 93.1 | 7.1 | 3.1 | 3.9 | 3.9 |
| „სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისათვის“ | 92.5 | 83.3 | 2.4 | 5.5 | 5.1 | 11.2 |

დიაგრამა 3.1 გვიჩვენებს იმ საბავშვო ბაგა-ბაღების გავრცელების არეალს, სადაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მეთოდოლოგიურ მასალას იცნობენ და იყენებენ. საერთო ჯამში, ამ კატეგორიაში 783 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ხვდება. ამგვარი საბავშვო ბაღების ყველაზე მაღალი პრო-ცენტული მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმში დაფიქსირდა (80.6%); შემდეგ მოდის აჭარა (73.7%) და იმე-რეთი (73.6%). ყველაზე დაბალი მაჩვენებელი შიდა ქართლშია, სადაც ბაგა-ბაღების მხოლოდ 50.5% იცნობს და იყენებს ამ მასალას. საქართველოში მხოლოდ სამი ბაღია (სოფლებში) ისეთი, სადაც არც ერთ ზემოთ ხსენებულ მასალას არ იცნობენ და არ იყენებენ.

დიაგრამა 3.1 იმ ბაგა-ბაღების განაწილება, სადაც ზემოთ ჩამოთვლილ ყველა მეთოდოლოგიურ მასალას იცნობდნენ და იყენებდნენ (%)



ბაგა-ბაღების დიდი უმრავლესობა (91.2%) ახდენდა ბავშვების მიერ შესრულებული სამუშაოს დოკუმენტირებას; 73.9% კი აწარმოებდა და ინახავდა ჩანაწერებს ბავშვების მიერ შესწავლილი და ნასწავლი მასალისა თუ საგნების შესახებ; საბავშვო ბაღების 70.8% ორივე პრაქტიკას ახორციელებდა. შედარებით ცოტა ბაგა-ბაღი (50.5%) აწარმოებდა ჩანაწერებს იმ სირთულეების შესახებ, რომლებსაც ბავშვები სწავლის პროცესში აწყდებოდნენ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტიპის დოკუმენტაციას (გამორიცხეთ 3.3 ცხრილში მითითებული გრაფა „სხვა“) საბავშვო ბაღების 36% ადგენდა – 21.2% ქალაქებში და 14.8% სოფლებში.

**ცხრილი 3.3 ბაგა-ბაღების განაწილება დოკუმენტაციის წარმოების მიხედვით (%)**

| რეგიონი | ბავშვის მიერ ნასწავლი მასალა და საგნები | ბავშვის მიღწევები | სწავლის პროცესში ბავშვის წინაშე წარმოქმნილი სირთულეები | ბავშვის ნამუშევარი | ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ცვლილებები | სხვა | არანაირი დოკუმენტაცია არ იწარმოება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 94.9 | 95.5 | 89.2 | 98.1 | 91.1 | 1.9 | - |
| აჭარა | 89.5 | 77.2 | 54.4 | 93.0 | 78.9 | 1.8 | - |
| გურია | 71.4 | 68.6 | 54.3 | 95.7 | 77.1 | - | - |
| იმერეთი | 77.0 | 72.8 | 51.5 | 94.6 | 70.7 | - | 2.5 |
| კახეთი | 63.9 | 50.2 | 33.2 | 86.8 | 40.0 | 2.0 | 7.8 |
| მცხეთა-მთიანეთი | 74.5 | 63.6 | 54.5 | 98.2 | 56.4 | - | 1.8 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 88.9 | 77.8 | 66.7 | 94.4 | 75.0 | - | - |
| სამეგრელო | 67.3 | 62.8 | 43.4 | 84.1 | 44.7 | - | 7.1 |
| სამცხე-ჯავახეთი | 73.5 | 32.4 | 44.1 | 94.1 | 64.7 | 2.9 | 2.9 |
| ქვემო ქართლი | 73.8 | 61.9 | 41.7 | 92.9 | 83.3 | - | 2.4 |
| შიდა ქართლი | 54.6 | 51.5 | 35.1 | 84.5 | 45.4 | 2.1 | 8.2 |
| **სულ** | **73.9** | **66.5** | **50.5** | **91.2** | **62.6** | **0.9** | **4.0** |

ბაგა-ბაღების მხოლოდ ერთ მეხუთედს (21.4%-ს) აქვს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მათი ორი მესამედი ქალაქებში მდებარეობს. ყველაზე მეტი ასეთი საბავშვო ბაღი თბილისსა და აჭარაში დაფიქსირდა.

უმეტეს შემთხვევებში (85.5%), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის სასწავლო გეგმის შემუშავებაში აღმზრდელები მონაწილეობენ. შეიძლება ამ პროცესში სხვა თანამშრომლებიც (მაგალითად, ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, ან ლოგოპედი) ჩაებნენ – თუკი დაწესებულებაში ასეთები არსებობენ. გარდა ამისა, ბაგა-ბაღების უმეტესობამ გვაცნობა, რომ ამგვარი გეგმის შემუშავებაში დირექტორი, ექიმი/მედდა ან მშობლებიც მონაწილეობდნენ.

**დიაგრამა 3.2 ბაგა-ბაღების განაწილება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პრაქტიკის მიხედვით (%)**




იმისათვის, რომ მშობლებმა თვალყური მიადევნონ თავიანთი შვილების წინსვლასა და განვითარებას, ბაგა-ბაღების 71% თვეში ერთხელ ან უფრო ხშირად აწყობს მშობელთა კრებებს.

**დიაგრამა 3.3 ბაგა-ბაღების განაწილება ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაზიარებლად მშობლებთან ინდივიდუალურად ან ჯგუფურად შეხვედრის საშუალო პერიოდულობის მიხედვით (%)**




ქალაქების ბაგა-ბაღების 75.8%-სა და სოფლის ბაგა-ბაღების 52.1-ში არსებობს მშობლებისთვის განკუთვნილი კითხვარები, რომელთა საშუალებითაც მშობლებს შეუძლიათ აცნობონ მასწავლებლებს, ზღაპრის რომელი გმირი, ან სათამაშო უყვართ მათ შვილებს და გადმოსცენ, რას მოელიან ისინი უშუალოდ ბაგა-ბაღისაგან.

ბაგა-ბაღების თითქმის ნახევარს (ძირითადად ქალაქებში) აქვს კომენტარებისთვის განკუთვნილი ყუთები, რომელთა საშუალებითაც მშობლებს ანონიმურად შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი თვალსაზრისი ბაღის მუშაობასთან დაკავშირებით. თბილისში ასეთი ყუთი ბაგა-ბაღების 89.2%-ს აქვს.

როგორც მშობელთა კითხვარები, ასევე კომენტარებისთვის განკუთვნილი ყუთები ბაგა-ბაღების 40.9%-შია ხელმისაწვდომი და ამ დაწესებულებების დიდი უმრავლესობა თბილისში მდებარეობს. ეს მაჩვენებელი ასევე მაღალია სამცხე-ჯავახეთის (55.9%), აჭარისა (54.4%) და გურიის (50%) რეგიონებში.

# 4. სასწავლო ინვენტარი და ფიზიკური გარემო

სასწავლო ინვენტარისა და ფიზიკური გარემოს კვლევამ საქართველოს საჯარო ბაგა-ბაღებში არსებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოავლინა. ბაგა-ბაღების უმეტესობისთვის – განსაკუთრებით სოფლებში – ხელმიუწვდომელია, ან არასაკმარისი რაოდენობითაა ხელმისაწვდომი ბავშვის უსაფრთხო და ჯანსაღი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, შემეცნებითი, ლინგვისტური თუ კულტურული განვითარებისთვის აუცილებელი უამრავი მასალა.

მხოლოდ ხუთმა საჯარო ბაგა-ბაღმა გვაცნობა, რომ ფლობს ყველა ბავშვისთვის საკმარის სხვადასხვაგვარ სასწავლო მასალასა და სათამაშოებს. ეს ბაგა-ბაღები თბილისსა (4) და ბათუმში (1) მდებარეობს. ბაგა-ბაღების უმეტესობამ კი განაცხადა, რომ აქვს სასწავლო მასალის, ინვენტარისა (სახატავი მოწყობილობების, კონსტრუქტორების) და საბავშვო ლიტერატურის მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი რაოდენობა და ასორტიმენტი (საშუალოდ 3.44 (იხ. დიაგრამა 4.1)). ყველაზე ცუდი მდგომარეობაა სათამაშოების, ცხოველებისა თუ სამეცნიერო აქტივობებისათვის განკუთვნილი მასალის, აგრეთვე ლაბირინთების, კარვებისა და სხვა საძრომიალო ინვენტარის თვალსაზრისით. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბაგა-ბაღებში ძალიან ცოტაა სხვადასხვა სახის მანათობელი და მუსიკალური სათამაშოები, რომლებსაც განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს ორ წლამდე ბავშვის სენსომოტორული უნარების განვითარებისთვის.

სათამაშოების, ბავშვის განვითარებისთვის აუცილებელი მასალისა და ინვენტარის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი უთანასწორობა არსებობს და ეს პირდაპირ კავშირშია ბაგა-ბაღის ადგილმდებარეობასთან. დედაქალაქის საბავშვო ბაღები ბევრად უფრო კარგადაა აღჭურვილი, ვიდრე სხვა რეგიონებში მომუშავე დაწესებულებები. დიაგრამა 4.6 თვალნათლივ უჩვენებს, რამდენად წინაა თბილისის ბაგა-ბაღები ბავშვის განვითარებისთვის საჭირო საშუალებების რაოდენობისა და ასორტიმენტის თვალსაზრისით. თბილისის ბაგა-ბაღები აცხადებენ, რომ აქვთ კითხვარში ჩამოთვლილი საგნების მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი რაოდენობა და მრავალფეროვნება მაშინ, როცა საქართველოს დანარჩენი რეგიონების საბავშვო ბაღებში ხსენებული ინვენტარი საკმარისზე ცოტა და უაღრესად ერთფეროვანია.

ბავშვის განვითარებისთვის საჭირო ინვენტარის რაოდენობისა და ასორტიმენტის თვალსაზრისით რეგიონებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ არსებობს. თუმცა სასწავლო მასალისა თუ სათამაშოების ნაკლებობა და სიმწირე ყველაზე მეტად რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საბავშვო ბაღებში შეიმჩნევა. ეს სწორედ ის რეგიონია, სადაც მომსახურების გადასახადი ყველაზე დაბალია და სადაც ბაგა-ბაღებში ყველაზე ცოტა ბავშვია რეგისტრირებული.

**დიაგრამა 4.1 კმაყოფილების საშუალო ხარისხი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული მასალებისა თუ საგნების რაოდენობასა და მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით**




**1 - რაოდენობა და მრავალფეროვნება მოთხოვნებს არ შეესაბამება**
**5 - რაოდენობა და მრავალფეროვნება სრულიად დამაკმაყოფილებელია**

ბავშვის განვითარების თითოეულ ასპექტს სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა სპეციალური აღჭურვილობა ესაჭიროება:

- **ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება**
  - მოტორული განვითარება
    - მსხვილი მოტორიკის აქტივობა (სხვადასხვა ზომის ბურთები, სახტუნაოები, სალტეები, კარვები, ჰამაკები, ლაბირინთები და ა.შ.)
    - ნატიფი მოტორიკის აქტივობა (სახატავი და საძერწი მასალა, სხვა შემოქმედებითი მასალა და ინსტრუმენტები, სხვადასხვა ზომის მოზაიკები, საანგარიშოები)
    - სენსომოტორული განვითარება (მანათობელი სათამაშოები, მუსიკალური სათამაშოები, სხვადასხვა სახის ბუნებრივი და საკვები მასალა)
  - ჯანმრთელობა და უსაფრთხოება (მასალა ჰიგიენის დაცვის ჩვევების ჩამოსაყალიბებლად (მაგალითად: საპნები, კბილის ჯაგრისები, საბანაო ღრუბლები)
- **შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა** (ლოტო, მეხსიერების გასავითარებელი თამაშები, დომინო, კამათლიანი სამაგიდო თამაშები, თავსატეხები, ფორმებისა და ზომების შესასწავლი სათამაშოები, ცოცხალი კუთხე (თევზები, ზაზუნები, ჩიტები, მცენარეები და ა.შ.), სამეცნიერო აქტივობებისათვის განკუთვნილი მასალა).
- **ესთეტიკა და კულტურა** (მუსიკალური ინსტრუმენტები, აუდიო ჩამწერები და მოსასმენი მოწყობილობები)
- **მეტყველების განვითარება** (საბავშვო ლიტერატურა, მეტყველების განვითარების ხელშემწყობი სხვა საშუალებები)
- **სოციალური/ემოციური განვითარება** (სხვადასხვა ზომის სათამაშო ჭურჭელი, მასალა დრამატული თამაშებისთვის: სათამაშო ტანსაცმელი, აქსესუარები, სათამაშო ტრანსპორტი, როლური თამაშებისთვის საჭირო მასალა, კომუნიკაციის განვითარების ხელშემწყობი მასალა)

ბავშვების მსხვილი მოტორიკის აქტივობების განვითარებისთვის აუცილებელი სათამაშოების რეკომენდებული რაოდენობა და ასორტიმენტი ბაგა-ბაღების 11.8%-ს არ გააჩნია. ამ ბაგა-ბაღების უმეტესობა სოფლებში მდებარეობს (საქართველოს საბავშვო ბაღების 9.5%-ს). ყველაზე მეტი ბაგა-ბაღი, სადაც არ არის გათვალისწინებული ხსენებული რეკომენდაციები, ქვემო ქართლისა (19.5%) და სამეგრელოს (19%) სოფლებში ფუნქციონირებს.

**დიაგრამა 4.2 ბაგა-ბაღების განაწილება ბავშვის მსხვილი მოტორიკის განვითარების აქტივობებისთვის აუცილებელი სათამაშოების არადამაკმაყოფილებელი რაოდენობისა და ასორტიმენტის მიხედვით (%)**




აუცილებელი სათამაშოების რეკომენდებული რაოდენობა და ასორტიმენტი ნატიფი მოტორიკის განვითარების აქტივობებისთვის არ მოიძებნა საქართველოს ბაგა-ბაღების 1.7%-ში. ასეთი დაწესებულებების 81.8% სოფლებშია. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმში (ადგილობრივი ბაგა-ბაღების 9.7%) დაფიქსირდა. ქალაქებში მოთხოვნებს მხოლოდ ოთხი ბაგა-ბაღი არ აკმაყოფილებდა.

სენსომოტორული აქტივობის განვითარებისთვის აუცილებელ სათამაშოებს რაც შეეხება, ბაგა-ბაღების 17.6%-მა გვაცნობა, რომ არ ფლობს საჭირო სათამაშოების რეკომენდებულ რაოდენობასა და ასორტიმენტს. ამ კატეგორიაში სოფლის ბაგა-ბაღების წილი კვლავ დიდია (საქართველოს საბავშვო ბაღების 13.3%). ყველაზე მეტი ბაგა-ბაღი, სადაც ხსენებული მოთხოვნები არ სრულდება, რაჭა-ლეჩხუმის სოფლებსა (38.7%) და გურიის ქალაქებში (21.1%) ფუნქციონირებს.

**დიაგრამა 4.3 ბაგა-ბაღების განაწილება ბავშვის სენსომოტორული აქტივობების განვითარებისთვის აუცილებელი სათამაშოების არადამაკმაყოფილებელი რაოდენობისა და ასორტიმენტის მიხედვით (%)**




ბავშვის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად საჭირო საგნების ნაკლებობას ბაგა-ბაღების 21.8% განიცდის. ასეთი საბავშვო ბაღების 72.6% სოფლად მდებარეობს. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი მცხეთა-მთიანეთში (41.8%), ყველაზე დაბალი კი – თბილისში (2.5%) დაფიქსირდა.

**დიაგრამა 4.4 ბაგა-ბაღების განაწილება ბავშვის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად საჭირო საგნების არადამაკმაყოფილებელი რაოდენობისა და ასორტიმენტის მიხედვით (%)**



შემეცნებითი განვითარებისა და ზოგადი ცოდნის მისაღებად საჭირო საშუალებების ნაკლებობას ბაგა-ბაღების 8.1% განიცდის. ამ დაწესებულებების უმრავლესობა გურიაში, კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმშია.

ბავშვის ესთეტიკური და კულტურული განვითარებისთვის საჭირო მასალის უკმარისობის შესახებ ბაგა-ბაღების 30.8%-მა გვაცნობა (მათი 82.7% სოფლებში ფუნქციონირებს). ასეთი საბავშვო ბაღები ძალიან ბევრია რაჭა-ლეჩხუმის (66.7%), კახეთისა (42.4%) და სამეგრელოს (40.7%) რეგიონებში.

**დიაგრამა 4.5 ბაგა-ბაღების განაწილება ბავშვის ესთეტიკური და კულტურული განვითარებისთვის საჭირო საშუალებების არადამაკმაყოფილებელი რაოდენობისა და ასორტიმენტის მიხედვით (%)**




შედარებით ცოტაა ბაგა-ბაღები, რომლებიც ბავშვის მეტყველების უნარის განვითარებისთვის საჭირო საშუალებებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ (საერთო რაოდენობის 6.4%). მათი 71.3% სოფლად მდებარეობს. ყველაზე მეტი ასეთი საბავშვო ბაღი რაჭა-ლეჩხუმში (22.2%), კახეთსა (11.2%) და მცხეთა-მთიანეთში (10.9%) დაფიქსირდა.

ბავშვის სოციალური/ემოციური განვითარებისთვის საჭირო ინვენტარის ნაკლებობას ბაგა-ბაღების 11.7% განიცდის და მათი 81% სოფლებში ფუნქციონირებს. ასეთი საბავშვო ბაღების ყველაზე დიდი წილი (22.9%) გურიაზე მოდის.

**დიაგრამა 4.6 ბაგა-ბაღების განაწილება ბავშვის სოციალურ-ემოციური განვითარებისთვის საჭირო საშუალებების არადამაკმაყოფილებელი რაოდენობისა და ასორტიმენტის მიხედვით (%)**




მთელ საქართველოში სრულად მხოლოდ ორი ბაგა-ბაღი აკმაყოფილებს ბავშვის განვითარების ყველა ასპექტისთვის საჭირო ინვენტარის ხელმისაწვდომობასა და ასორტიმენტთან დაკავშირებულ სტანდარტებს.

თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ორგანოს განსაზღვრული აქვს ბაგა-ბაღებში ბავშვებისათვის განკუთვნილი სკამებისა და მაგიდების რეკომენდებული სიმაღლე. თუმცა სკამების სიმაღლის რეკომენდებულ პარამეტრებს საბავშვო ბაღების 45.9%, მაგიდების სიმაღლის პარამეტრებს კი – 48.3% ვერ აკმაყოფილებს.

მაგიდებისა და სკამების რეკომენდებული სიმაღლეებია:

- 112-127 სმ სიმაღლის ბავშვებისთვის: მაგიდის სიმაღლე – 52 სმ, სკამის სიმაღლე – 30 სმ;
- 127-142 სმ სიმაღლის ბავშვებისთვის: მაგიდის სიმაღლე – 58 სმ, სკამის სიმაღლე – 34 სმ;

ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ „ზემოთ ხსენებულზე პატარა მაგიდებისა და სკამების გამოყენება მიზანშეწონილი არაა, რადგან დაბალ სკამზე ჯდომა უფრო მავნეა ბავშვის ხერხემლისა და კუნთებისთვის, ვიდრე ცოტა მეტად მაღალ სკამზე ჯდომა. ბავშვს შეიძლება ინდივიდუალურად დიდი სკამიც მივუსადაგოთ, თუკი ფეხებქვეშ ბალიშიან პატარა სკამს შევუდგამთ“.[6]

ბაგა-ბაღების 58.8%-ში სკამების სიმაღლე 25-29 სმ-ს შეადგენს; 43.4%-ში მათი სიმაღლე 30-34 სმ-ია, 20.1%-ში კი – 35 სმ, ან უფრო მეტი.

თბილისის, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის ბაგა-ბაღების 63-77%-ში სკამების სიმაღლე 25-29 სმ-ს შეადგენს. ამავე სიმაღლის სკამებს იყენებს კახეთის, სამეგრელოსა და ქვემო ქართლის საბავშვო ბაღების ნახევარზე მეტი (52-58%) და რაჭა-ლეჩხუმის საბავშვო ბაღების 44.4%. გურიაში ბაგა-ბაღების 41.4%-ში სკამების სიმაღლე 30-34 სმ-ია, 41.4%-ში კი – 25-29 სმ. ასევე 30-34 სმ სიმაღლის სკამები აქვს აჭარის საბავშვო ბაღების 54.4%.

უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდებული 30-34 სმ სიმაღლის, ან 35 სმ-ზე უფრო მაღალი სკამები საქართველოს ბაგა-ბაღების თითქმის ნახევარში (45.9%-ში) არ გვხვდება. ასეთი ბაგა ბაღების ყველაზე დიდი წილი სამცხე ჯავახეთსა და ქვემო ქართლზე (59%-სა და 62%-ს შორის) მოდის. ყველაზე მცირე კი – თბილისსა და აჭარაზე (18%-სა და 27%-ს შორის).

6 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ორგანო

ყველა ხსენებული სიმაღლის სკამი, საერთო ჯამში, 44 ბაგა-ბაღს აქვს; ამ დაწესებულებათაგან 20 თბილისში მდებარეობს. სამ ბაგა-ბაღში საერთოდ არ არის სკამები (მათგან ერთი რაჭა-ლეჩხუმში, ერთი – იმერეთში და ერთიც შიდა ქართლში ფუნქციონირებს); ამ დაწესებულებებს სკამებით ბავშ-ვების მშობლები ამარაგებენ, სასწავლო წლის ბოლოს კი საკუთარი ავეჯი ყველას უკან მიაქვს.

**ცხრილი 4.1 ბაგა-ბაღების განაწილება სკამების სიმაღლის მიხედვით (%)**

| რეგიონი | 20-24 სმ | 25-29 სმ | 30-34 სმ | 35 სმ და უფრო მაღალი |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | 29.3 | 70.7 | 66.9 | 40.1 |
| აჭარა | 17.5 | 42.1 | 54.4 | 33.3 |
| გურია | 21.4 | 41.4 | 41.4 | 17.1 |
| იმერეთი | 38.1 | 64.9 | 43.9 | 15.9 |
| კახეთი | 27.8 | 52.7 | 35.1 | 19.0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 27.3 | 63.6 | 36.4 | 20.0 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 25.0 | 44.4 | 36.1 | 25.0 |
| სამეგრელო | 25.2 | 55.3 | 40.7 | 14.2 |
| სამცხე-ჯავახეთი | 26.5 | 76.5 | 35.3 | 11.8 |
| ქვემო ქართლი | 25.0 | 57.1 | 29.8 | 10.7 |
| შიდა ქართლი | 30.2 | 65.6 | 43.8 | 17.7 |
| **სულ** | **28.5** | **58.8** | **43.4** | **20.1** |

ბაგა-ბაღების 63.6%-ში მაგიდების სიმაღლე 41-50 სმ-ს შეადგენს, 12.7%-ში კი – 61 სმ-ს, ან უფრო მეტს. თბილისისა (80%) და აჭარის (70%) საბავშვო ბაღების უმეტესობაში მაგიდების სიმაღლე 51-60 სმ-ია. სხვა რეგიონებში ბაგა-ბაღების უმეტესობას 41-50 სმ-იანი მაგიდები აქვს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეკომენდაციის მიხედვით, მაგიდების სიმაღლე 52-58 სმ, ან უფრო მეტი უნდა იყოს. იმ ბაგა-ბაღების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებსაც არ აქვს ხსენებული ზომის მაგიდები (იგულისხმება 51-60 სმ-იანი და უფრო მაღალი მაგიდებიც), თბილისსა და აჭარაში ყველაზე დაბალია (16-19%). სამაგიეროდ, ეს მაჩვენებელი გურიაში 67%-ს, მცხეთა-მთიანეთში 62%-ს შეადგენს, დანარჩენ რეგიონებში კი 44%-დან 57%-მდე მერყეობს.

ყველა სასურველი ზომის მაგიდა მხოლოდ 32 ბაგა-ბაღს აღმოაჩნდა (აქედან 15 ბაგა-ბაღი თბილისში მდებარეობს).

**ცხრილი 4.2 ბაგა-ბაღების განაწილება მაგიდების სიმაღლის მიხედვით (%)**

| რეგიონი | 30-40 სმ | 41-50 სმ | 51-60 სმ | 61 სმ და უფრო მაღალი |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | 29.3 | 64.3 | 80.3 | 26.8 |
| აჭარა | 15.8 | 36.8 | 70.2 | 17.5 |
| გურია | 37.1 | 58.6 | 25.7 | 8.6 |
| იმერეთი | 37.2 | 70.7 | 38.1 | 10.0 |
| კახეთი | 27.3 | 65.4 | 40.0 | 10.2 |
| მცხეთა-მთიანეთი | 38.2 | 70.9 | 29.1 | 12.7 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 25.0 | 52.8 | 44.4 | 13.9 |
| სამეგრელო | 33.2 | 61.9 | 39.8 | 9.3 |
| სამცხე-ჯავახეთი | 32.4 | 79.4 | 47.1 | 8.8 |
| ქვემო ქართლი | 29.8 | 58.3 | 40.5 | 9.5 |
| შიდა ქართლი | 30.2 | 63.5 | 52.1 | 13.5 |
| **სულ** | **31.5** | **63.6** | **46.0** | **12.7** |

საერთო ჯამში, საქართველოს ბაგა-ბაღების 48.3%-ს არ აქვს რეკომენდებული სიმაღლის მაგიდები, 45.9%-ს კი – რეკომენდებული სიმაღლის სკამები.

# 5. ბავშვთა კვება და შუადღის ძილი

ეს თავი ეხება საქართველოს ბაგა-ბაღებში ბავშვთა კვების საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ ბაგა-ბაღების დაფინანსება უშუალოდ მუნიციპალური ბიუჯეტებიდან ხორციელდება, მნიშვნელოვანი სხვაობა გამოაშკარავდა ბავშვთა კვების საკითხისადმი მიდგომაში, როგორც ქალაქებისა და სოფლების ბაგა-ბაღებს, ასევე ზოგადად, რეგიონებს შორის.

ბაგა-ბაღების 62.1%-ში ბავშვები დღეში სამჯერ იკვებებიან; ეს მაჩვენებელი ქალაქების საბავშვო ბაღების 73.9%-სა და სოფლების საბავშვო ბაღების 54.1%-ში ფიქსირდება. დღეში ორჯერ აღსაზრდელებს ბაგა-ბაღების 34.9%-ში აჭმევენ (ქალაქების საბავშვო ბაღების 25.3%-სა და სოფლის საბავშვო ბაღების 41.3%-ში). დღეში ერთჯერადი კვების რეჟიმი ბაგა-ბაღების მხოლო 3%-შია დანერგილი (მათ რიცხვს, ძირითადად, სოფლის საბავშვო ბაღები განეკუთვნება, თუმცა ოთხი ასეთი დაწესებულება ქალაქებშიც ფუნქციონირებს).

**ცხრილი 5.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განაწილება ბავშვთა კვების სიხშირის მიხედვით**

| რეგიონი | დღეში სამჯერ | დღეში ორჯერ | დღეში ერთხელ |
|---|---|---|---|
| თბილისი | 100.0 | - | - |
| აჭარის ა. რ. | 98.2 | - | 1.8 |
| გურია | 47.1 | 51.4 | 1.4 |
| იმერეთი | 59.4 | 39.7 | 0.8 |
| კახეთი | 45.4 | 54.6 | - |
| მცხეთა-მთიანეთი | 100.0 | - | - |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 33.3 | 61.1 | 5.6 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 23.5 | 62.4 | 14.2 |
| სამცხე-ჯავახეთი | 76.5 | 23.5 | - |
| ქვემო ქართლი | 82.1 | 17.9 | - |
| შიდა ქართლი | 89.6 | 10.4 | - |
| **სულ** | **62.1** | **34.9** | **3.0** |

როგორც 5.1 ცხრილიდან ჩანს, თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის ყველა ბაგა-ბაღში, და აჭარის ბაგა-ბაღების 98.2%-ში ბავშვებს დღეში სამჯერ აჭმევენ. სამეგრელო-ზემო სვანეთის საბავშვო ბაღებისა (62.4%) და რაჭა-ლეჩხუმის საბავშვო ბაღების (61.1%) უმეტესობაში აღსაზრდელები დღეში ორჯერ იკვებებიან. ერთჯერადი კვების რეჟიმი კი 38 ბაგა-ბაღშია (საერთო რაოდენობის 3%) შემოღებული და მათგან 32 სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მდებარეობს.

## ბავშვთა კვების რაციონი

ბავშვთა კვების რაციონში სხვადასხვა სიხშირით სხვადასხვა პროდუქტი შედის. პურითა და სხვა სახის ცომეულით ყველა ბაგა-ბაღი ყოველდღე მარაგდება; საბავშვო ბაღების უმეტესობა ასევე ყოველდღე მოიხმარს კარტოფილს, სხვა სახის ბოსტნეულსა და ჩაის/კაკაოს. ბავშვთა კვების რაციონში არც ერთ ბაგა-ბაღს არ აქვს შეტანილი თაფლი ან ნესვი, ხოლო ბაღების 94.4% არ მოიხმარს ნახევარფაბრიკატებს (მაგალითად სოსისებსა და ძეხვებს).

მარცვლეულით (მაგალითად, წიწიბურით, შვრიით, ბრინჯით) საბავშვო ბაღების 38.6% მარაგდება. მათ რიცხვს განეკუთვნება თბილისის ბაგა-ბაღების 69.4% და ქვემო ქართლის ბაგა-ბაღების 65.5%. სამეგრელო-ზემო სვანეთის ბაგა-ბაღების 31.4% და კახეთის ბაგა-ბაღების 31.2% მარცვლეულს მხოლოდ კვირაში ერთხელ მოიხმარს.

**ცხრილი 5.2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაყოფა მარცვლეულით ბავშვთა კვების სიხშირის მიხედვით (%)**

| რეგიონი | ყოველდღე | კვირაში რამდენიმეჯერ | კვირაში ერთხელ |
|---|---|---|---|
| თბილისი | 69.4 | 25.5 | 5.1 |
| აჭარის ა. რ. | 47.4 | 45.6 | 7.0 |
| გურია | 17.1 | 68.6 | 14.3 |
| იმერეთი | 48.1 | 40.6 | 11.3 |
| კახეთი | 27.3 | 41.5 | 31.2 |
| მცხეთა-მთიანეთი | 61.8 | 30.9 | 7.3 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 47.2 | 44.4 | 8.3 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 8.4 | 60.2 | 31.4 |
| სამცხე-ჯავახეთი | 26.5 | 61.8 | 11.8 |
| ქვემო ქართლი | 65.5 | 32.1 | 2.4 |
| შიდა ქართლი | 34.4 | 56.3 | 9.4 |
| **სულ** | **38.6** | **45.0** | **16.4** |

ვერმიშელი და მაკარონი ბაგა-ბაღების 85%-ის კვების რაციონში კვირაში რამდენიმეჯერ შედის, მაგრამ მხოლოდ 3.1% მოიხმარს ამ პროდუქტს ყოველდღიურად (მათ შორისაა ქვემო ქართლის ბაგა-ბაღების 25%). სამეგრელო-ზემო სვანეთის ერთმა საბავშვო ბაღმა კი გვაცნობა, რომ მათ საერთოდ ამოიღეს კვების რეჟიმიდან ვერმიშელი და მაკარონი.

ხმელ ლობიოს საბავშვო ბაღების 63.3%-ში კვირაში ერთხელ მოიხმარენ (მათ რიცხვს მიეკუთვნება იმერეთის ბაგა-ბაღების 88.7%). ბაღების 16.4%-ს კი საერთოდ არ აქვს შეტანილი ხმელი ლობიო კვების რაციონში. სამეგრელო-ზემო სვანეთისა (48.2%) და სამცხე-ჯავახეთის (47.1%) ბაგა-ბაღების თითქმის ნახევარმა გვაცნობა, რომ საერთოდ არ აჭმევენ აღსაზრდელებს ხმელი ლობიოსგან დამზადებულ კერძებს.

**ცხრილი 5.3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განაწილება ხმელი ლობიოთი ბავშვთა კვების სიხშირის მიხედვით (%)**

| რეგიონი | კვირაში ერთხელ | ორ კვირაში ერთხელ | თვეში ერთხელ | არასოდეს |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | 56.1 | 33.1 | 9.6 | 1.3 |
| აჭარის ა. რ. | 43.9 | 26.3 | 10.5 | 19.3 |
| გურია | 67.1 | 25.7 | 5.7 | 1.4 |
| იმერეთი | 88.7 | 3.8 | 1.3 | 6.3 |
| კახეთი | 68.8 | 16.6 | 1.0 | 13.7 |
| მცხეთა-მთიანეთი | 65.5 | 25.5 | - | 9.1 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 52.8 | 8.3 | 13.9 | 25.0 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 46.0 | 3.1 | 2.7 | 48.2 |
| სამცხე-ჯავახეთი | 26.5 | 20.6 | 5.9 | 47.1 |
| ქვემო ქართლი | 63.1 | 27.4 | 4.8 | 4.8 |
| შიდა ქართლი | 69.8 | 12.5 | 10.4 | 7.3 |
| **სულ** | **63.6** | **15.4** | **4.5** | **16.4** |

კარტოფილს ყოველდღიურად ბაგა-ბაღების 59.6% მოიხმარს. მათ რიცხვს განეკუთვნება აჭარის საბავშვო ბაღების 96.5% და ქვემო ქართლის საბავშვო ბაღების 94%. კახეთში კი კარტოფილიან კერძებს ყოველდღიურად ბაღების მხოლოდ 19.5%-ში ამზადებენ.

**ცხრილი 5.4 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განაწილება კარტოფილით ბავშვთა კვების სიხშირის მიხედვით (%)**

| რეგიონი | ყოველდღე | კვირაში რამდენიმეჯერ | კვირაში ერთხელ | ორ კვირაში ერთხელ |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | 77.7 | 21.0 | 1.3 | - |
| აჭარის ა. რ. | 96.5 | 3.5 | - | - |
| გურია | 74.3 | 22.9 | 1.4 | 1.4 |
| იმერეთი | 53.6 | 44.8 | 1.3 | 0.4 |
| კახეთი | 19.5 | 72.7 | 4.4 | 3.4 |
| მცხეთა-მთიანეთი | 56.4 | 41.8 | 1.8 | - |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 61.1 | 38.9 | - | - |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 71.7 | 24.8 | 0.9 | 2.7 |
| სამცხე-ჯავახეთი | 61.8 | 29.4 | 8.8 | - |
| ქვემო ქართლი | 94.0 | 4.8 | 1.2 | - |
| შიდა ქართლი | 39.6 | 59.4 | 1.0 | - |
| **სულ** | **59.6** | **37.4** | **1.8** | **1.2** |

კარტოფილის მსგავსად, ბოსტნეული ბავშვთა კვების ყოველდღიურ რაციონში ბაგა-ბაღების ნახევარზე მეტს აქვს შეტანილი, თუმცა რეგიონების მასშტაბით ეს მაჩვენებელი 14.6%-დან (კახეთში) 93%-მდე მერყეობს (აჭარაში).

**ცხრილი 5.5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განაწილება ბოსტნეულით ბავშვთა კვების სიხშირის მიხედვით (%)**

| რეგიონი | ყოველდღე | კვირაში რამდენიმეჯერ | კვირაში ერთხელ | ორ კვირაში ერთხელ |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | 72.0 | 24.8 | 3.2 | - |
| აჭარის ა. რ. | 93.0 | 7.0 | - | - |
| გურია | 68.6 | 27.1 | 2.9 | 1.4 |
| იმერეთი | 68.6 | 24.3 | 7.1 | - |
| კახეთი | 14.6 | 40.0 | 34.6 | 10.7 |
| მცხეთა-მთიანეთი | 58.2 | 40.0 | 1.8 | - |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 27.8 | 50.0 | 19.4 | 2.8 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 56.6 | 36.7 | 4.9 | 1.8 |
| სამცხე-ჯავახეთი | 23.5 | 41.2 | 26.5 | 8.8 |
| ქვემო ქართლი | 54.8 | 27.4 | 17.9 | - |
| შიდა ქართლი | 18.8 | 54.2 | 25.0 | 2.1 |
| **სულ** | **51.6** | **32.9** | **12.9** | **2.6** |

ბავშვთა კვების დიეტაში კვერცხის გამოყენების ინტენსიურობა მნიშვნელოვნად მერყეობს რეგიონების მიხედვით. ბავშვთა კვების ყოველდღიურ რაციონში კვერცხი ბაგა-ბაღების მხოლოდ მცირე ნაწილს (1.4%-ს) აქვს შეტანილი. მეორე მხრივ, საბავშვო ბაღების 16.8%-ში კვერცხს საერთოდ არ აჭმევენ აღსაზრდელებს; ეს ეხება გურიის საბავშვო ბაღების 52.9%-სა და სამეგრელო-ზემო სვანეთის საბავშვო ბაღების 44.2%-ს. კვირაში რამდენიმეჯერ კვერცხი ბაგა-ბაღების 41%-ის კვების რეჟიმში შედის. მათ შორისაა თბილისის საბავშვო ბაღების 76.4% და შიდა ქართლის საბავშვო ბაღების 50%.

**ცხრილი 5.6 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განაწილება კვერცხით ბავშვთა კვების სიხშირის მიხედვით (%)**

| რეგიონი | ყოველდღე | კვირაში რამდენიმეჯერ | კვირაში ერთხელ | ორ კვირაში ერთხელ | თვეში ერთხელ | არასოდეს |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 1.9 | 76.4 | 20.4 | 1.3 | - | - |
| აჭარის ა. რ. | 10.5 | 49.1 | 36.8 | 3.5 | - | - |
| გურია | - | 21.4 | 22.9 | 1.4 | 1.4 | 52.9 |
| იმერეთი | 0.8 | 31.4 | 47.7 | 12.6 | 0.8 | 6.7 |
| კახეთი | 0.5 | 40.0 | 42.9 | 4.9 | - | 11.7 |
| მცხეთა-მთიანეთი | - | 43.6 | 30.9 | 5.5 | - | 20.0 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | - | 33.3 | 36.1 | 8.3 | 2.8 | 19.4 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 2.7 | 27.0 | 19.5 | 5.8 | 0.9 | 44.2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამცხე-ჯავახეთი | - | 35.3 | 50.0 | 5.9 | 2.9 | 5.9 |
| ქვემო ქართლი | - | 46.4 | 32.1 | 4.8 | 1.2 | 15.5 |
| შიდა ქართლი | - | 50.0 | 43.8 | 5.2 | - | 1.0 |
| **სულ** | **1.4** | **41.0** | **34.2** | **6.0** | **0.6** | **16.8** |

რძესა და რძის პროდუქტებს ყოველდღიურად ბაგა-ბაღების 40% მოიხმარს. მათ რიცხვს განეკუთვნება თბილისის ბაგა-ბაღების 75.8. იგივე პროდუქტების მოხმარების მაჩვენებელი სამცხე ჯავახეთში 14.7%-ს არ აღემატება. სამეგრელო-ზემო სვანეთის ორ ბაგა-ბაღს კი საერთოდ არ აქვს შეტანილი კვების რაციონში რძე და რძის პროდუქტები.

**ცხრილი 5.7 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განაწილება რძითა და რძის პროდუქტებით ბავშვთა კვების სიხშირის მიხედვით (%)**

| რეგიონი | ყოველდღე | კვირაში რამდენიმეჯერ | კვირაში ერთხელ | არასოდეს |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | 75.8 | 20.4 | 3.8 | - |
| აჭარის ა. რ. | 36.8 | 63.2 | - | - |
| გურია | 21.4 | 74.3 | 4.3 | - |
| იმერეთი | 47.7 | 41.0 | 11.3 | - |
| კახეთი | 32.2 | 63.4 | 4.4 | - |
| მცხეთა-მთიანეთი | 45.5 | 41.8 | 12.7 | - |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 58.3 | 38.9 | 2.8 | - |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 24.3 | 56.2 | 18.6 | 0.9 |
| სამცხე-ჯავახეთი | 14.7 | 52.9 | 32.4 | - |
| ქვემო ქართლი | 57.1 | 32.1 | 10.7 | - |
| შიდა ქართლი | 15.6 | 71.9 | 12.5 | - |
| **სულ** | **40.0** | **49.7** | **10.1** | **0.2** |

ბაგა-ბაღების მხოლოდ 2%-მა განაცხადა, რომ ყოველდღე ჰქონდა საქონლის ხორცი ბავშვთა კვების რაციონში. მათ შორისაა სამეგრელო-ზემო სვანეთის საბავშვო ბაღების 7.5%. ბაგა-ბაღების 89.8% საქონლის ხორცს კვირაში ერთხელ, ან კვირაში რამდენიმეჯერ მოიხმარდა. გურიისა (92.9%) და აჭარის (89.5%) საბავშვო ბაღების უმეტესობის კვების რაციონში საქონლის ხორცი კვირაში რამდენიმეჯერ ჩნდებოდა. საქართველოში ძალიან ცოტა (4.4%) საბავშვო ბაღია ისეთი, რომლებშიც ხორციანი კერძები სართოდ არ მზადდება და მათი უდიდესი წილი რაჭა-ლეჩხუმსა (27.8%) და სამეგრელო-ზემო სვანეთზე (16.8%) მოდის.

### ცხრილი 5.8 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განაწილება საქონლის ხორცით ბავშვთა კვების სიხშირის მიხედვით (%)

| რეგიონი | ყოველდღე | კვირაში რამდენიმეჯერ | კვირაში ერთხელ | ორ კვირაში ერთხელ | თვეში ერთხელ | არასოდეს |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 0.6 | 56.1 | 42.0 | 0.6 | 0.6 | - |
| აჭარის ა. რ. | 5.3 | 89.5 | 5.3 | - | - | - |
| გურია | - | 92.9 | 5.7 | - | 1.4 | - |
| იმერეთი | - | 47.7 | 50.2 | - | - | 2.1 |
| კახეთი | 0.5 | 51.7 | 43.4 | 3.9 | - | 0.5 |
| მცხეთა-მთიანეთი | 1.8 | 74.5 | 21.8 | 1.8 | - | - |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | - | 44.4 | 19.4 | 2.8 | 5.6 | 27.8 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 7.5 | 30.5 | 42.9 | 1.8 | 0.4 | 16.8 |
| სამცხე-ჯავახეთი | - | 41.2 | 55.9 | 2.9 | - | - |
| ქვემო ქართლი | - | 23.8 | 54.8 | 21.4 | - | - |
| შიდა ქართლი | 2.1 | 30.2 | 57.3 | 6.3 | 2.1 | 2.1 |
| **სულ** | **2.0** | **48.7** | **41.1** | **3.2** | **0.6** | **4.4** |

ქათმის ხორცი ბავშვთა კვების ყოველდღიურ რაციონში არც ერთ ბაგა-ბაღს არ ჰქონია შეტანილი. ამ პროდუქტს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მხოლოდ 19.4% მოიხმარდა და ისიც კვირაში რამდენიმეჯერ (მათ რიცხვს განეკუთვნება თბილისის საბავშვო ბაღების 61.1% და მცხეთა-მთიანეთის საბავშვო ბაღების 45.5%). აჭარის ბაგა-ბაღების 68.4%-ში ბავშვებს ქათმის ხორცს კვირაში ერთხელ აჭმევენ. სხვა რეგიონებში სურათი კიდევ უფრო არასახარბიელოა, რადგან საბავშვო ბაღების 35.7%-ს საერთოდ არ აქვს შეტანილი ბავშვთა კვების რაციონში ქათმის ხორცი (მათ შორისაა რაჭა-ლეჩხუმის ბაგა-ბაღების 80%, გურიის ბაგა-ბაღების 67.1% და იმერეთის ბაგა-ბაღების 64.9%).

### ცხრილი 5.9 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განაწილება ქათმის ხორცით ბავშვთა კვების სიხშირის მიხედვით (%)

| რეგიონი | კვირაში რამდენიმეჯერ | კვირაში ერთხელ | ორ კვირაში ერთხელ | თვეში ერთხელ | არასოდეს |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 61.1 | 38.9 | - | - | - |
| აჭარის ა. რ. | 26.3 | 68.4 | 3.5 | - | 1.8 |
| გურია | - | 28.6 | 4.3 | - | 67.1 |
| იმერეთი | 16.7 | 15.1 | 1.7 | 1.7 | 64.9 |
| კახეთი | 5.4 | 56.1 | - | - | 38.5 |
| მცხეთა-მთიანეთი | 45.5 | 54.5 | - | - | - |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 2.8 | 8.3 | 2.8 | 5.6 | 80.6 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 15.9 | 30.1 | 1.8 | 1.8 | 50.4 |
| სამცხე-ჯავახეთი | 8.8 | 47.1 | 11.8 | 14.7 | 17.6 |
| ქვემო ქართლი | 11.9 | 61.9 | 23.8 | - | 2.4 |
| შიდა ქართლი | 7.3 | 61.5 | 10.4 | 3.1 | 17.7 |
| **სულ** | **19.4** | **39.6** | **3.8** | **1.4** | **35.7** |

თევზეული ბავშვთა კვების დიეტაში შედარებით იშვიათად გვხვდება. ბაგა-ბაღების თითქმის ნახევარი თევზს საერთოდ არ მოიხმარს. მათ შორისაა კახეთის საბავშვო ბაღების 84.4% და გურიის საბავშვო ბაღების 71.4%. თბილისის ერთმა ბაგა-ბაღმაც განაცხადა, რომ საერთოდ არ შეაქვს თევზეული ბავშვთა კვების რაციონში.

**ცხრილი 5.10 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განაწილება თევზეულით ბავშვთა კვების სიხშირის მიხედვით (%)**

| რეგიონი | კვირაში ერთხელ | ორ კვირაში ერთხელ | თვეში ერთხელ | არასოდეს |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | 72.6 | 21.7 | 5.1 | 0.6 |
| აჭარის ა. რ. | 70.2 | 8.8 | - | 21.1 |
| გურია | 25.7 | 2.9 | - | 71.4 |
| იმერეთი | 44.8 | 1.7 | - | 53.6 |
| კახეთი | 14.1 | 1.5 | - | 84.4 |
| მცხეთა-მთიანეთი | 45.5 | 16.4 | - | 38.2 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 27.8 | 11.1 | - | 61.1 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 37.6 | 2.7 | 0.4 | 59.3 |
| სამცხე-ჯავახეთი | 8.8 | 26.5 | 20.6 | 44.1 |
| ქვემო ქართლი | 67.9 | 15.5 | - | 16.7 |
| შიდა ქართლი | 30.2 | 6.3 | 10.4 | 53.1 |
| **სულ** | **41.1** | **7.5** | **2.1** | **49.3** |

ბაგა-ბაღების 62.7%-ში ბავშვებს ტკბილეულობას (მაგალითად ნამცხვრებსა და კარამელებს) კვირაში რამდენიმეჯერ, ან კვირაში ერთხელ აჭმევენ. საბავშვო ბაღების 22.7%-ში კი ტკბილეულობა კვების ყოველდღიურ რაციონში შედის. ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმის (61.1%) ბაგა-ბაღებში დაფიქსირდა, მაშინ, როცა გურიის ბაგა-ბაღების 81.4%-ში ტკბილეულობას მხოლოდ კვირაში რამდენიმეჯერ არიგებენ. ბაგა-ბაღების 11.4%-ში ნამცხვრები და კარამელი საერთოდ არ შედის კვების რაციონში. მათ რიცხვს განეკუთვნება სამეგრელო-ზემო სვანეთის საბავშვო ბაღების 24.8% და აჭარის საბავშვო ბაღების 22.8%.

**ცხრილი 5.11 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განაწილება ტკბილეულით ბავშვთა კვების სიხშირის მიხედვით (%)**

| რეგიონი | ყოველდღე | კვირაში რამდენიმეჯერ | კვირაში ერთხელ | ორ კვირაში ერთხელ | თვეში ერთხელ | არასოდეს |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 14.6 | 67.5 | 15.3 | 0.6 | - | 1.9 |
| აჭარის ა. რ. | - | 35.1 | 42.1 | - | - | 22.8 |
| გურია | - | 81.4 | 5.7 | 2.9 | 1.4 | 8.6 |
| იმერეთი | 27.2 | 50.6 | 5.4 | 0.8 | 0.8 | 15.1 |
| კახეთი | 32.7 | 48.8 | 6.3 | 5.9 | 1.5 | 4.9 |
| მცხეთა-მთიანეთი | 1.8 | 65.5 | 20.0 | 9.1 | - | 3.6 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 61.1 | 33.3 | - | - | - | 5.6 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 27.9 | 31.9 | 11.9 | 3.1 | 0.4 | 24.8 |
| სამცხე-ჯავახეთი | 17.6 | 47.1 | 23.5 | 2.9 | 2.9 | 5.9 |
| ქვემო ქართლი | 6.0 | 32.1 | 44.0 | 2.4 | 1.2 | 14.3 |
| შიდა ქართლი | 35.4 | 47.9 | 15.6 | 0.0 | - | 1.0 |
| **სულ** | **22.7** | **48.7** | **14.0** | **2.5** | **0.7** | **11.4** |

ჩაისა და კაკაოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბავშვთა კვების რეჟიმში და ბაგა-ბაღების 53.9%-ში ამ სასმელებს ყოველდღიურად ასმევენ. ჩაის/კაკაოს ყოველდღე მოიხმარს ქვემო ქართლის საბავშვო ბაღების 88.1% და თბილისის საბავშვო ბაღების 84.1%. ბაგა-ბაღების 43.4%-ში ბავშვებს ჩაის/კაკაოს კვირაში მხოლოდ რამდენიმეჯერ ასმევენ.

საბავშვო ბაღების 80.1%-ში ბავშვები აღმზრდელების დახმარების გარეშე ჭამენ, 89%-ში კი აღმზრდელებსა და აღმზრდელის თანაშემწეებს მაგიდების გაწყობასა და ალაგებაში ეხმარებიან.

## შუადღის ძილი

საბავშვო ბაღების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ბავშვების შუადღის ძილით უზრუნველყოფა სირთულეს წარმოადგენს. ამ პრობლემის შესახებ, რომელიც რამდენიმე მიზეზის გამო წარმოიქმნება, სოფლის ბაგა-ბაღების 53.6%-მა და ქალაქის ბაგა-ბაღების 29.1%-მა გვაცნობა

**დიაგრამა 5.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განაწილება ბავშვების შუადღის ძილით უზრუნველყოფის მიხედვით (%)**




საერთო ჯამში, ბაგა-ბაღების 48.7%-მა გვაცნობა, რომ ყველა პირობა აქვთ შუადღისას ბავშვების დასაძინებლად. ასეთი საბავშვო ბაღების ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი თბილისსა (82.2%) და აჭარაზე (70.2%) მოდის. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა 7.6%-ში საერთოდ არ იყვნენ ბავშვები, რომლებსაც შუადღის ძილი ესაჭიროებოდათ. მათ რიცხვს განეკუთვნებოდა სამცხე-ჯავახეთის ბაგა-ბაღების 14.7% და კახეთის ბაგა-ბაღების 13.7%.

საწოლების/სივრცის უკმარისობის შესახებ საბავშვო ბაღების 28%-მა გვაცნობა. ეს ციფრი რეგიონების მასშტაბით მნიშვნელოვნად იცვლება და თბილისში 11.5%-ს, სამეგრელო-ზემო სვანეთში კი 49.1%-ს შეადგენს. საბავშვო ბაღების 15%-მა განაცხადა, რომ გათბობასთან დაკავშირებული

პრობლემების გამო, ზამთარში შუადღისას ბავშვთა დაძინების პირობები მიუღებელი იყო. ამ პრობლემის წინაშე, აჭარის გარდა, თითქმის ყველა რეგიონი იდგა – მათ შორის, თბილისის 2 ბაგა-ბაღი და შიდა ქართლის საბავშვო ბაღების 22.9%.

**ცხრილი 5.12 ბავშვთა შუადღის ძილი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში რეგიონების მიხედვით (%)**

| რეგიონი | ბავშვების დაძინებასთან დაკავშირებით პრობლემები არ არსებობს | საწოლების/ სივრცის უკმარისობის გამო ბავშვების დაძინებასთან დაკავშირებული სირთულეები | გათბობის პრობლემების გამო ზამთარში ბავშვების დაძინებასთან დაკავშირებული სირთულეები | პრობლემის წარმოშობის სხვა მიზეზები | არ არიან ბავშვები, რომლებსაც შუადღისას დაძინება ესაჭიროებათ |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 82.2 | 11.5 | 1.3 | - | 5.1 |
| აჭარის ა. რ. | 70.2 | 28.1 | - | - | 1.8 |
| გურია | 62.9 | 17.1 | 12.9 | - | 7.1 |
| იმერეთი | 45.2 | 27.6 | 19.7 | 0.4 | 7.1 |
| კახეთი | 44.9 | 22.0 | 18.5 | 1.0 | 13.7 |
| მცხეთა-მთიანეთი | 58.2 | 18.2 | 20.0 | 1.8 | 1.8 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 30.6 | 47.2 | 16.7 | - | 5.6 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 22.1 | 49.1 | 17.7 | 0.9 | 10.2 |
| სამცხე-ჯავახეთი | 20.6 | 41.2 | 17.6 | 5.9 | 14.7 |
| ქვემო ქართლი | 69.0 | 15.5 | 9.5 | 1.2 | 4.8 |
| შიდა ქართლი | 43.8 | 31.3 | 22.9 | - | 2.1 |
| **სულ** | **48.7** | **28.0** | **15.0** | **0.7** | **7.6** |

# 6. საბავშვო ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურა

### შენობების მდგომარეობა

2013 წელს საქართველოში მომუშავე 1,259 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 96.3% 2000 წლამდე აშენებულ შენობებშია განთავსებული. ბაგა-ბაღების უმეტესობა თავიანთი შენობების მდგომარეობას დამაკმაყოფილებლად აფასებს. ასეთი შეფასების მაჩვენებელი თითქმის თანაბრად ნაწილდება ქალაქებისა და სოფლების საბავშვო ბაღებზე. თუმცა ნაგებობათა მდგომარეობის „დამაკმაყოფილებლობის“ ან „არადამაკმაყოფილებლობის“ განსაზღვრის კრიტერიუმებში ქალაქებსა და სოფლებს შორის მკვეთრი განსხვავება შეიმჩნევა. რეგიონების მასშტაბით ინფრასტრუქტურის შეფასებამ ცხადყო, რომ საუკეთესო მდგომარეობაში მყოფი ბაგა-ბაღები თბილისსა და აჭარაში მდებარეობს, ყველაზე ცუდი მდგომარეობა კი (შენობები დანგრევის პირასაა მისული) რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია.

47 ბაგა-ბაღის ძირითადი შენობები 2000 წელს, ან უფრო გვიანაა აშენებული; ამ ნაგებობების 78.7% სოფლებში მდებარეობს. სამცხე-ჯავახეთის სოფლების საბავშვო ბაღების 30% და აჭარის სოფლების საბავშვო ბაღების 13% 2000 წლის შემდეგ აშენდა.

ქალაქებში მდებარე ბაგა-ბაღების 43.8% თავიანთი ძირითადი ნაგებობების მდგომარეობას დამაკმაყოფილებლად აფასებს. ასევე თვლის სოფლის ბაგა-ბაღების 42.3%, 41.6% კი მიიჩნევს, რომ მათი შენობები სავალალო მდგომარეობაშია და კაპიტალურ რემონტს საჭიროებს.

**დიაგრამა 6.1 ბაგა-ბაღების განაწილება ძირითადი ნაგებობების მდგომარეობის მიხედვით (%)**




იმ ბაგა-ბაღების უმეტესობა, რომელთაც სასწრაფო რეკონსტრუქციის საჭიროების შესახებ გვაცნობეს, სამცხე-ჯავახეთში მდებარეობს (67.6%); შენობების ცუდი მდგომარეობის შესახებ განცხადება შედარებით ხშირი იყო რაჭა-ლეჩხუმში (11.1%). ყველაზე კარგ მდგომარეობაში თბილისისა და აჭარის ბაგა-ბაღების შენობები აღმოჩნდა.

ცხრილი 6.1 ბაგა-ბაღების განაწილება ძირითადი ნაგებობების მდგომარეობისა და აშენების წლების მიხედვით (%)

| ძირითადი ნაგებობის აშენების წელი | ძალიან კარგი | კარგი | დამაკმაყო-ფილებელი | ცუდი, საჭიროებს კაპიტალურ რეკონსტრუქციას | ძალიან ცუდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1970 წლამდე | 3.1 | 11.7 | 42.0 | 37.3 | 5.9 |
| 1970-1979 | 1.6 | 9.6 | 41.8 | 45.0 | 2.0 |
| 1980-1989 | 0.8 | 12.8 | 44.7 | 38.6 | 3.1 |
| 1990-1994 | 2.4 | 16.7 | 47.6 | 33.3 | - |
| 1995-1999 | - | 16.7 | 66.7 | 16.7 | - |
| 2000-2004 | - | 20.0 | 20.0 | 60.0 | - |
| 2005-2009 | 12.5 | 33.3 | 45.8 | 8.3 | - |
| 2010 ან უფრო გვიან | 11.1 | 55.6 | 33.3 | - | - |

ბაგა-ბაღების 65.4%-ს კაპიტალური შეკეთება არასოდეს ჩატარებია. ამ შენობების უმეტესობა 1970 წლამდეა აგებული და მათი 56.4% სოფლებში მდებარეობს.

ცხრილი 6.2 ბაგა-ბაღების რაოდენობა აშენების წლების მიხედვით

| აშენების წელი | ბაგა-ბაღების რაოდენობა | მათ შორის: კაპიტალური შეკეთება არასოდეს ჩატარებულა | | |
|---|---|---|---|---|
| | | სულ | ქალაქებში | სოფლებში |
| 1970 წლამდე | 555 | 326 | 142 | 184 |
| 1970-1979 | 249 | 160 | 56 | 104 |
| 1980-1989 | 360 | 274 | 90 | 184 |
| 1990-1994 | 42 | 25 | 10 | 15 |
| 1995-1999 | 6 | 4 | 1 | 3 |
| 2000-2004 | 5 | 4 | 1 | 3 |
| 2005-2009 | 24 | 16 | 3 | 13 |
| 2010 ან უფრო გვიან | 18 | 15 | 3 | 12 |
| **სულ** | **1,259** | **824** | **306** | **518** |

ბაგა-ბაღების შენობათა უმეტესობაში (67.2%) ერთხელ მაინც ჩატარებულა მცირედი სარემონტო სამუშაოები; ეს ეხება ქალაქების საბავშვო ბაღების 72.5%-ს და სოფლების ბაგა-ბაღების 64.1%-ს.

**დიაგრამა 6.2 უმნიშვნელოდ გარემონტებული ბაგა-ბაღების განაწილება სარემონტო სამუშაოების ჩატარების წლების მიხედვით**




კაპიტალური სარემონტო სამუშაოები ბაგა-ბაღების 34.6%-ში ჩატარდა. ამ ბაგა-ბაღების დაახლოებით 34.3% 2005-2010 წლებში შეკეთდა, 44.8% კი – 2010 წელს ან უფრო გვიან.

**დიაგრამა 6.3 კაპიტალურად გარემონტებული ბაგა-ბაღების განაწილება სარემონტო სამუშაოების ჩატარების წლების მიხედვით**




უნდა აღინიშნოს, რომ 270 ბაგა-ბაღში (21.4%) არასოდეს განხორციელებულა არც მცირედი და არც კაპიტალური რემონტი; ამ დაწესებულებების 69% სოფლებში მდებარეობს.

ცხრილი 6.3 გაურემონტებელი ბაგა-ბაღების დაყოფა აშენების წლების მიხედვით (%)

| რეგიონი | მთავარი ნაგებობის აშენების წელი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1970 წლამდე | 1970-1979 | 1980-1989 | 1990-1994 | 1995-1999 | 2000-2004 | 2005-2009 | 2010 ან უფრო გვიან |
| თბილისი | 3.6 | - | - | - | - | - | - | - |
| აჭარა | 3.7 | 10.0 | - | - | - | - | 25.0 | - |
| გურია | 13.9 | - | 10.5 | - | - | - | - | - |
| იმერეთი | 15.6 | 18.2 | 18.1 | 40.0 | - | 50.0 | 100.0 | 100.0 |
| კახეთი | 19.8 | 26.3 | 37.9 | 33.3 | 100.0 | 100.0 | 66.7 | 100.0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 36.4 | 23.1 | 20.0 | 100.0 | - | - | - | 75.0 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 13.3 | 16.7 | 27.3 | - | - | - | 100.0 | - |
| სამეგრელო | 18.5 | 33.9 | 30.3 | 20.0 | - | - | 66.7 | 100.0 |
| სამცხე-ჯავახეთი | - | 10.0 | 50.0 | - | - | - | 50.0 | 100.0 |
| ქვემო ქართლი | 32.3 | 40.0 | 34.4 | 33.3 | - | - | - | 100.0 |
| შიდა ქართლი | 21.6 | 17.4 | 30.0 | - | - | - | 100.0 | 100.0 |

პრობლემების ჩამოთვლისას, ბაგა-ბაღების უმეტესობამ კაპიტალური რემონტის აუცილებლობაზე მიუთითა

## სათამაშო მოედანი

ბაგა-ბაღების 42.3%-ს ბავშვთა სათამაშო მოედნები არ აქვს; ამ დაწესებულებების 74.1% სოფლებში მდებარეობს. საბავშვო ბაღების მხოლოდ 12.1%-მა გვაცნობა, რომ მათი სათამაშო მოედნები „კარგ“, ან „ძალიან კარგ“ მდგომარეობაშია (18.3%-მა ქალაქებში და 7.9%-მა სოფლებში).

სოფლებში მდებარე ბაგა-ბაღების უმეტესობამ გვაცნობა, რომ სათამაშო მოედნების მოწყობა და აღჭურვა სერიოზულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, სათამაშო მოედნის არარსებობას ეზო ანაზღაურებს. ზოგ ბაგა-ბაღს (2.6%) კი, არც სათამაშო მოედანი აქვს და არც ეზო (აქედან 13 ქალაქებში, 20 კი სოფლებში ფუნქციონირებს).

ცხრილი 6.4 ბაგა-ბაღების განაწილება სათამაშო მოედნების მდგომარეობის მიხედვით (%)

| რეგიონი | საერთოდ არ აქვს | ძალიან კარგი | კარგი | საშუალო | ცუდი | ძალიან ცუდი/ საჭიროებს განახლებას |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 14.6 | 3.8 | 24.8 | 40.8 | 3.8 | 12.1 |
| აჭარა | 29.8 | - | 26.3 | 36.8 | 1.8 | 5.3 |
| გურია | 38.6 | 1.4 | 8.6 | 30.0 | 11.4 | 10.0 |
| იმერეთი | 42.3 | 1.3 | 8.4 | 36.0 | 4.2 | 7.9 |
| კახეთი | 36.6 | 1.0 | 5.9 | 33.7 | 6.8 | 16.1 |
| მცხეთა-მთიანეთი | 50.9 | - | 16.4 | 21.8 | 1.8 | 9.1 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 63.9 | 2.8 | 2.8 | 22.2 | 5.6 | 2.8 |
| სამეგრელო | 53.1 | 3.1 | 5.3 | 20.8 | 5.3 | 12.4 |
| სამცხე-ჯავახეთი | 58.8 | - | 5.9 | 20.6 | 8.8 | 5.9 |
| ქვემო ქართლი | 59.5 | - | 9.5 | 21.4 | 7.1 | 2.4 |
| შიდა ქართლი | 51.0 | 2.1 | 6.3 | 27.1 | 5.2 | 8.3 |

## საბავშვო ავეჯის მდგომარეობა

ავეჯის მდგომარეობა დამაკმაყოფლებლად (საშუალოდ) ბაგა-ბაღების 49.2%-მა შეაფასა. 70-მა (5.6%) საბავშვო ბაღმა გვაცნობა, რომ არ აქვს ბავშვებისთვის განკუთვნილი ავეჯი – მათგან 10 ქალაქებში (3 ზუგდიდის მუნიციპალიტეტში) მდებარეობს. საბავშვო ავეჯი ყველაზე კარგ მდგომარეობაში აჭარისა და თბილისის საბავშვო ბაღებშია, ყველაზე ცუდში კი – კახეთის რეგიონის საბავშვო ბაღებში.

**ცხრილი 6.5 ბაგა-ბაღების განაწილება საბავშვო ავეჯის მდგომარეობის მიხედვით (%)**

| რეგიონი | საერთოდ არ აქვს | ძალიან კარგი | კარგი | საშუალო | ცუდი | ძალიან ცუდი/ საჭიროებს განახლებას |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 0.6 | 8.3 | 45.9 | 40.1 | 3.2 | 1.9 |
| აჭარა | - | 10.5 | 47.4 | 38.6 | 1.8 | 1.8 |
| გურია | - | 2.9 | 11.4 | 51.4 | 20.0 | 14.3 |
| იმერეთი | 3.3 | 4.6 | 9.6 | 61.1 | 10.0 | 11.3 |
| კახეთი | - | - | 6.8 | 45.9 | 23.4 | 23.9 |
| მცხეთა-მთიანეთი | - | 5.5 | 16.4 | 45.5 | 21.8 | 10.9 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 11.1 | - | 8.3 | 50.0 | 16.7 | 13.9 |
| სამეგრელო | 15.5 | 2.7 | 9.7 | 52.2 | 6.2 | 13.7 |
| სამცხე-ჯავახეთი | 14.7 | - | 20.6 | 35.3 | 8.8 | 20.6 |
| ქვემო ქართლი | 8.3 | 1.2 | 31.0 | 46.4 | 9.5 | 3.6 |
| შიდა ქართლი | 10.4 | - | 12.5 | 47.9 | 15.6 | 13.5 |

## ტუალეტები

ბაგა-ბაღების უმეტესობამ საკუთარი ტუალეტების მდგომარეობა „საშუალოდ“ შეაფასა. რაჭა-ლეჩხუმის საბავშვო ბაღების 55.6%-ში საპირფარეშოები „ცუდ“ ან „ძალიან ცუდ“ მდგომარეობაშია.

**ცხრილი 6.6 ბაგა-ბაღების განაწილება ტუალეტების მდგომარეობის მიხედვით (%)**

| რეგიონი | საერთოდ არ აქვს | ძალიან კარგი | კარგი | საშუალო | ცუდი | ძალიან ცუდი/ საჭიროებს განახლებას |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | - | 16.6 | 49.0 | 28.7 | 3.2 | 2.5 |
| აჭარა | - | 8.8 | 54.4 | 24.6 | 10.5 | 1.8 |
| გურია | - | 5.7 | 34.3 | 40.0 | 8.6 | 11.4 |
| იმერეთი | - | 5.9 | 23.0 | 49.0 | 9.2 | 13.0 |
| კახეთი | - | 4.4 | 23.9 | 32.2 | 22.0 | 17.6 |
| მცხეთა-მთიანეთი | - | 3.6 | 27.3 | 32.7 | 16.4 | 20.0 |
| რაჭა-ლეჩხუმი | - | 2.8 | 11.1 | 30.6 | 25.0 | 30.6 |
| სამეგრელო | - | 3.5 | 19.5 | 39.8 | 18.6 | 18.6 |
| სამცხე-ჯავახეთი | - | 14.7 | 29.4 | 32.4 | 5.9 | 17.6 |
| ქვემო ქართლი | - | 2.4 | 19.0 | 53.6 | 16.7 | 8.3 |
| შიდა ქართლი | - | 3.1 | 20.8 | 50.0 | 12.5 | 13.5 |

### ხელსაბანი ნიჟარები

ხელსაბანი ნიჟარები ბაგა-ბაღების 40.4%-ში „საშუალო“, 26.8%-ში კი, „კარგ“ მდგომარეობაშია. რეგიონების მასშტაბით ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია, სადაც საბავშვო ბაღების 30.6%-ს საერთოდ არ აქვს ხელსაბანი ნიჟარები.

**ცხრილი 6.7 ბაგა-ბაღების განაწილება ხელსაბანი ნიჟარების/მოწყობილობების მდგომარეობის მიხედვით (%)**

| რეგიონი | საერთოდ არ აქვს | ძალიან კარგი | კარგი | საშუალო | ცუდი | ძალიან ცუდი/ საჭიროებს განახლებას |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | - | 15.9 | 53.5 | 26.8 | 1.9 | 1.9 |
| აჭარა | - | 8.8 | 57.9 | 22.8 | 7.0 | 3.5 |
| გურია | 2.9 | 7.1 | 30.0 | 38.6 | 15.7 | 5.7 |
| იმერეთი | 0.8 | 5.4 | 19.2 | 55.6 | 9.6 | 9.2 |
| კახეთი | 5.9 | 4.4 | 22.0 | 35.1 | 19.5 | 13.2 |
| მცხეთა-მთიანეთი | 7.3 | 5.5 | 25.5 | 30.9 | 16.4 | 14.5 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 30.6 | 2.8 | 11.1 | 30.6 | 11.1 | 13.9 |
| სამეგრელო | 8.0 | 3.5 | 18.6 | 44.2 | 12.8 | 12.8 |
| სამცხე-ჯავახეთი | - | 14.7 | 26.5 | 32.4 | 8.8 | 17.6 |
| ქვემო ქართლი | 3.6 | 2.4 | 17.9 | 53.6 | 16.7 | 6.0 |
| შიდა ქართლი | 7.3 | 3.1 | 25.0 | 39.6 | 13.5 | 11.5 |

### საწოლები

ბაგა-ბაღების 14%-ს საწოლები არ აქვს; ამ დაწესებულებათა 32.4%-ში საერთოდ არ ირიცხებიან ბავშვები, რომლებსაც დღის განმავლობაში დაძინება ესაჭიროებათ. საწოლების უკმარისობა ძირითადად სამეგრელო-ზემო სვანეთისა (33.6%) და სამცხე-ჯავახეთის (32.4%) საბავშვო ბაღებში დაფიქსირდა.

**ცხრილი 6.8 ბაგა-ბაღების განაწილება საწოლების მდგომარეობის მიხედვით (%)**

| რეგიონი | საერთოდ არ აქვს | ძალიან კარგი | კარგი | საშუალო | ცუდი | ძალიან ცუდი/ საჭიროებს განახლებას |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 4.5 | 16.6 | 45.9 | 27.4 | 1.9 | 3.8 |
| აჭარა | 1.8 | 10.5 | 63.2 | 24.6 | - | - |
| გურია | 4.3 | 12.9 | 28.6 | 38.6 | 11.4 | 4.3 |
| იმერეთი | 7.9 | 7.1 | 22.6 | 43.9 | 11.3 | 7.1 |
| კახეთი | 15.1 | 1.0 | 11.2 | 38.5 | 9.8 | 24.4 |
| მცხეთა-მთიანეთი | 7.3 | 5.5 | 47.3 | 23.6 | 10.9 | 5.5 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 25.0 | 2.8 | 5.6 | 38.9 | 11.1 | 16.7 |
| სამეგრელო | 33.6 | 2.2 | 11.1 | 31.9 | 7.5 | 13.7 |
| სამცხე-ჯავახეთი | 32.4 | 2.9 | 8.8 | 20.6 | 5.9 | 29.4 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვემო ქართლი | 6.0 | 2.4 | 29.8 | 41.7 | 8.3 | 11.9 |
| შიდა ქართლი | 10.4 | 1.0 | 20.8 | 36.5 | 11.5 | 19.8 |

### ეზოები

ბაგა-ბაღების 2.6%-ს ეზოები არ აქვს (მათგან 13 ქალაქებში, 20 კი სოფლად მდებარეობს). შიდა ქართლის საბავშვო ბაღების 18.8%-ს და სამცხე-ჯავახეთის საბავშვო ბაღების 17.6%-ს ეზოების განახლება ესაჭიროება.

**ცხრილი 6.9 ბაგა-ბაღების განაწილება ეზოების მდგომარეობის მიხედვით (%)**

| რეგიონი | საერთოდ არ აქვს | ძალიან კარგი | კარგი | საშუალო | ცუდი | ძალიან ცუდი/ საჭიროებს განახლებას |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 0.6 | 10.8 | 34.4 | 38.9 | 8.9 | 6.4 |
| აჭარა | 12.3 | 7.0 | 29.8 | 31.6 | 10.5 | 8.8 |
| გურია | 1.4 | 2.9 | 40.0 | 41.4 | 2.9 | 11.4 |
| იმერეთი | 1.7 | 6.7 | 32.6 | 46.0 | 7.5 | 5.4 |
| კახეთი | 0.5 | 4.9 | 32.7 | 41.5 | 7.3 | 13.2 |
| მცხეთა-მთიანეთი | - | - | 34.5 | 30.9 | 23.6 | 10.9 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 2.8 | 16.7 | 25.0 | 36.1 | 5.6 | 13.9 |
| სამეგრელო | 4.9 | 3.5 | 29.2 | 44.2 | 6.6 | 11.5 |
| სამცხე-ჯავახეთი | 8.8 | 2.9 | 29.4 | 17.6 | 23.5 | 17.6 |
| ქვემო ქართლი | - | 2.4 | 36.9 | 34.5 | 9.5 | 16.7 |
| შიდა ქართლი | 4.2 | 4.2 | 20.8 | 40.6 | 11.5 | 18.8 |

### სამზარეულოები

ბაგა-ბაღების 17.4%-ს სამზარეულოები „ცუდ“ ან „ძალიან ცუდ“ მდგომარეობაში აქვს. ამ მხრივ, ყველაზე მძიმე ვითარება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონშია – მესტიის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების 21.1%-ს საერთოდ არ აქვს სამზარეულოსათვის ცალკე გამოყოფილი ოთახი.

**ცხრილი 6.10 ბაგა-ბაღების განაწილება სამზარეულოების მდგომარეობის მიხედვით (%)**

| რეგიონი | საერთოდ არ აქვს | ძალიან კარგი | კარგი | საშუალო | ცუდი | ძალიან ცუდი/ საჭიროებს განახლებას |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | - | 15.3 | 60.5 | 22.3 | 0.6 | 1.3 |
| აჭარა | - | 7.0 | 52.6 | 33.3 | 3.5 | 3.5 |
| გურია | - | 5.7 | 32.9 | 45.7 | 7.1 | 8.6 |
| იმერეთი | - | 8.4 | 26.4 | 53.6 | 4.6 | 7.1 |
| კახეთი | - | 2.4 | 21.5 | 49.3 | 10.7 | 16.1 |
| მცხეთა-მთიანეთი | - | 3.6 | 34.5 | 38.2 | 7.3 | 16.4 |
| რაჭა-ლეჩხუმი | - | 5.6 | 22.2 | 55.6 | 5.6 | 11.1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამეგრელო | - | 2.7 | 15.9 | 54.4 | 8.8 | 18.1 |
| სამცხე-ჯავახეთი | - | 5.9 | 29.4 | 47.1 | 2.9 | 14.7 |
| ქვემო ქართლი | - | 1.2 | 22.6 | 61.9 | 6.0 | 8.3 |
| შიდა ქართლი | - | 2.1 | 20.8 | 56.3 | 6.3 | 14.6 |

## გათბობა

სოფლებში მდებარე ბაგა-ბაღების 93.6% ბუნებრივი საწვავით თბება; 3.3%-ს – ცენტრალური, ხოლო 3.1%-ს ინდივიდუალური გათბობის სისტემა აქვს.

**ცხრილი 6.11 სოფლის ბაგა-ბაღების განაწილება გათბობის სისტემების მდგომარეობის მიხედვით (%)**

| რეგიონი | ცენტრალური გათბობა (ოთახებში განთავსებული რადიატორებით) | ინდივიდუალური სისტემა (თითოეულ ოთახში განთავსებული გამათბობლით) | გათბობა ბუნებრივი საწვავით (შეშით, ნავთობპროდუქტებით და ა.შ.) |
|---|---|---|---|
| თბილისი | - | - | - |
| აჭარა | 21.7 | 8.7 | 69.6 |
| გურია | 2.0 | - | 98.0 |
| იმერეთი | 4.0 | 3.4 | 92.6 |
| კახეთი | 1.7 | 2.3 | 96.0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 15.0 | 10.0 | 75.0 |
| რაჭა-ლეჩხუმი | - | 3.2 | 96.8 |
| სამეგრელო | 1.2 | 0.6 | 98.2 |
| სამცხე-ჯავახეთი | 10.0 | 20.0 | 70.0 |
| ქვემო ქართლი | 2.4 | - | 97.6 |
| შიდა ქართლი | - | 6.3 | 93.8 |

ქალაქებში მდებარე ბაგა-ბაღების უმეტესობა (45.4%) გასათბობად ბუნებრივ საწვავს იყენებს; თუმცა თბილისში მხოლოდ ოთხი ასეთი საბავშვო ბაღია.

**ცხრილი 6.12 ქალაქების ბაგა-ბაღების განაწილება გათბობის სისტემების მდგომარეობის მიხედვით**

| რეგიონი | ცენტრალური გათბობა (ოთახებში განთავსებული რადიატორებით) | ინდივიდუალური სისტემა (თითოეულ ოთახში განთავსებული გამათბობლით) | გათბობა ბუნებრივი საწვავით (შეშით, ნავთობპროდუქტებით და ა.შ.) |
|---|---|---|---|
| თბილისი | 39 | 114 | 4 |
| აჭარა | 21 | 2 | 11 |
| გურია | 4 | - | 15 |
| იმერეთი | 40 | 4 | 46 |
| კახეთი | 5 | 3 | 24 |
| მცხეთა-მთიანეთი | 4 | 1 | 10 |

| | | | |
|---|---|---|---|
| რაჭა-ლეჩხუმი | - | - | 5 |
| სამეგრელო | 1 | 2 | 55 |
| სამცხე-ჯავახეთი | 3 | 4 | 17 |
| ქვემო ქართლი | 1 | 21 | 21 |
| შიდა ქართლი | 2 | 7 | 23 |

ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება ბაგა-ბაღების 45.2%-ში არ შემოწმებულა; ამ დაწესებულებების 73.6% სოფლებში ფუნქციონირებს. რაჭა-ლეჩხუმის სოფლების საბავშვო ბაღებიდან ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების ინსპექტირების შესახებ მხოლოდ 12.9%-მა გვაცნობა, მაშინ, როცა თბილისში ასეთი შემოწმება ბაგა-ბაღების 94.3%-ში ჩატარდა. ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებას ძირითადად სახანძრო სამსახური და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება ამოწმებენ. შემოწმება წელიწადში საშუალოდ 2.4-ჯერ ტარდება.

# 7. სანიტარია და ჰიგიენა

### წყალმომარაგება

2013 წლის თებერვლისთვის საქართველოში 1,259 ბაგა-ბაღი ფუნქციონირებდა. მათ უმეტესობას (61.4%) სასმელი და ტექნიკური წყალი უშუალოდ საბავშვო ბაღის შენობასთან მიერთებული წყალმომარაგების სისტემიდან მიეწოდებოდა. ასეთი მდგომარეობა იყო ყველა რეგიონში, თუ არ ჩავთვლით სამეგრელოს, სადაც ბაგა-ბაღები წყლით ეზოში, ან სადმე სიახლოვეს გათხრილი ჭებიდან მარაგდებოდა (41.6%). ცენტრალურ მილსადენზე მიერთებული წყალმომარაგების მქონე ბაგა-ბაღების ყველაზე დიდი წილი თბილისსა (98.1%) და სამცხე-ჯავახეთზე (91.2%) მოდის. ცენტრალური წყალსადენი ქალაქებში საბავშვო ბაღების 90.4%-ს, სოფლად კი საბავშვო ბაღების 41.7%-ს აქვს.

წყალმომარაგების მეორე მნიშვნელოვანი წყაროა ეზოში, ან ეზოს სიახლოვეს მდებარე ჭა. ასეთი წყალმომარაგებით საბავშვო ბაღების 16.7% სარგებლობს, როგორც ქალაქებში (6.7%), ასევე სოფლებში (23.9%). ამ კატეგორიაში თბილისისა და სამცხე-ჯავახეთის არც ერთი ბაგა-ბაღი არ ხვდება.

**ცხრილი 7.1 ბაგა-ბაღების განაწილება სასმელი და სანიტარული/ჰიგიენური წყლის ძირითადი წყაროების მიხედვით**

| რეგიონი | შენობაში შეყვანილი წყალმომარაგების სისტემა | ეზოში, ან ეზოს სიახლოვეს მდებარე წყალმომარაგების სისტემასთან მიერთებული ონკანი | ეზოში ან ეზოს სიახლოვეს მდებარე ჭა | ეზოში ან ეზოს სიახლოვეს მდებარე ბუნებრივი წყარო | მდინარე, ტბა, წყარო, არხი | ნაყიდი წყალი | სხვა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 98.1 | 0.6 | - | 1.3 | - | - | - |
| აჭარის ა. რ. | 80.7 | - | 5.3 | 14.0 | - | - | - |
| გურია | 50.0 | - | 37.1 | 10.0 | 2.9 | - | - |
| იმერეთი | 60.3 | 9.6 | 24.7 | 4.6 | 0.4 | - | 0.4 |
| კახეთი | 53.2 | 34.1 | 2.4 | 10.2 | - | - | - |
| მცხეთა-მთიანეთი | 65.5 | 21.8 | 3.6 | 9.1 | - | - | - |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 52.8 | 36.1 | - | 8.3 | - | - | 2.8 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 40.7 | 9.3 | 41.6 | 6.2 | - | 0.4 | 1.8 |
| სამცხე-ჯავახეთი | 91.2 | 5.9 | - | 2.9 | - | - | - |
| ქვემო ქართლი | 77.4 | 14.3 | 1.2 | 6.0 | - | 1.2 | - |
| შიდა ქართლი | 43.8 | 27.1 | 24.0 | 4.2 | - | - | 1.0 |
| **სულ** | **61.4** | **14.3** | **16.9** | **6.4** | **0.2** | **0.2** | **0.6** |

უნდა აღინიშნოს, რომ რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოსა და შიდა ქართლის რამდენიმე ბაგა-ბაღისთვის წყალმომარაგების უმთავრეს წყაროს კერძო პირების მიერ მიწოდებული წყალი წარმოადგენდა.

### საპირფარეშოები

საქართველოში ოც ბაგა-ბაღს სხვა დაწესებულებებთან საზიარო შენობა და საზიარო საპირფარეშოები აქვს. ამ კატეგორიაში რაჭა-ლეჩხუმის საბავშვო ბაღების 22.2% ხვდება. სხვა რეგიონებში ეს მაჩვენებელი 5.5%-ს შეადგენს. თბილისში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში არც ერთი ასეთი ბაგა-ბაღი არ ფუნქციონირებს.

ბაგა-ბაღების 24.5%-ს ბავშვებისთვის განკუთვნილი საპირფარეშოები შენობის გარეთ აქვს მოწყობილი. ასეთი მდგომარეობაა ქალაქების საბავშვო ბაღების 2.4%-სა და სოფლების საბავშვო ბაღების 39.6%-ში. თბილისსა და აჭარში არც ერთი მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

იმ ბაგა-ბაღებში, სადაც საპირფარეშოები გარეთაა განთავსებული, ტუალეტებსა და ძირითად შენობებს შორის საშუალო მანძილი 21 მეტრს შეადგენს.

**ცხრილი 7.2 იმ ბაგა-ბაღების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა ტუალეტებიც გარეთ მდებარეობს, და საშუალო მანძილი საპირფარეშოსა და მთავარ შენობას შორის**

| რეგიონი | ბაგა-ბაღები (%) | საშუალო მანძილი (მეტრი) |
|---|---|---|
| თბილისი | - | - |
| აჭარის ა. რ. | - | - |
| გურია | 12.9 | 13.6 |
| იმერეთი | 20.1 | 26.9 |
| კახეთი | 42.9 | 21.0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 36.4 | 19.1 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 52.8 | 22.3 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 36.3 | 22.1 |
| სამცხე-ჯავახეთი | 8.8 | 16.7 |
| ქვემო ქართლი | 15.5 | 17.3 |
| შიდა ქართლი | 28.1 | 16.7 |
| **სულ** | **24.5** | **21.4** |

ტულეტების ტიპები რეგიონების მასშტაბით მნიშვნელოვნად განსხვავდება. ქალაქებში ბაგა-ბაღების 94.9%-ს უნიტაზიანი საპირფარეშოები აქვს; სოფლებში ეს მაჩვენებელი თითქმის განახევრებულია და 48.7%-ს შეადგენს. სოფლის ზოგიერთი ბაგა-ბაღი ღამის ქოთნებითა და ორმოიანი საპირფარეშოებით სარგებლობს. ღამის ქოთნებს იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელოსა და ქვემო ქართლის საბავშვო ბაღებში იყენებენ.

ჩასარეცხი ტუალეტები ბაგა-ბაღების 73.9%-ს აქვს. აქედან 11.2% საკანალიზაციო სისტემასთან შეერთებული არ არის. ქალაქებში საბავშვო ბაღების 93.5-ში არის კანალიზაციასთან მიერთებული საპირფარეშო. სოფლებში კი თითქმის თანაბარია კანალიზაციასთან მიერთებული (41.9%) და ორმოიანი (41.2%) ჩასარეცხი ტუალეტების რაოდენობა. დანარჩენი ბაგა-ბაღების (16.8%) ტუალეტები მდინარეებთან, არხებთან და ხევებთან არის მიერთებული.

საერთო ჯამში, საკანალიზაციო სისტემასთან დაკავშირებულ უნიტაზიან ჩასარეცხ ტუალეტებს საბავშვო ბაღების 58.1% იყენებს. ბაგა-ბაღების 22.3%-ს აქვს ორმოიანი საპირფარეშოები, რომლებიც პერიოდულად ირეცხება.

საბავშვო ბაღების უმეტესობაში აღსაზრდელები და პერსონალი განცალკევებული საპირფარეშოებით სარგებლობენ. თუმცა ბაგა-ბაღების 32.5%-ს საზიარო ტუალეტები აქვს. ასეთი დაწესებულებების ყველაზე მცირე წილი თბილისზე (3.8%), ყველაზე დიდი კი, რაჭა-ლეჩხუმზე (63.9%) მოდის.

**დიაგრამა 7.1 იმ ბაგა-ბაღების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებშიც ბავშვები და პერსონალი საერთო ტუალეტით სარგებლობენ (%)**




ბაგა-ბაღების 62.9%-ში ბავშვებს ტუალეტებით სარგებლობა დამოუკიდებლად შეუძლიათ (უნიტაზებისა თუ ჩასარეცხი მოწყობილობების სიმაღლიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე). საბავშვო ბაღების 29.8%-ში სანიტარული მოწყობილობების მხოლოდ ზოგიერთი ელემენტია ბავშვებისთვის ადაპტირებული. დანარჩენ დაწესებულებებში (7.3%) კი, ტუალეტები საერთოდ არაა აღსაზრდელებზე მორგებული. მსგავსი პრობლემა არ დაფიქსირებულა თბილისსა და სამცხე ჯავახეთში. რაჭა-ლეჩხუმში კი ასეთი სირთულეები ბაგა-ბაღების 38.9%-ს აქვს.

ბაგა-ბაღების უმეტესობას ისე აქვს მოწყობილი საკუთარი საპირფარეშოები, რომ ბავშვებმა დამოუკიდებლად შეძლონ სარგებლობა. ასეთი საბავშვო ბაღების უდიდესი წილი თბილისზე (86%), უმცირესი კი – რაჭა-ლეჩხუმზე (27.8%) მოდის. აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში ეს მაჩვენებლი 60%-დან 80%-მდე მერყეობს. დანარჩენ რეგიონებში კი – 47%-დან 60%-მდე.

## ხელსაბანები

ხელსაბანი ნიჟარები ბაგა-ბაღების 95.3%-ს აქვს. აქედან 5%-ს ხელსაბანი ეზოებში აქვს მოწყობილი. ქალაქებში ასეთი საბავშვო ბაღი მხოლოდ ოთხია (0.8%), სოფლებში კი მათი პროცენტული მაჩვენებელი 7.9%-ს უტოლდება. თბილისსა და აჭარაში ხელსაბანი ყველა საბავშვო ბაღს შენობაში აქვს განთავსებული. რაჭა-ლეჩხუმში კი ბაგა-ბაღების 30.6%-ს საერთოდ არა აქვს ხელსაბანი მოწყობილობები.

**ცხრილი 7.3 ბაგა-ბაღების პროცენტული მაჩვენებელი ბავშვებისთვის განკუთვნილი ხელსაბანების ვარგისიანობის მიხედვით (%)**

| რეგიონი | ხელსაბანი მოწყობილობები | | საერთოდ არ აქვს ხელსაბანი მოწყობილობები |
|---|---|---|---|
| | შენობაში | შენობის გარეთ | |
| თბილისი | 100.0 | - | - |
| აჭარის ა. რ. | 100.0 | - | - |
| გურია | 94.3 | 2.9 | 2.9 |
| იმერეთი | 97.5 | 1.7 | 0.8 |
| კახეთი | 80.5 | 13.7 | 5.9 |
| მცხეთა-მთიანეთი | 87.3 | 5.5 | 7.3 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 55.6 | 13.9 | 30.6 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 85.8 | 6.2 | 8.0 |
| სამცხე-ჯავახეთი | 97.1 | 2.9 | - |
| ქვემო ქართლი | 91.7 | 4.8 | 3.6 |
| შიდა ქართლი | 90.6 | 2.1 | 7.3 |
| **სულ** | **90.3** | **5.0** | **4.7** |

კვლევამ უჩვენა, რომ ბაგა-ბაღების 98.5%-ში თითოეულ ბავშვს საკუთარი პირსახოცი აქვს. ხშირ შემთხვევაში პირსახოცები თავად მშობლებს მოაქვთ სახლებიდან; თბილისის ერთ საბავშვო ბაღში კი პირსახოცების ნაცვლად ხელსახოც ქაღალდებს იყენებენ.

პირის ღრუს, ტანისა თუ თმის ჰიგიენასთან და ხელების დაბანასთან დაკავშირებული კვლევა ბაგა-ბაღების 53%-ში ჩატარდა. გურიის, კახეთის, სამეგრელოსა და ქვემო ქართლის სოფლების რვა საბავშვო ბაღში ეს საკითხი არ შესწავლილა.

ჰიგიენის დაცვის წესების სასწავლებელი ვიზუალური მასალით ბაგა-ბაღების 82%-ია უზრუნველყოფილი. მათგან 56.2%-ში თვალსაჩინო გამოსახულებები ყველა სანიტარული მოწყობილობის გვერდითაა გამოკიდებული. საბავშვო ბაღების 25.8%-ში კი ასეთი სახელმძღვანელო მასალა მხოლოდ ზოგიერთი სანიტარული მოწყობილობის გვერდით გვხვდება. რაჭა-ლეჩხუმის ბაგა-ბაღებში იმ დაწესებულებების წილი, რომლებიც მსგავს მასალას იყენებენ, ყველაზე დაბალია და მხოლოდ 61.1%-ს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქების საბავშვო ბაღების 9% და სოფლების საბავშვო ბაღების 24.1% არაა უზრუნველყოფილი ჰიგიენის დაცვასთან დაკავშირებული ვიზუალური მასალით.

### დასუფთავების მეთოდები

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია, რა საშუალებები გამოიყენება ბაგა-ბაღების საპირფარეშოების, სამზარეულოებისა და ჯგუფებისთვის განკუთვნილი ოთახების დასასუფთავებლად.

**დიაგრამა 7.2 ბაგა-ბაღები პროცენტული მაჩვენებელი დასუფთავების საშუალებების მიხედვით (%)**




რაც შეეხება დასუფთავების საშუალებებს, ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს, რომ ბაგა-ბაღების უმეტესობაში (80%) ტუალეტებს დღეში რამდენიმეჯერ რეცხავენ ცივი წყლით. საპირფარეშოების დღეში რამდენიმეჯერ ჯაგრისით გახეხვის პრაქტიკა ბაგა-ბაღების 43.8%-შია დანერგილი. ქალაქებში ასეთი საბავშვო ბაღების წილი 63.3%-ს შეადგენს, რაც სოფლების საბავშვო ბაღების მაჩვენებელზე (30.7%) ორჯერ უფრო მაღალია. სარეცხი საშუალებებით ტუალეტები ბაგა-ბაღების 84.7%-ში ირეცხება, დეზინფექცია კი 96.6%-ში ტარდება.

**ცხრილი 7.4 ბაგა-ბაღების განაწილება ტუალეტების დასუფთავების საშუალებებისა და ამ საშუალებათა გამოყენების სიხშირის მიხედვით (%)**

| | ცივი წყალი | ცხელი წყალი | ჯაგრისი | სარეცხი საშუალებები | დეზინფექცია | სხვა |
|---|---|---|---|---|---|---|
| დღეში 2-3-ჯერ | 80.0 | 10.4 | 43.8 | 27.8 | 22.9 | 0.4 |
| დღეში ერთხელ | 7.5 | 14.6 | 15.4 | 20.2 | 24.5 | 0.1 |
| კვირაში ორჯერ | 2.2 | 7.0 | 6.5 | 14.2 | 18.6 | 0.0 |
| კვირაში ერთხელ | 0.2 | 4.1 | 2.7 | 7.0 | 18.0 | 0.0 |
| საჭიროების შემთხვევაში | 7.9 | 21.3 | 19.0 | 15.6 | 12.7 | 0.0 |
| არ ასუფთავებენ | 2.2 | 42.6 | 12.5 | 15.3 | 3.4 | 0.0 |

ბაგა-ბაღების უმეტესობა (78%) სამზარეულოებს ცივი წყლით ასუფთავებს დღეში რამდენიმეჯერ. გასასუფთავებლად ცხელ წყალს საბავშვო ბაღების 84.5% იყენებს, დეზინფექციას კი 95.6% ახორციელებს.

სამზარეულოებს სადეზინფექციო საშუალებებით ბაგა-ბაღების 95.8% ასუფთავებს. სადეზინფექციო საშუალებებს თბილისის, აჭარის, იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის ყველა საბავშვო ბაღი იყენებს;

ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში სადეზინფექციო ღონისძიებებს საბავშვო ბაღების 87-90% ახორციელებს. დანარჩენ რეგიონებში კი ეს მაჩვენებელი 90-100%-ს უტოლდება.

**ცხრილი 7.5 ბაგა-ბაღების განაწილება სამზარეულოების დასუფთავების საშუალებებისა და ამ საშუალებათა გამოყენების სიხშირის მიხედვით (%)**

| | ცივი წყალი | ცხელი წყალი | ჯაგრისი | სარეცხი საშუალებები | დეზინფექცია |
|---|---|---|---|---|---|
| დღეში 2-3-ჯერ | 78.0 | 37.9 | 42.8 | 19.1 | 0.0 |
| დღეში ერთხელ | 10.4 | 22.6 | 21.3 | 22.2 | 0.0 |
| კვირაში ორჯერ | 1.0 | 7.1 | 12.5 | 16.5 | 0.0 |
| კვირაში ერთხელ | 0.2 | 2.9 | 5.2 | 18.6 | 0.0 |
| საჭიროების შემთხვევაში | 7.2 | 14.0 | 13.7 | 19.4 | 0.0 |
| არ ასუფთავებენ | 3.2 | 15.5 | 4.4 | 4.2 | 0.0 |

ჯგუფებისთვის განკუთვნლ ოთახებს სარეცხი საშუალებებით ბაგა-ბაღების 95.8% ასუფთავებს. უმეტესობა (23.4%) ამას დღეში ერთხელ აკეთებს. სარეცხ საშუალებებს არ იყენებს საბავშვო ბაღების 7.5%. მათ რიცხვს განეკუთვნება კახეთის ბაგა-ბაღების თითქმის 20%.

სადეზინფექციო საშუალებებით ჯგუფებისთვის განკუთვნილ ოთახებს საბავშვო ბაღების 94.3% ასუფთავებს. ზოგი ამ ღონისძიებას საჭიროების მიხედვით (23.4%), ზოგი კი კვირაში ერთხელ ახორციელებს. სადეზინფექციო საშუალებებს არ იყენებს საბავშვო ბაღების 5.7%. ასეთი დაწესებულებები თბილისის, აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის გარდა, ყველა რეგიონში მოიძებნა.

**ცხრილი 7.6 ბაგა-ბაღების განაწილება ჯგუფებისთვის განკუთვნილი ოთახების დასუფთავების საშუალებებისა და ამ საშუალებათა გამოყენების სიხშირის მიხედვით (%)**

| | ცივი წყალი | ცხელი წყალი | ჯაგრისი | სარეცხი საშუალებები | დეზინფექცია |
|---|---|---|---|---|---|
| დღეში 2-3-ჯერ | 72.5 | 16.3 | 17.4 | 13.3 | 0.1 |
| დღეში ერთხელ | 17.4 | 21.6 | 23.4 | 18.5 | 0.2 |
| კვირაში ორჯერ | 1.0 | 8.5 | 18.1 | 16.2 | 0.0 |
| კვირაში ერთხელ | 0.1 | 5.6 | 13.7 | 23.0 | 0.0 |
| საჭიროების შემთხვევაში | 6.4 | 20.9 | 19.9 | 23.4 | 0.0 |
| არ ასუფთავებენ | 2.6 | 27.1 | 7.5 | 5.7 | 0.0 |

# 8. საგანგებო სიტუაციების მართვა

ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგია გვირჩევს, რომ სასწავლო პროგრამაში აუცილებლად უნდა შე-დიოდეს 1) უბედური შემთხვევების რისკის შემცირებასთან, 2) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებთან და 3) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. ამჟამად ყველა ამ საკითხს ბაგა-ბაღების 51%-ის სასწავლო პროგრამა მოიცავს; საკითხთაგან ორი შესულია ბაგა-ბაღების 27.2%-ის სასწავლო გეგმაში; ხოლო საბავშვო ბაღების 10.6%-ს მხოლოდ ერთი საკითხი აქვს შეტანილი სას-წავლო კურსში. ბაგა-ბაღების 11.3%-ის სასწავლო პროგრამა ხსენებულ საკითხთაგან არც ერთს არ მოიცავს. ასეთი საბავშვო ბაღები, სამცხე-ჯავახეთის გარდა, ყველა რეგიონშია. თბილისის, აჭარისა და რაჭა-ლეჩხუმის ბაგა-ბაღების უმეტესობას (70-80%) სამივე საკითხი აქვს შეტანილი სასწავლო გეგმაში.

დიაგრამა 8.1 გვიჩვენებს, რომ გარემოს დაცვასა და ბუნებაზე ზრუნვას ბავშვებს ბაგა-ბაღების 83.9%-ში ასწავლიან მაშინ, როცა მხოლოდ 55.6%-ის სასწავლო პროგრამა შეიცავს უბედური შემ-თხვევების რისკის შემცირებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

**დიაგრამა 8.1 იმ ბაგა-ბაღების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა სასწავლო პროგრამა/სასწავლო გეგმა/კურსი მოიცავს უბედური შემთხვევების რისკის შემცირებასთან, საგზაო მოძრაობის წესებთან თუ გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს (%)**




საგანგებო მდგომარეობისთვის მზადყოფნის სამივე მექანიზმი (საავარიო გასასვლელები, საევაკუა-ციო გეგმა და ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა) ბაგა-ბაღების 20%-ს აქვს; 16.4%-ში ორი, 24.4%-ში კი მხოლოდ ერთი ასეთი მექანიზმია დანერგილი. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქებში სამივე მექანიზმს ბაგა-ბაღების 40% ფლობს, სოფლის საბავშვო ბაღებში კი ეს მაჩვენებელი 6%-ს არ აღე-მატება.

**დიაგრამა 8.2 ბაგა-ბაღების განაწილება საგანგებო მდგომარეობისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტების/მექანიზმების ხელმისაწვდომობის მიხედვით (%)**




რეგიონული მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ მრავალ ბაგა-ბაღს კახეთში (51.7%), იმერეთში (53.6%), გურიასა (70%) და რაჭა-ლეჩხუმში (75%) საგანგებო მდგომარეობისთვის განკუთვნილი ზემოთ ხსენებული მექანიზმებიდან არც ერთი არ გააჩნია.

პირველადი დახმარების აღჭურვილობა (ნაწილობრივ მაინც) ბაგა-ბაღების 95.6%-ს აღმოაჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკვლეული 1,259 საბაშვო ბაღიდან 55-ს საერთოდ არ ჰქონდა პირველადი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო ნივთების ნაკრები. ამ ბაგა-ბაღების 67.3% კახეთისა და სამეგრელოს რეგიონებში მდებარეობს. მათ ბამბა და სამედიცინო სპირტიც კი არ აღმოაჩნდათ, რაც მთელი ქვეყნის საბავშვო ბაღების 88.4%-ში მოინახება.

პირველადი დახმარების ნივთებთან და პრეპარატებთან დაკავშირებით ყველაზე კარგი მდგომარეობა თბილისშია, სადაც ბაგა-ბაღების უმეტესობას 8.3 დიაგრამაში ჩამოთვლილი 12 საჭირო საგნიდან 11 აქვს. თბილისს მოსდევს აჭარა, რომელიც 12-დან 9 პუნქტს აკმაყოფილებს. იმერეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ეს ციფრი 7-დან 8-მდე მერყეობს. პირველადი დახმარების ნივთების ყველაზე პატარა ასორტიმენტი (5 ნივთი) კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და სამეგრელოს საბავშვო ბაღებში გვხვდება.

პირველადი დახმარების საგნებიდან ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული და ხელმისაწვდომი არის ბამბა (აქვს ბაგა ბაღების 92.2%-ს); შემდეგ მოდის სამედიცინო სპირტი (89.3%) და თერმომეტრი (89%).

**დიაგრამა 8.3 ბაგა-ბაღების განაწილება პირველადი დახმარების ნივთების ხელმისაწვდომობის მიხედვით (%)**




როგორც ველოდით, პირველადი დახმარების საგნების საშუალო რაოდენობა თითქმის ყველა რეგიონში სოფლად უფრო მცირე იყო, ვიდრე ქალაქებში. ერთადერთ გამონაკლისს სამცხე-ჯავახეთი წარმოადგენდა, სადაც პირველადი დახმარების საგნების საშუალო რაოდენობა ქალაქებში ექვსს, სოფლებში კი ცხრას შეადგენდა. ეს სოფლის ბაგა-ბაღებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

პირველადი დახარების საგნებს პერიოდულად შემოწმება და შეცვლა ესაჭიროება. თბილისის ბაგა-ბაღების 72%-სა და მთელი ქვეყნის ბაგა-ბაღების 43.4%-ში ეს აღჭურვილობა თვეში ერთხელ იცვლება. თუმცა ბაგა-ბაღების 11.5% პირველადი დახმარების საგნებისა და პრეპარატების შემოწმებას წელიწადში ერთხელ, 14.9% კი კიდევ უფრო იშვიათად ახორციელებს.

**ცხრილი 8.1 ბაგა-ბაღების განაწილება პირველადი დახმარების საგნების შემოწმების სიხშირის მიხედვით (%)**

| რეგიონი | თვეში ერთხელ ან უფრო ხშირად | სამ თვეში ერთხელ | წელიწადში ორჯერ | წელიწადში ერთხელ | უფრო იშვიათად | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 72.0 | 17.2 | 9.6 | 1.3 | - | 100.0 |
| აჭარის ა. რ. | 56.1 | 24.6 | 12.3 | 5.3 | 1.8 | 100.0 |
| გურია | 30.4 | 21.7 | 17.4 | 11.6 | 18.8 | 100.0 |
| იმერეთი | 42.0 | 12.2 | 21.0 | 14.7 | 10.1 | 100.0 |
| კახეთი | 27.9 | 11.1 | 13.7 | 15.3 | 32.1 | 100.0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 53.1 | 6.1 | 12.2 | 12.2 | 16.3 | 100.0 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 50.0 | 20.6 | 5.9 | 8.8 | 14.7 | 100.0 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 36.3 | 19.1 | 14.7 | 13.7 | 16.2 | 100.0 |
| სამცხე-ჯავახეთი | 35.3 | 14.7 | 20.6 | 5.9 | 23.5 | 100.0 |
| ქვემო ქართლი | 40.2 | 23.2 | 9.8 | 13.4 | 13.4 | 100.0 |
| შიდა ქართლი | 46.7 | 15.6 | 8.9 | 12.2 | 16.7 | 100.0 |
| სულ | 43.4 | 16.0 | 14.2 | 11.5 | 14.9 | 100.0 |

# 9. დაფინანსების სქემები

ყველა მუნიციპალიტეტს აქვს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსების გარკვეული სქემა, რომელიც მშობლებისთვის მნიშვნელოვან შეღავათებს ითვალისწინებს. ეს სქემები, გადახდის ძირითადი სქემისგან განსხვავებით, საშუალოდ 27.8%-ით ამცირებს თითოეული ბავშვისათვის დაწესებულ გადასახადს. ქალაქებში ასეთი სქემებით ბაგა-ბაღების 28.9%, სოფლებში კი, 18% ფინანსდება. ქალაქებში ბაგა-ბაღებში რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობა სამჯერ მეტია, ვიდრე სოფლებში.

დაფინანსების სქემების წყალობით გადასახადი ყველაზე მეტად თბილისში (35.1%), გურიაში (26.6%), მცხეთა-მთიანეთში (23.1%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (23%) მცირდება; ყველაზე ნაკლებად კი – კახეთსა (4.2%) და რაჭა-ლეჩხუმში (1.9%). თუმცა ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმში თითოეული ბავშვისთვის დადგენილი საშუალო გადასახადი სხვა რეგიონებთან შედარებით, ბევრად უფრო დაბალია (კახეთში საშუალო გადასახადი 9 ლარს, რაჭა-ლეჩხუმში კი – 8.6 ლარს შეადგენს).

ამგვარად, ძირითად სქემასთან ერთად, არსებობს სხვადასხვა სტატუსის მქონე ბავშვებისათვის დადგენილი განსაკუთრებული სქემები. უმეტეს შემთხვევაში, ეს შეღავათებთანაა დაკავშირებული, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება დამატებით გადასახადსაც გულისხმობდეს – მაგალითად, სხვა ქვეყნების მოქალაქეებისთვის. ქვემოთ მოყვანილია ყველა ეს სქემა და ნაჩვენებია ბავშვების სტატუსი, ბავშვების რაოდენობა (საჭიროების შემთხვევაში) და გადასახადის ოდენობა. იქვე დართულია განმარტებებიც.

ზოგიერთი ბაგა-ბაღს შეიძლება ჰქონდეს რაიმე კონკრეტული სქემა, მაგრამ არ იყენებდეს მას (თუკი მოცემულ ბაგა-ბაღში ამ სქემის შესაბამისი სტატუსის მქონე არც ერთი ბავშვი არ ირიცხება). ასეთ შემთხვევაში ბავშვების რაოდენობის გრაფაში 0 იწერება, რაც იმას ნიშნავს, რომ ფორმალურად ეს სქემა არსებობს.

ქვეყნის მასშტაბით გამოკითხვამ შემდეგი სქემების არსებობა განსაზღვრა:

1. ძირითადი სქემა (თითოეული ბავშვისათვის დადგენილი გადასახადი ყველანაირი შეღავათის გარეშე);
2. გადასახადი მეორე ბავშვისათვის (გადასახადი ერთი ოჯახის მეორე ბავშვისათვის; პირველი ბავშვისათვის დადგენილი გადასახადი არ იცვლება);
3. გადასახადი მესამე ან მომდევნო ბავშვისათვის (გადასახადი ერთი ოჯახის მესამე ბავშვისათვის; პირველი ორი ბავშვისათვის დადგენილი გადასახადი არ იცვლება);
4. გადასახადი სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვისათვის (მოიცავს ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე სოციალურად დაუცველი ოჯახების სახელმწიფო პროგრამაში შესულ ოჯახებს; საშეღავათო ზღვარი სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განსხვავებულია);
5. გადასახადი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვისათვის (ინკლუზიური სწავლება);
6. გადასახადი ომის ვეტერანებისა და ომის მსხვერპლთა ოჯახებისთვის;
7. გადასახადი არარეზიდენტი ოჯახების (იგულისხმება უცხოეთის მოქალაქეების, ან მოქალაქეობის არმქონე ოჯახები), ან მაღალი შემოსავლის (წელიწადში 40,000 ლარზე მეტი) მქონე პირთა ოჯახების ბავშვებისათვის;
8. გადასახადი მზრუნველობამოკლებული, ობოლი თუ მარჩენალდაკარგული ბავშვებისათვის და მარტოხელა დედების შვილებისათვის;

9. გადასახადი იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების ბავშვებისათვის;
10. გადასახადი სამი ბავშვისათვის (სამივე ბავშვისათვის ერთიანი გადასახადი);
11. გადასახადი მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათვის (ოჯახისათვის „მრავალშვილიანის“ სტატუსის მისანიჭებლად სხვადასხვა მუნიციპალიტეტს ბავშვების სხვადასხვა რაოდენობა აქვს დადგენილი)
12. გადასახადი მეორე და მომდევნო ბავშვებისათვის (გადასახადი პირველი ბავშვისათვის არ იცვლება და იგივე რჩება დანარჩენი ბავშვებისათვისაც);
13. გადასახადი ტყუპებისათვის (ერთ-ერთი ბავშვის დასწრება უფასოა);
14. გადასახადი ორი ან მეტი ბავშვისათვის (ერთი ბავშვისათვის დაწესებული გადასახადი უცვლელია);
15. გადასახადი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შვილებისათვის (იგულისხმებიან I და II ჯგუფის ინვალიდები);
16. გადასახადი მრავალშვილიანი ოჯახის ორი ან მეტი ბავშვისათვის.

ძირითადი სქემა ერთადერთია, რომელიც ყველა რეგიონის თითოეულ მუნიციპალიტეტში გამოიყენება. ზოგიერთი სქემა ძლიერ სპეციფიკურია.

**სქემა 1 (ძირითადი სქემა)** – ეს სქემა ყველა ბაგა-ბაღში მოქმედებს. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ საბავშვო ბაღში გადასახადი საერთოდ არ არსებობს (ესენია: ხონისა და მესტიის ყველა ბაგა-ბაღი, წეროვანის იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში მდებარე ახალგორის ერთადერთი ბაგა-ბაღი, ლენტეხის 3, ზუგდიდის 1, თეთრიწყაროს 11 და ქარელის 1 საბავშვო ბაღები)

**ცხრილი 9.1 პირველ სქემას მისადაგებული ბავშვების რაოდენობა და მათი საშუალო გადასახადი რეგიონების მიხედვით**

| რეგიონი | საშუალო გადასახადი (ლარი) | ბავშვების რაოდენობა |
|---|---|---|
| თბილისი | 50.8 | 25,007 |
| აჭარა | 23.9 | 7,016 |
| გურია | 12.0 | 2,226 |
| იმერეთი | 11.8 | 15,019 |
| კახეთი | 9.0 | 8,953 |
| მცხეთა-მთიანეთი | 14.2 | 2,090 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 8.6 | 701 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 15.1 | 6,874 |
| სამცხე-ჯავახეთი | 22.6 | 2,399 |
| ქვემო ქართლი | 23.8 | 8,155 |
| შიდა ქართლი | 14.7 | 5,323 |

ქალაქებში გადასახადი საშუალოდ 28.8 ლარს, სოფლებში კი – 12.1 ლარს შეადგენს.

**სქემა 2 (გადასახადი მეორე ბავშვისათვის) –** ეს სქემა ქალაქების ბაგა-ბაღების 43.7%-სა და სოფლების ბაგა-ბაღების 11.5%-ში მოქმედებს. ფასდაკლება 13.6%-დან 100%-მდე მერყეობს, გადასახადის ოდენობა კი – 0-დან 40 ლარამდე. საშუალო გადასახადი ქალაქებში 19.9 ლარს, ხოლო სოფლებში 5 ლარს შეადგენს. ეს სქემა რაჭა-ლეჩხუმის გარდა ყველა რეგიონში მუშაობს.

**ცხრილი 9.2 მეორე სქემა: საშუალო გადასახადი, გადასახადის საშუალო შემცირება ძირითად გადასახადთან მიმართებაში (%) და მეორე სქემას მისადაგებული ბავშვების რაოდენობა რეგიონების მიხედვით**[7]

| რეგიონი | საშუალო გადასახადი (ლარი) | გადასახადის შემცირება (%) | ბავშვების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| თბილისი | 25.4 | 50.0 | 3,392 |
| აჭარა | 0.0 | 100.0 | 377 |
| გურია | 0.2 | 97.6 | 84 |
| იმერეთი | 9.8 | 34.1 | 119 |
| კახეთი | 7.5 | 25.0 | 10 |
| მცხეთა-მთიანეთი | 0.9 | 93.8 | 1 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | - | - | - |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 0.7 | 95.7 | 110 |
| სამცხე-ჯავახეთი | 13.8 | 41.8 | 129 |
| ქვემო ქართლი | 8.1 | 65.0 | 152 |
| შიდა ქართლი | 14.0 | 34.8 | 67 |

**შენიშვნა:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (გურიის რეგიონი) მდებარე ერთ ბაგა-ბაღში სქემით გათვალისწინებული გადასახადი 5 ლარს შეადგენს (ძირითადი გადასახადის ნახევარს), გურიის დანარჩენ საბავშვო ბაღებში კი, საფასური 0 ლარია. ასევე 0 ლარია სქემით გათვალისწინებული გადასახადი თიანეთის მუნიციპალიტეტში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი). მარტვილის მუნიციპალიტეტში (სამეგრელოს რეგიონი) შეღავათი 50%-ს შეადგენს მაშინ, როცა სამეგრელოს დანარჩენ საბავშვო ბაღებში სქემით გათვალისწინებული საფასური 0 ლარია.

ქალაქებში შეღავათი 54.4%-ია, სოფლებში კი – 70.2%.

7 ამ და მომდევნო ცხრილში საშუალო გადასახადი და შეღავათის პროცენტული მაჩვენებელი დათვლილია იმ ბაგა-ბაღების რეგიონულ საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებშიც ეს სქემა მუშაობს.

**დიაგრამა 9.1  მეორე სქემით მომუშავე ბაგა-ბაღების განაწილება რეგიონების მიხედვით (%)**




**სქემა 3 (გადასახადი მესამე ან მომდევნო ბავშვისათვის)** – ეს სქემა ძირითადად ქალაქების ბაგა-ბაღებში მუშაობს (ქალაქების საბავშვო ბაღების 34.4%-სა და სოფლების საბავშვო ბაღების 8.4%-ში). საერთო ჯამში, ის მშობელს გადასახადის გადახდისგან ათავისუფლებს – თუ არ ჩავთვლით რამდენიმე იშვიათ გამონაკლისს: ტყიბულის (იმერეთის რეგიონი) ორი და ბორჯომის (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი) ორი ბაგა-ბაღი მხოლოდ 50%-ით ამცირებს გადასახადს. ხოლო გორის (შიდა ქართლი) ერთი საბავშვო ბაღი 33.3%-იან, მეორე კი 20%-იან შეღავათს იძლევა. მოცემული სქემა რაჭა-ლეჩხუმისა და კახეთის გარდა ყველა რეგიონში მოქმედებს.

**ცხრილი 9.3  მესამე სქემა: საშუალო გადასახადი, გადასახადის საშუალო შემცირება ძირითად გადასახადთან მიმართებაში (%) და მესამე სქემას მისადაგებული ბავშვების რაოდენობა რეგიონების მიხედვით**

| რეგიონი | საშუალო გადასახადი (ლარი) | გადასახადის შემცირება (%) | ბავშვების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| თბილისი | 0.0 | 100.0 | 257 |
| აჭარა | 0.0 | 100.0 | 1 |
| გურია | 0.0 | 100.0 | 0 |
| იმერეთი | 5.0 | 50.0 | 11 |
| კახეთი | - | - | - |
| მცხეთა-მთიანეთი | 0.0 | 100.0 | 2 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | - | - | - |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 0.0 | 100.0 | 16 |
| სამცხე-ჯავახეთი | 1.5 | 92.3 | 9 |
| ქვემო ქართლი | 0.0 | 100.0 | 0 |
| შიდა ქართლი | 5.5 | 63.3 | 1 |

მართალია, მესამე სქემა გურიასა და ქვემო ქართლშიც მოქმედებს, მაგრამ მისგან გამომდინარე შეღავათების შესახებ ამ რეგიონებს გამოკითხვის პერიოდში არაფერი უცნობებიათ.

**დიაგრამა 9.2 მესამე სქემით მომუშავე ბაგა-ბაღების განაწილება რეგიონების მიხედვით (%)**




**სქემა 4 (გადასახადი სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვისათვის)** – ეს სქემა ქალაქების ბაგა-ბაღების 71.3%-ს და სოფლების ბაგა-ბაღების 49.9%-ს მოიცავს. ჩვეულებრივ, ის სრულად ათავისუფლებს მშობლებს საფასურის გადახდისგან – თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გამონაკლისს: ოზურგეთის (გურიის რეგიონი) 1, გურჯაანის (კახეთის რეგიონი) 1, სიღნაღის (კახეთის რეგიონი) 23-დან 22, ბორჯომის (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი) ყველა, თიანეთის (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი) 1 და გორის (შიდა ქართლის რეგიონი) 8 საბავშვო ბაღი მხოლოდ 50%-იან შეღავათს იძლევა; მცხეთის 1 ბაგა-ბაღი 66.7%-ით ამცირებს გადასახადს, ბოლნისში კი, ფასდაკლება 60%-ია; გორის მუნიციპალიტეტში, ზემოთ ჩამოთვლილ 8 საბავშვო ბაღს თუ არ ჩავთვლით, შეღავათები 16.7%-იდან 66.7%-მდე მერყეობს. მარტვილში, ჩხოროწყუსა და ხობში (სამეგრელოს რეგიონი) ბაგა-ბაღები მესამე სქემის თავისებური ტიპით სარგებლობენ: იმ ოჯახის ბავშვებს, რომელთა სოციალური დახმარების რეიტინგი 57,000-დან 70,000-მდე მერყეობს, 67.7%-იანი შეღავათი ეძლევათ; 57,000-ზე ნაკლები ქულის მქონე ოჯახები კი სრულად თავისუფლდებიან გადასახადისგან. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური დახმარების ქულების საფუძველზე გადასახადისაგან გათავისუფლება ყველა რეგიონში ხორციელდება, ქულების ზღვარი სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვაა. მაგალითად, თბილისში ზღვარი 200,000 ქულაა.

**ცხრილი 9.4 მეოთხე სქემა: საშუალო გადასახადი, გადასახადის საშუალო შემცირება ძირითად გადასახადთან მიმართებაში (%) და მეოთხე სქემას მისადაგებული ბავშვების რაოდენობა რეგიონების მიხედვით**

| რეგიონი | საშუალო გადასახადი (ლარი) | გადასახადის შემცირება (%) | ბავშვების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| თბილისი | 0.0 | 100.0 | 13,125 |
| აჭარა | 0.0 | 100.0 | 971 |
| გურია | 0.1 | 99.3 | 631 |
| იმერეთი | 0.0 | 100.0 | 1,138 |
| კახეთი | 1.9 | 81.1 | 379 |
| მცხეთა-მთიანეთი | 0.3 | 98.3 | 401 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 0.0 | 100.0 | 7 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 0.0 | 100.0 | 1,892 |
| სამცხე-ჯავახეთი | 6.3 | 68.8 | 85 |
| ქვემო ქართლი | 2.4 | 90.6 | 456 |
| შიდა ქართლი | 6.9 | 72.0 | 587 |

**დიაგრამა 9.3 მეოთხე სქემით მომუშავე ბაგა-ბაღების განაწილება რეგიონების მიხედვით (%)**




**სქემა 5 (გადასახადი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვისათვის)** – ეს სქემა ქალაქების ბაგა-ბაღების 19.3%-სა და სოფლების ბაგა-ბაღების 4.5%-ში მუშაობს და სრულად ათავისუფლებს მშობლებს გადასახადისგან. თუმცა არის ორი ისეთი ბაგა-ბაღი – ერთი ხელვაჩაურსა (აჭარა) და ერთიც გორში (შიდა ქართლი) – სადაც მხოლოდ 50%-იანი შეღავათი მოქმედებს. ეს სქემა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო ქართლის გარდა ყველგან გამოიყენება.

**ცხრილი 9.5 მეხუთე სქემა: საშუალო გადასახადი, გადასახადის საშუალო შემცირება ძირითად გადასახადთან მიმართებაში (%) და მეხუთე სქემას მისადაგებული ბავშვების რაოდენობა რეგიონების მიხედვით**

| რეგიონი | საშუალო გადასახადი (ლარი) | გადასახადის შემცირება (%) | ბავშვების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| თბილისი | 0.0 | 100.0 | 213 |
| აჭარა | 1.6 | 93.8 | 16 |
| გურია | 0.0 | 100.0 | 9 |
| იმერეთი | 0.0 | 100.0 | 10 |
| კახეთი | 0.0 | 100.0 | 1 |
| მცხეთა-მთიანეთი | 0.0 | 100.0 | 3 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | - | - | - |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 15.0 | 0.0 | 1 |
| სამცხე-ჯავახეთი | 0.0 | 100.0 | 6 |
| ქვემო ქართლი | - | - | - |
| შიდა ქართლი | 5.0 | 75.0 | 1 |

**დიაგრამა 9.4 მეხუთე სქემით მომუშავე ბაგა-ბაღების განაწილება რეგიონების მიხედვით (%)**




**სქემა 6 (გადასახადი ომის ვეტერანებისა და ომის მსხვერპლთა ოჯახებისთვის)** – ეს სქემა, რომელიც ბავშვების მშობლებს გადასახადის გადახდისგან ათავისუფლებს, ქალაქების ბაგა-ბაღების 14.4%სა და სოფლების ბაგა-ბაღების 6.3%-ში გამოიყენება. თუმცა დმანისის ორი და გორის ერთი საბავშვო ბაღი მხოლოდ 50%-იან, ბოლნისის ერთი საბავშვო ბაღი კი – 60%-იან შეღავათს იძლევა. რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში ხსენებული სქემა არ მოქმედებს.

**ცხრილი 9.6 მეექვსე სქემა: საშუალო გადასახადი, გადასახადის საშუალო შემცირება ძირითად გადასახადთან მიმართებაში (%) და მეექვსე სქემას მისადაგებული ბავშვების რაოდენობა რეგიონების მიხედვით**

| რეგიონი | საშუალო გადასახადი (ლარი) | გადასახადის შემცირება (%) | ბავშვების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| თბილისი | 0.0 | 100.0 | 41 |
| აჭარა | 0.0 | 100.0 | 37 |
| გურია | 0.0 | 100.0 | 0 |
| იმერეთი | 0.0 | 100.0 | 0 |
| კახეთი | 0.0 | 100.0 | 0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 0.0 | 100.0 | 1 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | - | - | - |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 0.0 | 100.0 | 0 |
| სამცხე-ჯავახეთი | 0.0 | 100.0 | 20 |
| ქვემო ქართლი | 3.3 | 85.0 | 0 |
| შიდა ქართლი | 15.0 | 50.0 | 2 |

**დიაგრამა 9.5 მეექვსე სქემით მომუშავე ბაგა-ბაღების განაწილება რეგიონების მიხედვით (%)**




**სქემა 7 (გადასახადი არარეზიდენტი, ან მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახების ბავშვებისათვის)** – ეს სქემა მხოლოდ თბილისში – დედაქალაქის 43 ბაგა-ბაღში (27.4%) მოქმედებს და მშობლებისაგან 22.5%-დან 126.7%-მდე დამატებით გადასახადს მოითხოვს. მეშვიდე სქემით გათვალისწინებული საშუალო გადასახადი 81.7 ლარს შეადგენს და ამ ოდენობის თანხას 52 ბავშვის მშობელი იხდიდა.

**სქემა 8 (გადასახადი მზრუნველობამოკლებული, ობოლი თუ მარჩენალდაკარგული ბავშვებისათვის და მარტოხელა დედების შვილებისათვის)** – ეს სქემა ყველა რეგიონში მოქმედებს. თუმცა თბილისში ის ბაგა-ბაღების მხოლოდ 1.3%-ში, რაჭა-ლეჩხუმში ბაგა-ბაღების 2.8%-ში და შიდა ქართლის ბაგა-ბაღების 5.2%-ში მუშაობს. ყველაზე ფართო გამოყენება ამ სქემას სამცხე-ჯავახეთში აქვს (საბავშვო ბაღების 52.9%-ში). ხსენებული სქემა ქალაქების ბაგა-ბაღების 24.4%-ში და სოფლების ბაგა-ბაღების 15.3%-ში გამოიყენება. ის სრულად ათავისუფლებს მშობლებს გადასახადისაგან, თუმცა ხელვაჩაურის ერთ, ტყიბულის შვიდ, სიღნაღის ცხრა, ამბროლაურის ერთ (რაჭა-ლეჩხუმის ერთადერთ ბაგა-ბაღში, სადაც ეს სქემა მუშაობს), ბორჯომის ოთხ, დმანისის ორ, მარნეულის ორსა და გორის ერთ ბაგა-ბაღში მხოლოდ 50%-იანი ფასდაკლება არსებობს. ბოლნისის შვიდსავე ბაგა-ბაღში, სადაც სქემა 8 მოქმედებს, გადასახადი 60%-ითაა შემცირებული. გორის ორ საბავშვო ბაღში შეღავათი 33.3%-ს შეადგენს, ერთში კი – 40%-ს.

**ცხრილი 9.7 მერვე სქემა: საშუალო გადასახადი, გადასახადის საშუალო შემცირება ძირითად გადასახადთან მიმართებაში (%) და მეექვსე სქემას მისადაგებული ბავშვების რაოდენობა რეგიონების მიხედვით**

| რეგიონი | საშუალო გადასახადი (ლარი) | გადასახადის შემცირება (%) | ბავშვების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| თბილისი | 0.0 | 100.0 | 39 |
| აჭარა | 0.9 | 96.6 | 37 |
| გურია | 0.0 | 100.0 | 1 |
| იმერეთი | 0.5 | 95.4 | 163 |
| კახეთი | 1.8 | 82.0 | 24 |
| მცხეთა-მთიანეთი | 0.0 | 100.0 | 20 |

| | | | |
|---|---|---|---|
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 7.5 | 50.0 | 2 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 0.0 | 100.0 | 2 |
| სამცხე-ჯავახეთი | 2.2 | 88.9 | 28 |
| ქვემო ქართლი | 5.5 | 77.1 | 88 |
| შიდა ქართლი | 10.0 | 51.3 | 7 |

**დიაგრამა 9.6 მერვე სქემით მომუშავე ბაგა-ბაღების განაწილება რეგიონების მიხედვით (%)**




**სქემა 9 (გადასახადი იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების ბავშვებისათვის)** – ეს სქემა თბილისის გარდა ყველა რეგიონში მოქმედებს და ხელმისაწვდომია ქალაქების ბაგა-ბაღების 28%-ისთვის და სოფლების ბაგა-ბაღების 24.4%-ისთვის. მართალია, სქემა, უმეტესწილად, სრულად ათავისუფლებს მშობლებს გადასახადისგან, მაგრამ არსებობს რამდენიმე გამონაკლისიც: ლაგოდეხის ორი, ბორჯომის ხუთი და დმანისის ერთი საბავშვო ბაღი მხოლოდ 50%-იან შეღავათს იძლევა. ამბროლაურის ერთ ბაგა-ბაღში ფასდაკლება 33.3%-ს შეადგენს, ბოლნისის ექვს ბაგა-ბაღში კი – 60%-ს. გადასახადი ბოლომდე არაა გაუქმებული გორის ბაგა-ბაღებშიც, სადაც ფასდაკლება 20%-იდან 80%-მდე მერყეობს.

**ცხრილი 9.8 მეცხრე სქემა: საშუალო გადასახადი, გადასახადის საშუალო შემცირება ძირითად გადასახადთან მიმართებაში (%) და მეექვსე სქემას მისადაგებული ბავშვების რაოდენობა რეგიონების მიხედვით**

| რეგიონი | საშუალო გადასახადი (ლარი) | გადასახადის შემცირება (%) | ბავშვების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| თბილისი | - | - | - |
| აჭარა | 0.0 | 100.0 | 1 |
| გურია | 0.0 | 100.0 | 31 |
| იმერეთი | 0.0 | 100.0 | 554 |
| კახეთი | 0.2 | 97.8 | 29 |
| მცხეთა-მთიანეთი | 0.0 | 100.0 | 57 |

| | | | |
|---|---|---|---|
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 10.0 | 33.3 | 2 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 0.0 | 100.0 | 5 |
| სამცხე-ჯავახეთი | 3.8 | 80.8 | 36 |
| ქვემო ქართლი | 2.0 | 91.7 | 135 |
| შიდა ქართლი | 4.9 | 77.8 | 588 |

**დიაგრამა 9.7 მეცხრე სქემით მომუშავე ბაგა-ბაღების განაწილება რეგიონების მიხედვით (%)**




**სქემა 10 (გადასახადი სამი ბავშვისათვის)** – ეს სქემა მხოლოდ აჭარაში (ბათუმის 16 ბაგა-ბაღში), სამეგრელოსა (ზუგდიდის 17 ბაგა-ბაღში) და შიდა ქართლში (გორის 1 ბაგა-ბაღში) მოქმედებს. სქემა სრულად ათავისუფლებს მშობლებს გაადასახადისაგან. გამონაკლისს მხოლოდ გორის ბაგა-ბაღი წარმოადგენს, სადაც 16%-იანი ფასდაკლება მოქმედებს. ამ სქემით აჭარაში 18 ბავშვი, სამეგრელოში 1 ბავშვი, შიდა ქართლში კი 9 ბავშვი იღებს შეღავათს.

**სქემა 11 (გადასახადი მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათვის)** – მოცემული სქემა თანაბრად მოქმედებს როგორც ქალაქებში (ბაგა-ბაღების 25.6%), ასევე სოფლებშიც (ბაგა-ბაღების 20%). იმ დაწესებულებებში, სადაც სქემა მთლიანი დატვირთვით მუშაობს, მშობლები სრულად არიან გათავისუფლებული გადასახადისგან. თუმცა, ოზურგეთის 28, ჩოხატაურის 1, ტყიბულის 11, დედოფლისწყაროს 4, ლაგოდეხის 1, ბორჯომის 1, დმანისის 1, მარნეულის 3 და გორის 2 ბაგა-ბაღში, მხოლოდ 50%-იანი შეღავათი მოქმედებს. ბოლნისის 10 ბაგა-ბაღი 60%-იან შეღავათს იძლევა, ოზურგეთის 1 და ასპინძის 2 ბაგა-ბაღში კი, ფასდაკლება 66.7%-ს შეადგენს. გარდა ამისა, ოზურგეთის 1 საბავშვო ბაღში 46.7%-იანი ფასდაკლება მოქმედებს. სქემა 11 არ მოქმედებს თბილისსა და რაჭა-ლეჩხუმში.

**ცხრილი 9.9 მეთერთმეტე სქემა: საშუალო გადასახადი, გადასახადის საშუალო შემცირება ძირითად გადასახადთან მიმართებაში (%) და მეექვსე სქემას მისადაგებული ბავშვების რაოდენობა რეგიონების მიხედვით**

| რეგიონი | საშუალო გადასახადი (ლარი) | გადასახადის შემცირება (%) | ბავშვების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| თბილისი | - | - | - |
| აჭარა | 0.0 | 100.0 | 24 |
| გურია | 3.0 | 73.0 | 55 |
| იმერეთი | 0.7 | 92.8 | 295 |
| კახეთი | 0.5 | 95.1 | 50 |
| მცხეთა-მთიანეთი | 0.0 | 100.0 | 30 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | - | - | - |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 0.0 | 100.0 | 14 |
| სამცხე-ჯავახეთი | 1.8 | 89.4 | 41 |
| ქვემო ქართლი | 10.7 | 57.1 | 116 |
| შიდა ქართლი | 8.3 | 66.7 | 4 |

**დიაგრამა 9.8 მეცხრე სქემით მომუშავე ბაგა-ბაღების განაწილება რეგიონების მიხედვით (%)**




**სქემა 12 (გადასახადი მეორე და მომდევნო ბავშვებისათვის)** – ეს სქემა შუახევის 1, მარტვილის 7, წალენჯიხის 9, გარდაბნის 17 და გორის 4 ბაგა-ბაღში მოქმედებს. ის სრულად ათავისუფლებს მშობლებს გადასახადისგან, თუმცა მარტვილის ბაგა-ბაღებში მხოლოდ 50%-იანი ფასდაკლება არსებობს; გორის ბაგა-ბაღებში კი ფასდაკლება 16.7%-დან 75%-მდე მერყეობს. ამ სქემის წყალობით სამეგრელოში 123-მა, ქვემო ქართლში 279-მა, შიდა ქართლში კი – 90-მა ბავშვმა მიიღო შეღავათი.

**სქემა 13 (გადასახადი ტყუპებისათვის)** – მოცემული სქემა მხოლოდ ქუთაისში (ყველა საბავშვო ბაღში) მოქმედებს. ის სრულად ათავისუფლებს მშობლებს გადასახადისგან და მისი შეღავათებით 61 ბავშვი სარგებლობს.

**სქემა 14 (გადასახადი ორი ან მეტი ბავშვისათვის)** – ეს სქემა სიღნაღის 20, ბორჯომის 2, ადიგენის 1 და გორის 1 ბაგა-ბაღში მოქმედებს. სიღნაღში სქემა 25%-იან ფასდაკლებას სთავაზობს მშობლებს

(და მისი შეღავათებით 154 ბავშვი სარგებლობს); ადიგენში ფასდაკლება 13.5%-ს შეადგენს (ამ შეღავათით 6 ბავშვი სარგებლობს), ბორჯომში – 50%-ს (48 ბავშვი), გორში კი – 20 %-ს (24 ბავშვი).

**სქემა 15 (გადასახადი I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შვილებისათვის)** – ეს სქემა მხოლოდ დუშეთის მუნიციპალიტეტის 11 ბაგა-ბაღში მოქმედებს (5 ქალაქებში და 6 სოფლად). ის სრულად ათავისუფლებს მშობლებს გადასახადისაგან და მისით 2 ბავშვი სარგებლობს.

**სქემა 16 (გადასახადი მრავალშვილიანი ოჯახის ორი ან მეტი ბავშვისათვის)** – მოცემული სქემა მხოლოდ ხობის მუნიციპალიტეტის 27 ბაგა-ბაღში მოქმედებს. ის სრულად ათავისუფლებს მშობლებს გადასახადისაგან და ამ შეღავათით 40 ბავშვი სარგებლობს (8 ქალაქებში და 32 სოფლად).

როგორც ვხედავთ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განსხვავებული სამუშაო სქემა მოქმედებს. ზოგიერთი მათგანი საყოველთაოდ ხელმისაწვდომია, ზოგი კი ცალკეული რეგიონისა და სფეროს მიხედვით არის შეზღუდული. ზემოთ ჩამოთვლილი სქემების გარდა სხვა საგადასახადო სტრუქტურებიც და შეღავათებიც არსებობს.

ახმეტის ერთმა ბაგა-ბაღმა გვაცნობა, რომ ერთ-ერთი აღსაზრდელი გადასახადისგან ადგილობრივი გამგეობის წევრმა გაათავისუფლა. მარნეულის 5 ბაგა-ბაღში ბაღის პერსონალის შვილები 50%-იანი საგადასახადო შეღავათით სარგებლობენ (ჯამში 27 ბავშვი), გორის ერთ ბაგა-ბაღში კი გადასახადისაგან გაათავისუფლეს ბაღის შენობაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილები.

# დანართი

### დანართი 9.1 ბაგა-ბაღების რაოდენობა მოქმედი სქემებისა და რეგიონების მიხედვით

| სქემის № | თბილისი | აჭარა | გურია | იმერეთი | კახეთი | მცხეთა-მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | ქვემო ქართლი | შიდა ქართლი | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 157 | 57 | 70 | 239 | 205 | 55 | 36 | 225 | 34 | 84 | 96 | **1,258** |
| 2 | 156 | 22 | 21 | 23 | 1 | 8 | - | 23 | 22 | 24 | 8 | **308** |
| 3 | 147 | 4 | 21 | 2 | - | 6 | - | 39 | 13 | 3 | 4 | **239** |
| 4 | 156 | 24 | 70 | 88 | 61 | 49 | 1 | 189 | 16 | 51 | 31 | **736** |
| 5 | 84 | 8 | 21 | 1 | 10 | 3 | - | - | 3 | - | 2 | **132** |
| 6 | 20 | 24 | 20 | 22 | 15 | 1 | - | 1 | 9 | 6 | 2 | **120** |
| 7 | 44 | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | **44** |
| 8 | 2 | 29 | 20 | 76 | 25 | 19 | 1 | 23 | 18 | 21 | 5 | **239** |
| 9 | - | 7 | 53 | 95 | 46 | 20 | 1 | 1 | 13 | 35 | 54 | **325** |
| 10 | - | 16 | - | - | - | - | - | 17 | - | - | 1 | **34** |
| 11 | - | 9 | 57 | 76 | 51 | 31 | - | 28 | 11 | 14 | 3 | **280** |
| 12 | - | 1 | - | - | - | - | - | 16 | - | 17 | 4 | **38** |
| 13 | - | - | - | 35 | - | - | - | - | - | - | - | **35** |
| 14 | - | - | - | - | 20 | - | - | - | 3 | - | 1 | **24** |
| 15 | - | - | - | - | - | 11 | - | - | - | - | - | **11** |
| 16 | - | - | - | - | - | - | - | 27 | - | - | - | **27** |

**დანართი 9.2 ბაგა-ბაღების რაოდენობა მოქმედი სქემებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით თბილისში**

| სქემის № | გლდანი-ნაძალადევი | დიდგორი | დიდუბე-ჩუღურეთი | ვაკე-საბურთალო | ისანი-სამგორი | ძველი თბილისი | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 39 | 6 | 17 | 32 | 43 | 20 | **157** |
| 2 | 39 | 6 | 17 | 32 | 42 | 20 | **156** |
| 3 | 35 | 6 | 15 | 32 | 41 | 18 | **147** |
| 4 | 38 | 6 | 17 | 32 | 43 | 20 | **156** |
| 5 | 13 | 1 | 9 | 18 | 33 | 10 | **84** |
| 6 | - | - | 3 | 2 | 13 | 2 | **20** |
| 7 | 6 | 1 | 1 | 6 | 22 | 8 | **44** |
| 8 | 2 | - | - | - | - | - | **2** |
| 9 | - | - | - | - | - | - | **-** |
| 10 | - | - | - | - | - | - | **-** |
| 11 | - | - | - | - | - | - | **-** |
| 12 | - | - | - | - | - | - | **-** |
| 13 | - | - | - | - | - | - | **-** |
| 14 | - | - | - | - | - | - | **-** |
| 15 | - | - | - | - | - | - | **-** |
| 16 | - | - | - | - | - | - | **-** |

**დანართი 9.3 ბაგა-ბაღების რაოდენობა მოქმედი სქემებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით აჭარაში**

| სქემის № | ბათუმი | ქედა | ქობულეთი | შუახევი | ხელვაჩაური | ხულო | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 24 | 7 | 11 | 5 | 5 | 5 | **57** |
| 2 | 22 | - | - | - | - | - | **22** |
| 3 | 4 | - | - | - | - | - | **4** |
| 4 | 24 | - | - | - | - | - | **24** |
| 5 | 1 | - | - | 1 | 1 | 5 | **8** |
| 6 | 23 | - | - | - | - | 1 | **24** |
| 7 | - | - | - | - | - | - | **-** |
| 8 | 20 | - | - | 3 | 2 | 4 | **29** |
| 9 | 1 | - | - | 2 | - | 4 | **7** |
| 10 | 16 | - | - | - | - | - | **16** |
| 11 | 9 | - | - | - | - | - | **9** |
| 12 | - | - | - | 1 | - | - | **1** |
| 13 | - | - | - | - | - | - | **-** |
| 14 | - | - | - | - | - | - | **-** |
| 15 | - | - | - | - | - | - | **-** |
| 16 | - | - | - | - | - | - | **-** |

**დანართი 9.4 ბაგა-ბაღების რაოდენობა მოქმედი სქემებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით გურიაში**

| სქემის № | ლანჩხუთი | ოზურგეთი | ჩოხატაური | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| 1 | 20 | 37 | 13 | **70** |
| 2 | 20 | 1 | - | **21** |
| 3 | 20 | 1 | - | **21** |
| 4 | 20 | 37 | 13 | **70** |
| 5 | 20 | 1 | - | **21** |
| 6 | 20 | - | - | **20** |
| 7 | - | - | - | **-** |
| 8 | 20 | - | - | **20** |
| 9 | 20 | 33 | - | **53** |
| 10 | - | - | - | **-** |
| 11 | 20 | 36 | 1 | **57** |
| 12 | - | - | - | **-** |
| 13 | - | - | - | **-** |
| 14 | - | - | - | **-** |
| 15 | - | - | - | **-** |
| 16 | - | - | - | **-** |

**დანართი 9.5 ბაგა-ბაღების რაოდენობა მოქმედი სქემებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით იმერეთში**

| სქემის № | ქუთაისი | ტყიბული | წყალტუბო | ჭიათურა | ბაღდათი | ვანი | ზესტაფონი | თერჯოლა | სამტრედია | საჩხერე | ხარაგაული | ხონი | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 35 | 14 | 10 | 23 | 15 | 21 | 39 | 24 | 22 | 12 | 9 | 15 | **239** |
| 2 | - | 1 | - | - | - | - | - | 22 | - | - | - | - | **23** |
| 3 | - | 2 | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | **2** |
| 4 | - | - | 10 | 23 | - | - | - | 24 | 22 | - | 9 | - | **88** |
| 5 | 1 | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | **1** |
| 6 | - | - | - | 22 | - | - | - | - | - | - | - | - | **22** |
| 7 | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 8 | 35 | 14 | 5 | 22 | - | - | - | - | - | - | - | - | **76** |
| 9 | 35 | 14 | - | 23 | - | - | - | 23 | - | - | - | - | **95** |
| 10 | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 11 | 35 | 11 | 7 | 23 | - | - | - | - | - | - | - | - | **76** |
| 12 | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 13 | 35 | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | **35** |
| 14 | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 15 | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 16 | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |

**დანართი 9.6 ბაგა-ბაღების რაოდენობა მოქმედი სქემებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით კახეთში**

| სქემის № | ახმეტა | გურჯაანი | დედოფლისწყარო | თელავი | ლაგოდეხი | საგარეჯო | სიღნაღი | ყვარელი | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 37 | 31 | 16 | 21 | 29 | 26 | 23 | 22 | **205** |
| 2 | - | - | - | - | - | - | 1 | - | **1** |
| 3 | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 4 | - | 1 | 16 | - | - | - | 22 | 22 | **61** |
| 5 | - | - | 1 | - | - | - | 8 | 1 | **10** |
| 6 | - | - | - | - | - | - | - | 15 | **15** |
| 7 | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 8 | - | - | 1 | - | - | - | 9 | 15 | **25** |
| 9 | - | - | 15 | - | 7 | 1 | 8 | 15 | **46** |
| 10 | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 11 | - | - | 15 | - | 1 | - | 13 | 22 | **51** |
| 12 | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 13 | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 14 | - | - | - | - | - | - | 20 | - | **20** |
| 15 | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 16 | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |

**დანართი 9.7 ბაგა-ბაღების რაოდენობა მოქმედი სქემებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით მცხეთა-მთიანეთში**

| სქემის № | ახალგორი | დუშეთი | თიანეთი | მცხეთა | ყაზბეგი | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | 14 | 13 | 20 | 7 | **55** |
| 2 | - | - | 8 | - | - | **8** |
| 3 | - | 1 | 5 | - | - | **6** |
| 4 | - | 14 | 8 | 20 | 7 | **49** |
| 5 | - | - | 2 | 1 | - | **3** |
| 6 | - | - | - | 1 | - | **1** |
| 7 | - | - | - | - | - | **-** |
| 8 | - | 14 | - | 5 | - | **19** |
| 9 | - | - | - | 20 | - | **20** |
| 10 | - | - | - | - | - | **-** |
| 11 | - | 13 | 1 | 17 | - | **31** |
| 12 | - | - | - | - | - | **-** |
| 13 | - | - | - | - | - | **-** |
| 14 | - | - | - | - | - | **-** |
| 15 | - | 11 | - | - | - | **11** |
| 16 | - | - | - | - | - | **-** |

**დანართი 9.8 ბაგა-ბაღების რაოდენობა მოქმედი სქემებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით რაჭა-ლეჩხუმში**

| სქემის № | ამბროლაური | ლენტეხი | ონი | ცაგერი | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 12 | 1 | 14 | **36** |
| 2 | - | - | - | - | **-** |
| 3 | - | - | - | - | **-** |
| 4 | - | 1 | - | - | **1** |
| 5 | - | - | - | - | **-** |
| 6 | - | - | - | - | **-** |
| 7 | - | - | - | - | **-** |
| 8 | 1 | - | - | - | **1** |
| 9 | 1 | - | - | - | **1** |
| 10 | - | - | - | - | **-** |
| 11 | - | - | - | - | **-** |
| 12 | - | - | - | - | **-** |
| 13 | - | - | - | - | **-** |

**დანართი 9.9 ბაგა-ბაღების რაოდენობა მოქმედი სქემებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით სამეგრელო-ზემო სვანეთში**

| სქემის № | ფოთი | აბაშა | ზუგდიდი | მარტვილი | მესტია | სენაკი | ჩხოროწყუ | წალენჯიხა | ხობი | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 15 | 15 | 58 | 9 | 18 | 21 | 30 | 30 | 29 | **225** |
| 2 | - | - | - | 2 | - | - | - | 21 | - | **23** |
| 3 | - | - | 38 | - | - | 1 | - | - | - | **39** |
| 4 | 15 | - | 56 | 9 | - | 20 | 30 | 30 | 29 | **189** |
| 5 | - | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 6 | - | - | - | - | - | - | - | - | 1 | **1** |
| 7 | - | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 8 | - | - | - | - | - | 1 | - | 22 | - | **23** |
| 9 | - | - | - | - | - | 1 | - | - | - | **1** |
| 10 | - | - | 17 | - | - | - | - | - | - | **17** |
| 11 | - | - | - | - | - | 3 | - | 25 | - | **28** |
| 12 | - | - | - | 7 | - | - | - | 9 | - | **16** |
| 13 | - | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 14 | - | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 15 | - | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 16 | - | - | - | - | - | - | - | - | 27 | **27** |

**დანართი 9.10 ბაგა-ბაღების რაოდენობა მოქმედი სქემებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით სამცხე-ჯავახეთში**

| სქემის № | ადიგენი | ასპინძა | ახალქალაქი | ახალციხე | ბორჯომი | ნინოწმინდა | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 2 | 5 | 9 | 10 | 1 | **34** |
| 2 | 5 | - | - | 9 | 8 | - | **22** |
| 3 | - | - | - | 4 | 9 | - | **13** |
| 4 | - | 2 | 2 | 1 | 10 | 1 | **16** |
| 5 | - | 1 | - | 2 | - | - | **3** |
| 6 | - | - | - | 9 | - | - | **9** |
| 7 | - | - | - | - | - | - | **-** |
| 8 | - | 2 | 1 | 7 | 8 | - | **18** |
| 9 | - | - | - | 8 | 5 | - | **13** |
| 10 | - | - | - | - | - | - | **-** |
| 11 | - | 2 | - | 8 | 1 | - | **11** |
| 12 | - | - | - | - | - | - | **-** |
| 13 | - | - | - | - | - | - | **-** |
| 14 | 1 | - | - | - | 2 | - | **3** |
| 15 | - | - | - | - | - | - | **-** |
| 16 | - | - | - | - | - | - | **-** |

**დანართი 9.11 ბაგა-ბაღების რაოდენობა მოქმედი სქემებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით ქვემო ქართლში**

| სქემის № | რუსთავი | ბოლნისი | გარდაბანი | დმანისი | თეთრიწყარო | მარნეული | წალკა | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 21 | 12 | 22 | 7 | 12 | 9 | 1 | **84** |
| 2 | - | 12 | 4 | 6 | 1 | - | 1 | **24** |
| 3 | - | - | - | 3 | - | - | - | **3** |
| 4 | - | 12 | 22 | 7 | 1 | 8 | 1 | **51** |
| 5 | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 6 | - | 1 | 2 | 2 | - | 1 | - | **6** |
| 7 | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 8 | - | 7 | 4 | 3 | - | 7 | - | **21** |
| 9 | - | 6 | 21 | 5 | - | 2 | 1 | **35** |
| 10 | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 11 | - | 10 | - | 1 | - | 3 | - | **14** |
| 12 | - | - | 17 | - | - | - | - | **17** |
| 13 | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 14 | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 15 | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| 16 | - | - | - | - | - | - | - | **-** |

**დანართი 9.12 ბაგა-ბაღების რაოდენობა მოქმედი სქემებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით შიდა ქართლში**

| სქემის № | გორი | კასპი | ქარელი | ხაშური | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 46 | 25 | 13 | 12 | **96** |
| 2 | 8 | - | - | - | **8** |
| 3 | 4 | - | - | - | **4** |
| 4 | 18 | - | 1 | 12 | **31** |
| 5 | 2 | - | - | - | **2** |
| 6 | 2 | - | - | - | **2** |
| 7 | - | - | - | - | **-** |
| 8 | 5 | - | - | - | **5** |
| 9 | 36 | - | 6 | 12 | **54** |
| 10 | 1 | - | - | - | **1** |
| 11 | 2 | - | 1 | - | **3** |
| 12 | 4 | - | - | - | **4** |
| 13 | - | - | - | - | **-** |
| 14 | 1 | - | - | - | **1** |
| 15 | - | - | - | - | **-** |
| 16 | - | - | - | - | **-** |

# 10. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსების წყაროები და ხარჯები

## დაფინანსება

კვლევამ უჩვენა, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ადმინისტრაციები დაფინანსების შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას არ ფლობენ. ამიტომაც ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია იმ მუნიციპალიტეტებიდან მოვიპოვეთ, რომლებსაც ხსენებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ექვემდებარებიან.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსების ორი ძირითადი წყარო გამოიკვეთა – ესენია: სახელმწიფო ბიუჯეტი (მუნიციპალიტეტების ბიუჯეტი) და მშობლების გადასახადი. 2011/2012 სასწავლო წელს მუნიციპალური ბიუჯეტები საბავშვო ბაღების სრული დაფინანსების 70.7%-ს შეადგენდა. ეს ციფრი რეგიონებში 59.7%-იდან 94.3%-მდე მერყეობდა. მშობელთა გადასახადები ბაგა-ბაღების სრული დაფინანსების 29%-ს მოიცავდა და მათი წილი რეგიონების მიხედვით 5.7%-იდან 39.6%-მდე მერყეობდა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსების ყველაზე დიდი წილი რაჭა-ლეჩხუმში დაფიქსირდა (94%), ყველაზე მცირე წილი კი (59.7%) ქვემო ქართლში. რაც შეეხება მშობლების გადასახადის წილს, ბაგა-ბაღების მთლიან შემოსავალში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისსა (39.6%) და ქვემო ქართლში (38.8%) დაფიქსირდა.

**ცხრილი 10.1 სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსების წყაროები რეგიონების მიხედვით (%)**

| რეგიონი/ დამფინანსებლები | 2011/2012 | | | | 2012/2013 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მუნიციპალური ბიუჯეტი | მშობელთა გადასახადი | დონორები/ სპონსორები | სხვა | მუნიციპალური ბიუჯეტი | მშობელთა გადასახადი | დონორები/ სპონსორები | სხვა |
| თბილისი | 60.4 | 39.6 | - | - | 76.5 | 23.5 | - | - |
| აჭარის ა. რ. | 70.6 | 28.2 | - | 1.2 | 72.8 | 26.3 | - | 0.9 |
| გურია | 88.6 | 7.8 | 0.9 | 2.7 | 73.4 | 8.1 | - | 18.5 |
| იმერეთი | 87.0 | 12.9 | 0.1 | - | 83.8 | 14.9 | - | 1.3 |
| კახეთი | 88.5 | 11.5 | - | - | 86.3 | 13.7 | - | - |
| მცხეთა-მთიანეთი | 88.7 | 11.3 | - | - | 89.8 | 10.2 | - | - |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 94.3 | 5.7 | - | - | 94.1 | 5.8 | 0.1 | - |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 81.3 | 18.6 | - | 0.1 | 81.2 | 18.6 | - | 0.2 |
| სამცხე-ჯავახეთი | 70.6 | 29.3 | 0.1 | - | 67.2 | 32.6 | 0.1 | 0.2 |
| ქვემო ქართლი | 59.7 | 38.8 | - | 1.4 | 56.0 | 40.7 | - | 3.3 |
| შიდა ქართლი | 80.0 | 20.0 | - | - | 75.9 | 24.1 | - | - |
| **სულ** | **70.7** | **29.0** | **0.0** | **0.3** | **76.6** | **22.5** | **0.0** | **0.9** |

2011/2012 სასწავლო წელს თითოეულ ბავშვზე საშუალო ყოველთვიური გადასახადი 22.8 ლარს შეადგენდა. მშობელთა ყველაზე მაღალი საშუალო გადასახადები აჭარასა (39.4 ლარი) და თბილისში (36.2 ლარი) დაფიქსირდა. ყველაზე დაბალი კი – რაჭა-ლეჩხუმსა (4.8 ლარი) და კახეთში (5.6 ლარი).

**ცხრილი 10.2 მშობელთა ყოველთვიური საშუალო გადასახადი თითო ბავშვზე 2011/2012 სასწავლო წელს***

| | ლარი |
|---|---|
| სულ | 22.8 |
| თბილისი | 36.2 |
| აჭარის ა. რ. | 39.4 |
| გურია | 6.8 |
| იმერეთი | 9.5 |
| კახეთი | 5.6 |
| მცხეთა-მთიანეთი | 8.3 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 4.8 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 11.3 |
| სამცხე-ჯავახეთი | 15.6 |
| ქვემო ქართლი | 22.6 |
| შიდა ქართლი | 10.5 |

*ანგარიში მოიცავს ათთვიან პერიოდს

## ხარჯები

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ყველაზე დიდი ხარჯები ხელფასებსა და კვებაზე მოდის. 2011/2012 სასწავლო წელს ხელფასებმა სრული დანახარჯის 59.1% მოიცვა და რეგიონებში 50.3%-იდან (აჭარაში) 73.3%-მდე (რაჭა-ლეჩხუმში) მერყეობდა.

საკვები საერთო დანახარჯის 25.1%-ს მოიცავს. კვების ხარჯების ყველაზე დიდი წილი თბილისსა (29%) და სამცხე-ჯავახეთზე (28.5%) მოდის; ყველაზე მცირე ხარჯები კი – რაჭა-ლეჩხუმზე (13.9%).

**ცხრილი 10.3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯები რეგიონების მასშტაბით (%)**

| რეგიონი | ხელფასი | კაპიტალური ხარჯები | საოფისე ხარჯები | კვება | სასწავლო მასალა/ სათამაშოები | ტრენინგები | სხვა | აუთვისებელი თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 59.1 | 0.8 | 6.6 | 25.1 | 1.4 | 0.0 | 5.9 | 1.0 |
| თბილისი | 57.6 | 0.0 | 2.2 | 29.0 | 2.2 | - | 8.9 | - |
| აჭარის ა. რ. | 50.3 | 2.8 | 8.3 | 24.1 | 1.3 | 0.2 | 6.9 | 6.1 |
| გურია | 67.1 | 4.6 | 9.7 | 16.2 | 0.1 | 0.1 | 2.2 | - |
| იმერეთი | 61.3 | 2.3 | 15.0 | 18.1 | 0.4 | 0.1 | 1.6 | 1.3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კახეთი | 67.2 | 0.1 | 9.0 | 22.6 | 0.8 | - | 0.3 | -• |
| მცხეთა-მთიანეთი | 71.9 | - | 11.2 | 15.4 | 0.2 | - | 1.3 | -• |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 73.3 | - | 9.0 | 13.9 | 0.6 | 0.3 | 2.4 | 0.5 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 61.0 | 0.4 | 9.4 | 26.7 | 0.4 | 0.1 | 1.9 | 0.1 |
| სამცხე-ჯავახეთი | 57.7 | - | 10.7 | 28.5 | 1.2 | - | 1.7 | 0.2 |
| ქვემო ქართლი | 58.4 | 0.1 | 6.7 | 23.9 | 0.6 | - | 7.7 | 2.6 |
| შიდა ქართლი | 65.4 | 0.5 | 9.6 | 21.6 | 0.9 | 0.0 | 0.9 | 1.0 |

2011/2012 სასწავლო წელს თითოეულ ბავშვზე საშუალო ყოველთვიური ხარჯი (კაპიტალურ ხარჯებს თუ არ ჩავთვლით) 80 ლარს შეადგენდა. განსაკუთრებით დიდი დანახარჯი აჭარასა (135.7 ლარი) და თბილისზე (96.2 ლარი) მოდიოდა. შესაბამისად, დიდი იყო ამ ორ რეგიონში კვების ხარჯებიც. ამ მაჩვენებელმა აჭარაში 33.6 ლარს, თბილისში კი – 27.9 ლარს მიაღწია, რაც ბევრად მეტია, ვიდრე საშუალო ეროვნული მაჩვენებელი (20.3 ლარი). ერთ ბავშვზე ყველაზე მცირე ყოველთვიური დანახარჯი კახეთის რეგიონზე მოდიოდა და საშუალოდ 48.3 ლარს შეადგენდა. ყველაზე დაბალი იყო კახეთში კვების ხარჯებიც (10.9 ლარი).

**ცხრილი 10.4 ერთ ბავშვზე საშუალო ყოველთვიური დანახარჯი 2011/2012 სასწავლო წელს**

| | სულ | მათ შორის: კვების ხარჯები |
|---|---|---|
| სულ | 80.0 | 20.3 |
| თბილისი | 96.2 | 27.9 |
| | | |
| აჭარის ა.რ. | 135.7 | 33.6 |
| გურია | 82.9 | 14.1 |
| იმერეთი | 71.7 | 13.3 |
| კახეთი | 48.3 | 10.9 |
| მცხეთა-მთიანეთი | 73.5 | 11.3 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 84.4 | 11.7 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 60.5 | 16.2 |
| სამცხე-ჯავახეთი | 53.1 | 15.1 |
| ქვემო-ქართლი | 58.2 | 13.9 |
| შიდა ქართლი | 52.2 | 11.4 |

* ანგარიში მოიცავს ათთვიან პერიოდს